ნარგიზა გამისონია
დოდო პერტაია

პაპების ბრძოლა საერო ხელისუფლებისათვის

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2009

უაკ (UDC) 271-732.2+322
გ-127

ნაშრომი ეხება შუა საუკუნეების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, პაპობის ბრძოლას საერო ხელისუფლებისათვის. შუა საუკუნეებში ყალიბდებოდა რომაულ-გერმანული ხალხების კულტურული ერთობა, რომლის საწყისებს გამაერთიანებელი და სასიცოცხლო იმპულსი მისცა ქრისტიანულმა რელიგიამ. ქრისტიანობა და ქრისტიანული ეკლესია წარმოადგენდა ერთიან სხეულს, რომლის წევრებიც საერთო იდეებითა და მისწრაფებებით იყვნენ გაერთიანებული. საეკლესიო იერარქია, ადრეულ შუა საუკუნეებში თავისი განათლებით, ბევრად მაღლა იდგა სხვა ფეოდალურ ელემენტებზე. მას გააჩნდა უდიდესი გავლენა საზოგადოებაზე და მისი მსოფლმხედველობა გახდა გაბატონებული მთელს ევროპაში.

დასავლური ქრისტიანობის სპეციფიკის ჩამომყალიბებლად მიჩნეულია ავგუსტინე ნეტარი. ის თავის ნაშრომში „ღვთის ქალაქი"ეკლესიისადმი სახელმწიფოს მორჩილების იდეას აყენებს, რომელი იდეაც შუა საუკუნეების აზროვნების განვითარებაში მიმართულების მიმცემი აღმოჩნდა.

ნაშრომის მიზანია კონკრეტული, უმაღლესი სასულიერო პირების საქმიანობიდან გამომდინარე, ვაჩვენოთ, თუ როგორ იბრძოდნენ ისინი მსოფლიო თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნისათვის.

ნაშრომი განკუთვნილია ისტორიკოსებისა და შუა საუკუნეების ისტორიით დაინტერესებული მკითხველი საზოგადოებისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი
გ. კუტალია

რეცენზენტი: ისტორიის დოქტორი, პროფესორი,
თ. წითლანაძე

© ნ. გამისონია, დ. პერტაია
© გამომცემლობა „მერიდიანი", 2009

ISBN 978-9941-10-148-9

შესავალი

რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას შუა საუკუნეების ევროპაში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა. ეს იყო ფეოდალური სისტემის მსხვილი ინტერნაციონალური ცენტრი, რომელიც კათოლიკურ ქვეყნებს, ურთიერთბრძოლების მიუხედავად, ერთ ძალად კრავდა და უპირისპირებდა როგორც ბერძნულ-მართლმადიდებლურ, ისე მუსლიმურ სამყაროს. ეკლესია უმსხვილესი მინათმფლობელი და ფეოდალიზმის იდეოლოგიური დასაყრდენიც იყო, იგი არსებული ფეოდალური წესრიგის ურყეობას ქადაგებდა. ამასთან, ეკლესიის ხელში იყო სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, უპირველესად, სამედიატორო სასამართლოები, სადაც საეკლესიო დოგმებსა და ბიბლიის ტექსტებს კანონის ძალა ენიჭებოდა. კათოლიკური ეკლესიის მესვეურებს გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ განათლებისა და კულტურის სფეროში. სკოლებსა და უნივერსიტეტებში მეტწილად საეკლესიო დოგმები და სქოლასტიკა ბატონობდა. სნავლა და მეცნიერული მუშაობა სქოლასტიკას ექვემდებარებოდა.

პაპის კურიას თავის განკარგულებაში ჰყავდა მორჩილი ბერული ჯარი, რომელსაც ყოველგვარ მომენტში შეეძლო აღეძრა სარჩელი მწვალებლობისა და არაკეთილსაიმედობის შესახებ, მიეტანა პაპის ბულის წყევლა ევროპის ყველაზე შორეულ კუთხეებში და კათედრის სიმაღლეებიდან დაენყო ბრძოლა რომისათვის არასასურველი ყოველი საერო ხელისუფლების წინააღმდეგ.

პაპი!

ასე ეძახდნენ პირველ ხანებში ყველა ეპისკოპოსს. პირველ პაპად ითვლებოდა თვით პეტრე მოციქული, რომელიც ნერონის დროს აწამეს. მხოლოდ 1075 წლიდან, საქრისტიანოს ხუთი პატრიარქიდან პირველობა რომის პატრიარქს ენიჭება და იწყება პაპობის ათასწლოვანი ბატონობა.

ცვალებადი იყო პაპთა და პაპობის ბედი. იყო დრო, როცა საქრისტიანოს მბრძანებელნი თოჯინებივით აჰყავდათ და ჩამოჰყავდათ ტახტიდან.

პაპობის თეოკრატიის, შეუძლუდავი ძალაუფლების პროგრამა წამოაყენა გრიგოლ VII-მ, დიდ ნარმატებასაც მიაღწია და გერმანიის იმპერატორი ჰაინრიხ IV აიძულა კანოსაში ფეხით ხლებოდა.

გვიან, ცბიერი ინოკენტი III თავს აცხადებს დამოუკიდებელ მბრძანებლად, ხელში იღებს სასულიერო და საერო ძალაუფლების საადავეებს, ქვეყნიერებას თავის სამფლობელოდ აცხადებს და ხელმწიფეებს თავის შვილებს ეძახის. მთელი ევროპა მის ფეხქვეშ იყო

გართხმული. მეფეები ლალის ჯვრით დამშვენებულ ფეხსაცმელზე კოცნიდნენ.

მალე პაპთა ძლიერებას წყალი შეუდგა, დამოუკიდებლობას კარგავენ. ფრანგი მეფეები ნელში გადატეხენ პაპთა ძლიერებას და საქმე მთავრდება „ავინიონის ტყვეობით."

ქრისტიანული სამყაროს უდიდეს ეკლესიას-კათოლიკურს, მილიონობით მიმდევარი ჰყავს. ამ გრანდიოზული „მრევლის" სიცოცხლის უნარიანი ბირთვი-პაპობა, მთელი თავისი ისტორიით გადახლართულია მსოფლიო ისტორიის ყველა უმთავრეს მოვლენასთან-სულიერ, მატერიალურ თუ სამხედრო სარბიელზე.

ჟამთა სიავე-პაპთა სიამაყე იყო. მოზეიმე მხეცის ზეიმი მეტად ძვირად უჯდებოდათ მილიონებს. მიუხედავად ამისა, ხალხი ქმნიდა ბრძოლისა და აზროვნების ისტორიას, საკუთარი სისხლითა და ოფლით წერდა მას, ამხელდა პაპებს, ებრძოდა ბნელეთის მოციქულებს, წინააღმდეგობას უწევდა ინკვიზიციას, რომელიც თავისი დამანგრეველი, საყოველთაო, შემმუსვრელი ძალით აღემატებოდა საერო ხელისუფლებას.

ბევრმა მბრძანებელმა სცადა მოედრიკა ქრისტეს მოადგილე ბერიკაცთა სიკერპე. ამაო იყო ფრიდრიხ ბარბაროსას, ოტო I-ის, ჰაინრიხ III-ის და ჰაინრიხ IV-ის, ფილიპე IV ლამაზის და სხვათა მცდელობა. იმპერატორები კვდებოდნენ, სამეფოები ემხობოდნენ, დინასტიები იცვლებოდნენ, ხალხები ქრებოდნენ და ჩნდებოდნენ, პაპობა კი რჩებოდა.

ნაპოლეონის რკინის კვერთხმა და გარიბალდის სპეტაკმა გენიამ ვატიკანს მიაყენა დარტყმა, რომლის შემდეგაც კონსტანტინესა და პიპინის საჩუქრების დაპატრონების ხალისი საბოლოოდ დაეკარგათ. ვატიკანის გორაკებით შეიზღუდა პაპების სამეუფო საზღვრები და შეიკვეცა პაპთა საერო ხელისუფლება.

ჩვენი ეკლესიისათვის უცხოა უზნეობა, ინკვიზიცია და თვითნებობა, მრისხანე სამსჯავრო. ეს ჩვენი ერის ლმობიერი, შემწყნარებლური, ქრისტესმიერი ბუნებით აიხსნება, რომელმაც მაცხოვრის მისია შეიცნო, შეისისხლხორცა და ეროვნულობის სიმბოლოდ აქცია. ჩვენი ეკლესიისათვის უცხოა წამება, მკაცრი განაჩენი, ფიზიკური ხელყოფა და განუკითხაობა. თვით კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II ქართული სათნოებისა და კაცთმოყვარეობის მაგალითს აძლევს ყველას, და რამდენი ასეთი ღირსეული მღვდელმთავარი ჰყოლია ჩვენს მრავალსაუკუნოვან ეკლესიას. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს რწმენას, რათა საქვეყნოდ სუფევდეს მშვიდობა, ურთიერთპატივისცემა, ზეობდეს სიყვარული, რამე თუ ღმერთია თვით სიყვარული.

პაპების საერო ხელისუფლების წარმოშობის წინაპირობები

ქრისტიანობა ჩაისახა პალესტინაში I საუკუნეში და იგი იყო იუდეველთა ერთ-ერთი სექტა, სახელდობრ სექტა ნაზარეველთა. ქრისტიანობის შემდგომი ისტორია – ესაა მთელი რომის იმპერიაში ქრისტიანულ გაერთიანებათა გავრცელების, იუდეველ ელემენტებისაგან ქრისტიანობის განთავისუფლებისა და რომის იმპერიის სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ფორმებთან შეგუების ისტორია. ქრისტიანულ საზოგადოებათა ორგანიზაციის სოციალურ შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად, იცვლებოდა აგრეთვე ქრისტიანული იდეოლოგიაც, რომელიც თანდათან წყვეტდა კავშირს ადრექრისტიანულ საზოგადოებაში არსებულ რევოლუციურ იდეებთან. ახ. წ. I ს-ის დასასრულს ქრისტიანული საზოგადოებანი არსებობდა რომის იმპერიის ყველა მსხვილ ქალაქში. თავისი ადგილმდებარეობის, ნევრთა რაოდენობისა და სიმდიდრის მეოხებით რომის ქრისტიანულმა საზოგადოებამ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა ყველა დანარჩენ ქრისტიანულ საზოგადოებათა შორის. მიუხედავად იმისა, რომ რომის ისტორია ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, ამ სახით ნაშრომის გამოქვეყნება საჭიროდ ჩავთვალე, ვინაიდან, ჩემი მიზანია ქართულ საზოგადოებას, რომელიც დაინტერესებულია ქრისტიანული ეკლესიის, კერძოდ, კათოლიკური ეკლესიის ისტორიით, რომელიც შუა საუკუნეებში იყო დასავლეთ ევროპის რელიგიური და სულიერი ცხოვრების წარმმართველი ძალა, მივაწოდო გარკვეული მასალა კათოლიკური ეკლესიის აქტიურ მონაწილეობაზე საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში და სწორედ ამ ფონზე წარმოვაჩინო, თუ როგორ ცდილობდნენ პაპები გამხდარიყვნენ საერო ძალაუფლების მფლობელები.

მას შემდეგ, რაც იერუსალიმში ჯვარს აცვეს უფალი იესო ქრისტე, მისი მოციქულები თანახმად მაცხოვრის სიტყვისა, მაშინვე შეუდგნენ ახალი სარწმუნოების ქადაგებას. უკვე ორი საუკუნის შემდეგ ცნობილი ქრისტიანი ღვთისმეტყველი და მწერალი კვინტუს სეპტუს ფლორენს ტერტულიანე (160-220წწ.), წერდა: „გუშინ მოსულები ვართ, მაგრამ უკვე ავავსეთ თქვენი

(წარმართების) ქალაქები, კუნძულები, სიმაგრეები, საქალაქო თვითმმართველობანი და სამხედრო ბანაკებიც კი".[1]

ქრისტიანობის სწრაფი გავრცელების მიზეზი, პირველ რიგში, თვით სარწმუნოების ხასიათიდან გამომდინარეობდა: იგი არ ყოფდა ადამიანებს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. ქრისტიანული სარწმუნოება უმწეო ხალხს ქომაგობდა და მორწმუნეებს ცოდვების მიტევებასა და მარადიულ ცხოვრებას ჰპირდებოდა. ღარიბებისა და ღატაკების, მონების რიცხვი რომსა და მის სამფლობელოებში, რა თქმა უნდა მეტად დიდი იყო, სწორედ ისინი გახდნენ პირველნი ახალი რელიგიის თაყვანისმცემელნი. იმპერიის ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში იქმნებოდა ქრისტიანული თემები. ქრისტიანობა თანდათან მსოფლიო რელიგია ხდებოდა, თუმცა მანამდე, ყოველ ხალხს, ყოველ თემს თავისი ღმერთი ჰყავდა. თვით რომში ცნობილი რომაელი მწერლის, სწავლულისა და სახელმწიფო მოღვაწის გაიუს პლინიუს სეკუნდუსისა (23/24, — 79წწ.) და არანაკლებ ცნობილი რომაელი ფილოსოფოსის, დრამატურგისა და პოლიტიკური მოღვაწის სენეკას თქმით, ყოველ ხალხმრავალ მოედანზე უფრო მეტი ღმერთების ქანდაკებები იდგა, ვიდრე ადამიანები[2]. ამასთან, ხშირად ერთმანეთის მახლობლად ესვენა ეგვიპტური ძაღლის ან ხარის თავიანი კერპების, სპარსული, ბერძნული და რომის მიერ დაპყრობილი სხვა ხალხების ღვთაებების გამოსახულებები. ყოველივე ეს ხალხში და განსაკუთრებით რომის არისტოკრატიაში მრავალღმერთიანობის შთაბეჭდილებას ქმნიდა და რომაული რელიგიებისადმი ურწმუნოებას იწვევდა. ჯერ კიდევ რომაელი მწერალი და მეცნიერი ვარონი (ძვ. წ. 116-27წწ.) თავის წიგნში „რელიგიური სიძველეები" წინასწარმეტყველებდა, რომ რომში მალე რელიგია დაიღუპება „არა გარეშე მტრის თავდასხმის, არამედ მოქალაქეთა მიერ მისი უგულებელყოფის შედეგად".[3]

ამასთან იმ გარემოებამ, რომ ქრისტეს მოციქულებს არა მარტო რამდენიმე, ერთიმეორის მიმართ მტრულად განწყობილ სა-

---

1 Тертуллиан. О прескрипции [против] еретиков. http://www biblicalstudies ru/Lib/Father2/Tertulian4.html (rusulad), http://www.tertullian org/ (inglisurad), (О крещении. О плоти Христа. Апология), http://www.svitlo.net.

2 Лукиан. Избранные атеистические произведения. М., 1955, gv. 113.

3 С. Г. Лозинский. История папства. М., 1986, gv. 17.

ხელმწიფოებში უხდებოდათ ქრისტიანობის ქადაგება, არამედ რომის იმპერიაში, რომელმაც გააერთიანა ხმელთაშუა ზღვის მთელი აუზი, დაანგრია კედლები ხალხებს შორის და იმპერატორის კულტის სახით, საერთო ოფიციალური რელიგია შექმნა და ძლიერ შეასუსტა ადგილობრივი ღმერთებისადმი — კულტებისადმი პატივისცემა, გაადვილა ახალი, სხვადასხვა ხალხების მიმართ შემწყნარებლურად განწყობილი სარწმუნოების გავრცელება. I ს-ის მეორე ნახევარში, ქრისტიანობის გავრცელების ცენტრმა ელინურ საზოგადოებაში გადაინაცვლა. პირველი ეკლესია, რომელიც ბერძნებისაგან შედგებოდა, ანტიოქიის თემი იყო. შემდეგ შეიქმნა ალექსანდრიის თემი.

ამრიგად, ქრისტიანობა იუდაიზმიდან თანდათან ემანსიპირებული და უნივერსალური გახდა მთელი მსოფლიოსათვის[1]. I საუკუნეში ქრისტიანული თემები იქმნებოდა იმპერიის ქალაქებსა და სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში. ისინი ერთად იკრიბებოდნენ სალოცავად, სააღსარებოდ, სატრაპეზოდ. არ არსებობდა საეკლესიო ორგანიზაცია, არ ყავდათ დოგმატიკოსები და საეკლესიო თანამდებობის პირები. ადრექრისტიანული თემები გმობდნენ სიმდიდრეს, მაგრამ II-III საუკუნეებში ქრისტიანულ ორგანიზაციაში ერთიანდებოდნენ საშუალო, ზოგჯერ მაღალი ფენის წარმომადგენლებიც კი. „ქონებრივი ნაკადის" შემოჭრით პირვანდელი ქრისტიანული თემის შემადგენლობა სოციალურად შეიცვალა. თანდათან ჩამოყალიბდა იერარქიული ორგანიზაცია. ეკლესიაში მთავარ როლს ასრულებდნენ წინასწარმეტყველები და მოციქულები, დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ აგრეთვე პრესვიტერები ანუ (ხუცესები)[2].

II საუკუნიდან ქრისტიანული თემის მთავარ ჩინს ეპისკოპოსი (მზრუნველი ან ზედამხედველი) წარმოადგენდა. იგი თანდათანობით უმაღლესი ხელმძღვანელი გახდა. ეპისკოპოსი განაგებდა საზოგადოების ქონებას, რომელიც შედგებოდა შემოწირულობებისა და საჩუქრებისაგან, რაც საკმაო სიუხვით შემოდიოდა ქრისტიანულ საზოგადოებებში და ამავე დროს, ის იყო ქრისტიანული საზოგადოების წარმომადგენელი საერო ხელისუფალთა წინაშე".[3]

---

1 E. Gergeli. История папства. Перевод с венгерского. М., 1996, gv. 15

2 E. Gergeli. История папства ., გვ. 17.

3 ვ. სერგეევი. ძველი რომის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. II., თბ., 1941, გვ. 678.

პირველ საუკუნეში რომის სახელმწიფო შეუბრალებლად დევნიდა ქრისტიანებს და ამ დევნამ უფრო მეტი ძალა შესძინა ახალ სარწმუნოებას. „რაც უფრო მეტ ტანჯვას გვაყენებენ, მით უფრო მრავლდება მორწმუნეთა რიცხვი", წერდა II ს-ის პირველი ნახევრის ფილოსოფოსი და საეკლესიო მწერალი, იუსტინე წამებული (105-165)[1]. ქრისტიანული თემების რიცხვის ზრდასთან ერთად, ეპისკოპოსების ირგვლივ იკრებებოდნენ თანამდებობის პირები, რომელთა მოვალეობაში, გარდა ქადაგებისა, შედიოდა ფინანსების, სასამართლო-პოლიციური და სხვა საკითხების გადაჭრაც. ეპისკოპოსი, როგორც მორწმუნეთა საზოგადოების წარმომადგენელი, თემის სათავეში მოექცა და თავის თავზე აიღო რწმენის საკითხში მეთვალყურეობა[2]. II საუკუნის შუახანებიდან, ცალკეული თემები მჭიდრო კონტაქტს ამყარებენ ერთმანეთთან. როგორც წესი, შედარებით მდიდარი თემების ეპისკოპოსები ხდებიან სხვა უფრო ღარიბი თემების ხელმძღვანელები. „ეკონომიკურად ძლიერი თემის ხელმძღვანელი აბსოლუტური ხელმძღვანელი ხდება".[3]

II საუკუნის მეორე ნახევარში ქრისტიანული თემი გადაიქცა ურთიერთდაკავშირებული ეკლესიების ფართო ქსელად. ცალკე რეგიონებს, თემებს სათავეში ედგა ქალაქში არსებული საეპისკოპოსო[4]. ეპისკოპოსებმა, მიიღეს რა უძრავ-მოძრავი ქონების შეძენის უფლება, ეს ფართოდ გამოიყენეს თავიანთ საქმიანობაში. IV საუკუნეში საერო ხელისუფლება აფრთხილებდა ეკლესიას, რომ ზომები იქნებოდა მიღებული იმათ მიმართ, რომლებიც თავიანთი გამორჩენისათვის ექსპლუატაციას გაუწევდნენ „მამაკაცების რელიგიურ გრძნობებს და ქალების სისუსტეს".[5] ამ გაფრთხილების თანახმად, 370წ. საეკლესიო თანამდებობის პირებს აეკრძალათ ქვრივებისა და ობლების სახლების, ანდერძების და საჩუქრების მიღება. 20 წლის შემდეგ იმპერატორ თეოდოსიუს I-მა (379-395წწ.) გაამკაცრა ეს გაფრთხილება და მისი დარღვევა

1 Церковь Христова. Саранск. 1991, გვ. 29-30.
2 С. Г. Лозинский. История папства.., გვ.10.
3 Е. Гергей. История папства .., გვ. 18.
4 Е. Гергей. История папства.., გვ. 18
5 С. Г. Лозинский. История папства.., გვ. 10-11.

შეაფასა, როგორც მოტყუება და ამკრძალავი კანონის ეშმაკური მიზნებისათვის გამოყენება[1]. მაგრამ იმპერატორის ხელისუფლება უკვე ძალზე დასუსტებული იყო და მას ნაკლებად ერიდებოდნენ. 455 წელს გაუქმდა ყოველგვარი აკრძალვა საეკლესიო საკუთრებასთან დაკავშირებით.

ეპისკოპოსებმა ხელისუფლებისაგან მიიღეს მნიშვნელოვანი ნაწილი იმ უზარმაზარი ქონებისა, რომელსაც ადრე ნარმართული ღვთაებების მსახურები ფლობდნენ. ეპისკოპოსების სიმდიდრის ზრდასთან ერთად ეკლესია გადაიქცა ძლევამოსილ მიწათმფლობელად[2]. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ მხოლოდ ეპისკოპოსებსა და მღვდლებს შეეძლოთ ევქარისტიის (ზიარების) საიდუმლოების, ე. ი. ქრისტიანული კულტის ყველაზე მნიშვნელოვანი აქტის შესრულება. მოწყალების დარიგება, ტრაპეზების, თავშესაფარების, მგზავრთა მისაღები სახლების მოწყობა, საზოგადოების სახსრების განკარგვა სავსებით დამოკიდებული იყო ეპისკოპოსებზე და მათ ხელქვეით საკრებულოებზე. „ვინც ეპისკოპოსს სძულს, იგი უნდა სძულდეს საზოგადოების მთელ ხალხს“,[3] — ვკითხულობთ II საუკუნის ერთ-ერთ დარიგებაში. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იხვეჭენ ეპისკოპოსები რომის იმპერიის ყველაზე თვალსაჩინო ქალაქებში: ალექსანდრიაში, კართაგენში, კონსტანტინოპოლში, ანტიოქიასა და რომში. II საუკუნის დამლევიდან და განსაკუთრებით III საუკუნიდან, ქრისტიან ეპისკოპოსთა შორის თავისი მატერიალური შესაძლებლობებითა და გავლენით გამოირჩეოდა ცენტრალური რომის ქრისტიანული საზოგადოების ეპისკოპოსი — მომავალი რომის პაპი.

ქრისტიანულმა ეკლესიამ მთელი თავისი გავლენა მმართველი კლასის სამსახურში ჩააყენა, შეეცადა რა გაენელებინა იმპერიაში მონებისა და კოლონების გამოსვლები. ერთ-ერთი კრების გადაწყვეტილების თანახმად, რომლის გაზიარება ყველა ქრისტიანის ვალდებულება იყო, „ანათემას გადაეცემოდა ყველა, ვინც წააქეზებდა მონას ბატონისაგან გაქცეულიყო[4].

---

1 С. Г. Лозинский. История папства.., გვ. 11.

2 С. Г. Лозинский. История папства.., გვ. 12.

3 С. Г. Лозинский. История папства.., გვ. 12.

4 И. А. Сидоров. Революционное движение римских рабов и колонов. - wgn.. Всемирная история, т. 3. М., 1957, გვ. 81.

სამოქალაქო თვითმმართველობის, სახელმწიფო აპარატის სხვა ინსტიტუტების დასუსტებასთან ერთად, დიდგვაროვანი ოჯახებიდან გამოსული ეპისკოპოსები, რომლებიც დიდი გავლენით სარგებლობდნენ ქრისტიანულ თემებში, პირველი პირები გახდნენ ქალაქებში და რეგიონებში. განსაკუთრებით გაიზარდა რომის ეპისკოპოსის გავლენა. მათი განდიდებისათვის შეიქმნა ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, ისინი წმინდა პეტრეს ტახტის პირდაპირი მემკვიდრეები იყვნენ[1].

უნგრელი ისტორიკოსის, ე. გერგეის აზრით, რომის ეპისკოპოსის პირველობის დასადასტურებლად სრულებით არ იყო საჭირო წმ. პეტრეს ტახტის მემკვიდრეობის ფაქტის მოხმობა, ვინაიდან თუ პეტრეს პიროვნებას დავუკავშირებთ რომის ეპისკოპოსის სიძლიერესა და ეპისკოპოსებს შორის პირველობას, მაშინ ლოგიკური იქნებოდა, ანტიოქია ჩაგვეთვალა ცენტრად, ვინაიდან წმ. პეტრე პირველად იქ მოღვაწეობდა, მაგრამ რომი თავიდანვე იდგა პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, ანტიოქიაზე მაღლა, გახდა რა ასევე, დასავლეთის ქრისტიანობის ცენტრი. რომი, როგორც მსოფლიოს პოლიტიკური ცენტრი უზრუნველყოფდა რომის ეპისკოპოსების პრიმატს[2].

ქრისტიანულ სამყაროში რომის ეპისკოპოსის უმთავრესად გამოცხადებას ებრძოდნენ დიდი აღმოსავლური თემები, რომლებიც უფრო ადრე იყვნენ დაარსებულნი—ალექსანდრიის, იერუსალიმის, ანტიოქიის. ალექსანდრიის ქრონიკა იტყობინება, რომ ვესპასიანეს (69-79) იმპერატორობის პირველ წელს გარდაიცვალა პეტრეს მოციქული და იერუსალიმის პატრიარქი იაკობი, რომელიც პეტრემ რომში გამგზავრებამდე დანიშნა თავის მოადგილედ და იერუსალიმის ეპისკოპოსად[3]. რომის ეკლესიას იმის უფლებას, ჩათვლილიყო პეტრეს დაარსებულად, ეკლესიის „კლდედ" (პეტრა – ბერძნულად კლდეს ნიშნავს) და ციური სამეფოს გასაღების მფლობელად, რომს ყველაზე მეტად და შეუპოვრად იერუსალიმი ეცილებოდა[4].

რომის ეპისკოპოსები კალიქსტ I-დან (კალიქსტუსი) (217-

1 Н. А. Силоров. Революционное движение римских рабов и ..., გვ. 81.
2 Е. Гергей История папства.., გვ. 20-22.
3 С. Г Лозинский. История папства.., გვ. 20-22.
4 С Г. Лозинский История папства... გვ. 20-22.

222) მოყოლებული ამტკიცებდნენ, რომ მათ ეკუთვნოდათ იურიდიული პირველობაც. რომის ეპისკოპოსები მიწაზე „ღვთის მოადგილეებად" ინოდებოდნენ, რომ „შვიდი ზეცის" ყველა კარი მათი შეხედულებისამებრ შეეძლოთ გაეღოთ ნებისმიერი მოკვდავის წინაშე და ყველაზე საშინელი ცოდვილებიც კი განენმინდათ და პირდაპირ სამოთხეში შეეშვათ. რომის ეპისკოპოსთა მტკიცებით, რომის მიწა განსაკუთრებით მძაფრად იყო გაჟღენთილი წამებულთა სისხლით, და მოციქულების, პავლესა და პეტრეს წამებამ რომში, რომი სამუდამოდ აქცია მსოფლიოს უწმინდეს ქალაქად.

რომის ეპისკოპოსები პრეტენზიას აცხადებდნენ განსაკუთრებულ ტიტულზე, რომელიც განასხვავებდა მათ სხვა ეპისკოპოსებისაგან. მარცელინმა (296-304) თავის თავს პაპი უწოდა, ბერძნული სიტყვიდან „პაპას" — მამა, ისე როგორც უწოდებდნენ ეპისკოპოსს აღმოსავლეთში. რომის ეპისკოპოსი პაპად მხოლოდ VII საუკუნის დასაწყისიდან იწოდებოდა[1].

ქრისტიანობამ საბოლოოდ გაიმარჯვა კონსტანტინე I დიდის დროს (305-317) დროს. 305 წელს კონსტანტინე გახდა იმპერატორი, რომელიც მხოლოდ სიკვდილის წინ 337 წელს მოინათლა. შთამომავლობამ მას „დიდი" უწოდა. დაიმსახურა კიდეც ეს სახელი, რადგან მან შეძლო მომავლის განჭვრეტა და სათავეში ჩაუდგა დიდ რევოლუციას, რომელიც ქრისტიანობამ მოახდინა.

კონსტანტინე ამბობდა: „ქრისტიანთა ღმერთი მკაცრად სჯის მათ, ვინც შეურაცხყოფს მის კულტს და მადლით ავსებს მათ, ვინც ემსახურება".[2] გადმოცემის თანახმად, მაქსენციუსის წინააღმდეგ ბრძოლისას, როდესაც კონსტანტინეს რომაული ღმერთები არ წყალობდნენ, მან დახმარებისათვის მიმართა იესო ქრისტეს. ამ დროისათვის ცნობილი გახდა, რომ მაქსენციუსის ჯარის ტიბროსის ხიდზე გადასვლის დროს ხიდი ჩაინგრა და მაქსენსიუსი ჯართან ერთად მდინარეში დაიხრჩო[3]. თვით კონსტანტინეს რომისაკენ მიმავალ გზაზე გამოეცხადა მოჩვენება, რომელიც ჯარს მიუძღოდა წინ. ჩამავალი მზის ზემოთ და-

1 ეს ბრძოლა „წითელ ქვებთან" (შახა ღუბრა) – ეტრურიაში, სადაც დამარცხებული იქნა მაქსენციუსი 312ნ. ვ. სერგეევი. ძველი რომის.., გვ. 852.

2 С Г Лозинский. История папства.., გვ. 23.

3 С. Г Лозинский. История папства... გვ. 23.

ინახა განათებული ჯვარი ბერძნული წარწერით: „en tuto nika!" (ამით გაიმარჯვე!). იმავე ღამეს მას გამოეცხადა იესო ქრისტე და უბრძანა ჯვრის მსგავსი დროშა გაეკეთებინა. მადლიერების ნიშნად, კონსტანტინემ ქრისტიანობა აღიარა და მოინათლა[1].

III საუკუნის ბოლოდან იწყება ახალი ხანა რომის იმპერიის ისტორიაში. სამი საუკუნის განმავლობაში ავგუსტუსიდან (ძვ. წ. 27 – ახ. წ. 14) დიოკლეტიანემდე (284-305) თანდათან ყალიბდებოდა საიმპერიო ადმინისტრაცია, რასაც შედეგად მოჰყვა სენატის, როგორც პოლიტიკური დაწესებულების სრულად გაქრობა. გაიმარჯვა ცენტრალიზაციამ. დიოკლეტიანემ ბოლო მოუღო იმ ანარქიას, რომელიც გამეფებული იყო იმპერიაში ბოლო ნახევარი საუკუნე, გაამაგრა შერყეული იმპერიის საფუძვლები და ამას მიაღწია ტეტრარქიით — როდესაც თავისი ხელისუფლება ორ ავგუსტუსსა და ორ კეისარს შორის გაანაწილა, თუმცა ნამდვილი იმპერატორი მარტო დიოკლეტიანე იყო.

დიოკლეტიანემ იცოდა, რომ იმპერიის ერთიანობის შენარჩუნება მხოლოდ ერთიან ძლიერ ეკლესიას შეეძლო. მისი მმართველობა ქრისტიანული მოძღვრების აღმავლობის ხანას დაემთხვა. მაგრამ იმპერატორმა ალღო აუღო შექმნილ მდგომარეობას, მან სახელმწიფოს იდეოლოგიურ საფუძვლად რომაული პანთეონი აირჩია.

ქრისტიანების დევნამ დიოკლეტიანეს დროს აპოგეას მიაღწია. 303 წელს დიოკლეტიანემ ნიკომედიაში გამოსცა ედიქტი, რომლის საფუძველზეც ქრისტიანების ხოცვა-ულეტა დაიწყო23 თებერვალს. ამ დღიდან დიოკლეტიანე ყველანაირი ხერხით ცდილობდა ქრისტიანობის გავრცელებისათვის ხელისშეშლას, მაგრამ სახელმწიფოს შეტაკება ეკლესიასთან დამთავრდა სახელმწიფოს მარცხით. უფრო მეტიც, შეტაკებამ გამოიღო საწინააღმდეგო შედეგი გაჩნდნენ ქრისტიანი „წამებულნი", რომელთაც ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეკლესიის ავტორიტეტი გაზარდეს არა მარტო ქრისტიანების, არამედ კერპთაყვანისმცემელთა თვალშიც[2].

დიოკლეტიანეს დროს, ქრისტიანების დევნის საბაბად გადაიქცა ხანძარი იმპერატორის სასახლეში (ნიკომედიაში), რომ-

---

1 Е. Гергей. История папства.., გვ. 24-25

2 ვ. სერგეევი. ძველი რომის.., გვ. 852.

ლის მიზეზად ასახელებდნენ ქრისტიანებს. ქრისტიანების დევნის ინიციატივა გამომდინარეობდა ქურუმებისაგან, რომელთაც ძლიერ სძულდათ ქრისტიანები, როგორც თავისი პროფესიული მეტოქეები. ქურუმობას მხარს უჭერდა მოსახლეობის ნაწილი: არისტოკრატია და ინტელიგენცია. დიოკლეტიანე სახელმწიფო საქმეებში და პირად ცხოვრებაში დამარცხების მიზეზად თვლიდა ქრისტიანულ დემონებს (ღმერთებს), განსაკუთრებით კი, მთავარ ღმერთს, ქრისტეს.

დიოკლეტიანეს რელიგიური მარცხის მიზეზი თვით რომის სახელმწიფოს შინაგან უძლურებაში მდგომარეობდა. დიოკლეტიანეს თვითმპყრობელური პოლიტიკა თავისი უზომო გადასახადებით, საიმპერატორო ხელისუფლებას არაპოპულარულს ხდიდა მოსახლეობაში, თვით მოხელეთა შორისაც, რომლებიც დაავჯარიმეს და რომლებიც დასჯის შიშით ასრულებდნენ იმპერატორის რესკრიპტებს. იმპერიის იდეოლოგიური დასაყრდენი, ძველი რელიგია გახრწნის გზაზე იდგა. ქურუმობამ, რომელიც დაყოფილი იყო მრავალ კულტად და რომელიც თავს იყრიდა სხვადასხვა ტაძრების გარშემო, დაჰკარგა თავისი გავლენა. ქრისტიანული ეკლესიის ტიპის საერთო ორგანიზაცია ქურუმებს არ ჰქონდათ. ქრისტიანულმა ეკლესიამ საბერძნეთ-რომის საკულტო-სარიტუალო წესებიდან ბევრი რამ აითვისა და რამდენადმე შეცვლილი სახით შეიტანა ქრისტიანულ რიტუალში. მეორე მხრით, თვით წარმართთა კულტები და რელიგიური შეხედულებანი ქრისტიანული სარწმუნოების ზეგავლენით შეიცვალა. წარმართობისა და ქრისტიანული სარწმუნოების სინკრეტიზმის ყველაზე მკვეთრი დასტურია წარმართთა ღმერთის, მითრას „გაქრისტიანება". ეკლესიის მთავარ წარმატებად ითვლებოდა ძლიერი საეპისკოპო ორგანიზაცია, რომელიც IV საუკუნისათვის უკვე საერთაშორისო ორგანიზაციად გადაიქცა.

ქრისტიანული ეკლესიის გამარჯვებისა და სახელმწიფოს დამარცხების ოფიციალური დადასტურებაა მილანის ედიქტი, გამოცემული კონსტანტინესა და მისი თანამმართველის — ლიციინიუსის მიერ.

„მილანის ედიქტში"[1] მითითებულია: „ჩვენ, კონსტანტინემ

---

[1] ტექსტი მილანის ედიქტისა შემონახულია ორი რედაქციით ლაკტანციის თხზულებაში „მდევნელთა სიკვდილის შესახებ" და ევსევის „ეკლესიის ისტორიაში".

და ლიკინიუსმა, ავგუსტუსებმა, შევიკრიბენით მილანში, რომ განგვესაჯა ყველა ის საქმე, რაც კი ეხება სახელმწიფოს კეთილდღეობას და უშიშროებას, გადავწყვიტეთ, რომ იმ საკითხთა შორის, რომლებიც ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს, არაფერი ისე არ იქნებოდა სასარგებლო ჩვენი ხალხისათვის, როგორც დადგენა იმისა, თუ რა საშუალებით შეიძლება სამსახური უფლისადმი. ჩვენ დავადგინეთ: მივანიჭოთ ქრისტიანებს და ყველა სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებს უფლება, თავისუფლად აღიარონ ის სარწმუნოება, რომელსაც ისინი ამჯობინებენ. ჩვენ გვგონია კარგი და გონივრული იქნება უარი არ ვუთხრათ არავის ჩვენს ქვეშევრდომებს, იქნება ის ქრისტიანი, თუ სხვა კულტის მიმდევარი, – ჰქონდეს უფლება გაყვეს იმ სარწმუნოებას, რომელიც მისთვის უფრო შესაფერისია. ამრიგად, ღვთაება, რომლის თაყვანისცემა დღეიდან ყველა ჩვენგანს თავისუფლად შეუძლია, გარდმოგვიელენს ჩვენ, თავის მოწყალებას და სიკეთეს".[1]

ქრისტიანებს უნდა დაბრუნებოდათ მთელი ქონება, რაც დევნის დროს წაართვეს, და ის ადგილები (შენობები), სადაც იკრიბებოდნენ, ედიქტის მიხედვით ქონება უბრუნდებოდა არა ცალკეულ პირს, მაგ. ეპისკოპოსს, არამედ ქრისტიანულ თემებს[2]. „მილანის ედიქტი" აღიარებდა სჯულშემწყნარებლობას და სცნობდა ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეკლესიის გათანაბრებას სახელმწიფოებრივ წარმართ კულტებთან. გათანაბრების აღიარება კი, ეკლესიის ორგანიზაციის უპირატესობის წყალობით, თითქმის უდრიდა ქრისტიანული სარწმუნოების გაბატონებულ სარწმუნოებად გამოცხადებას რომის იმპერიაში.

ქრისტიანული ეკლესიის სახით სახელმწიფომ მიიღო ძლიერი ორგანიზაცია, რომლის განკარგულებაშიც იყო დისციპლინირებული მოხელეების – მიტროპოლიტების, ეპისკოპოსების, პრესვიტერებისა და დიაკვნების მთელი არმია. გარდა ამისა, ისეთი მბრძანებლური ხასიათის ადამიანს, როგორიც იყო კონსტანტინე, ეკლესია იზიდავდა თავისი მონარქიული ორგანიზაციით, ავტორიტეტის წინაშე ქედის მოხრის ტრადიციით, ხელი-

---

1 Евсевий Памфил. Церковная история М., 1993. ელექტრონული ვერსია იხ. http://christianity.shu.ru/Texts/eusebius/history.htm. ქართული თარგმანი მოტანილია წიგნიდან: ვ. სერგეევი. ძველი რომის.., გვ. 854.

2 Е. Гергей. История папства.., გვ. 27.

სუფლების ღვთაებრივი წარმოშობის მოძღვრებით და რესპუბ-ლიკისადმი დაპირისპირების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებით. ხოლო ეკლესია, თავის მხრივ, გარდა საჩუქრებისა და პრივილეგიებისა, იძენდა სახელმწიფოებრივ ძალას და ავტორიტეტს, რაც ასე საჭირო იყო ეკლესიის შინაგანი მთლიანობის შესაქმნელად, ღებულობდა სამხედრო ძალას „ქრისტეს სარწმუნოების მტრებისაგან" და უცხო სარწმუნოებათაგან დასაცავად. კონსტანტინემ ლიციინიუსზე გამარჯვების შემდეგ, გამოსცა მთელი რიგი დეკრეტებისა, სახელმწიფოებრივი ეკლესიის ინტერესების სასარგებლოდ. ამით აეკრძალა მუნიციპალიტეტს

აიძულონ ქრისტიანები მიართვან შეწირულობები წარმართ ღმერთებს. ეკლესიის მსახურთ ნება დართეს გაეთავისუფლებინათ მონები ეკლესიის შუამდგომლობით და ეკლესიის სასარგებლოდ. „თითოეულს, ნათქვამია იმპერატორ კონსტანტინეს მიმართვაში ხალხისადმი, ნება ეძლევა სიკვდილის წინ უანდერძოს წმინდა კათოლიკურ და მართლმადიდებელ თემს თავისი ქონება, და ეს მისი გადაწყვეტილება არ იქნება სადაო".[1] უფრო გვიან, 321წ. კონსტანტინემ გამოსცა კანონი კვირა დღის დღესასწაულად გამოცხადების შესახებ და ამით ქრისტიანობა უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენა.

„მილანის ედიქტის" შემდეგ ქრისტიანულმა ეკლესიამ დაიწყო ზრუნვა შინაგან ორგანიზაციაზე. მორწმუნეთა შორის თავიდანვე იყვნენ ხელდასმულნი — მღვდლები, რომლებსაც უნდა დაეცვათ სარწმუნოების სიმბოლო, ექადაგათ ხალხისათვის, შეესრულებინათ ღვთისმსახურება. შემდეგ თვით სამღვდელოებაში დამყარდა იერარქია: მღვდელ-დიაკონზე მაღლა იდგა ეპისკოპოსი, რომელსაც ექვემდებარებოდა ერთი თემის საეკლესიო საქმეები. თემის ეპისკოპოსზე მაღლა იდგა პროვინციის ეპისკოპოსი ანუ არქიეპისკოპოსი ან მიტროპოლიტი.

სამი საეპისკოპოსო კათედრა – რომის, ალექსანდრიის და ანტიოქიის – ყველაზე მნიშვნელოვან საეპისკოპოსოებად ითვლებოდა. თანდათან რომის ეპისკოპოსი, ფაქტობრივად, რომის გამგებლად გადაიქცა, რადგან ქალაქს დაკარგული ჰქონდა იმპერატორის ადმინისტრაციული ცენტრის მნიშვნელობა[2]. ე

---

1 ვ. სერგეევი. ძველი რომის.., გვ. 855.
2 С. І' Лозинский История папства... გვ. 24-25.

313 წლის „მილანის ედიქტი" ქრისტიანობის თავისუფლებაზე პროლოგი იყო. ქრისტიანული ეკლესია საკმაოდ სწრაფად აღმოჩნდა პრივილეგირებულ მდგომარეობაში, 325 წლიდან კი ავტოკრატიულ სახელმწიფო ეკლესიად გადაიქცა. იმპერატორმა საეკლესიო სამფლობელოები გაათავისუფლა სახელმწიფო გადასახადებისაგან. მნიშვნელოვანი თანხები ეპისკოპოსებს ეკლესიათა მშენებლობისათვის და ეკლესიათა საჭიროებისათვის სახელმწიფო ხაზინიდან გადაეცემოდათ. 333 წლიდან ეპისკოპოსებმა მიიღეს სამოქალაქო საქმეებში სასამართლოს წარმართვის უფლება.

პაპი სილვესტერ I (314-335) მით უფრო სიამოვნებით ემორჩილებოდა კონსტანტინეს, რაც უფრო გულუხვ-საპატიო პრივილეგიებს ღებულობდა იურიდიულ და ფინანსურ სფეროებში. V საუკუნეში შეიქმნა ლეგენდა, რომ პაპმა იმპერატორი სიბრმავისაგან განკურნა[1]. ამავე დროს პაპმა იმპერატორისაგან რეზიდენციად მიიღო ლატერანის სასახლე[2]. სწორედ პაპისა და ეკლესიის მომადლიერებით მიაღწია კონსტანტინემ თავისი მოთხოვნის დადებითად გადაწყვეტას ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. ნიკეის საეკლესიო კრებაზე, მართლმადიდებელმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ გაკიცხა არიოზი, ალექსანდრიის პრესვიტერი, რომელიც უარყოფდა მამა-ღმერთისა და ძე-ღმერთის ერთარსობას. არიოზის სწავლება ერესად იქნა მიჩნეული. არიოზმა მრავალი მომხრე შეიძინა აღმოსავლეთში. კონსტანტინემ ივარაუდა, რომ ეკლესიის განხეთქილებას შეეძლო იმპერიისათვის ცალკეული ტერიტორიები ჩამოეცილებინა. იმპერატორთან დაახლოებულმა ეპისკოპოსებმა ოროზიუსმა და ალექსანდრემ შეიმუშავეს სპეციალური ტერმინი „თანაარსი", რომელიც მთელ ქრისტიანულ სამყაროში უნდა დანერგილიყო. ნიკეის საეკლესიო კრებამ 325წელს, იმპერატორის თავმჯდომარეობით შეიმუშავა მართლმადიდებლობის დოგმა - სარწმუნოების სიმბოლო[3].

იმპერატორი აქტიურად ერეოდა საეკლესიო-რელიგიურ საქმეებში. იგი ითვლებოდა ქრისტეს მემკვიდრედ. თუმცა, კონსტანტინე თავს მღვდელმთავრად კი არ თვლიდა,, არამედ „საგარეო

1 С. Г. Лозинский. История папства.., გვ. 26.
2 С. Г. Лозинский. История папства. , გვ. 25.
3 С. Г. Лозинский. История папства.., გვ. 26-27.

საქმეების ეპისკოპოსად" „episcopus extrancus" ან `episcopus in externis".[1]

რომი წარმართი ღმერთების ქალაქი იყო, თან ძალზე დაშორებული იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრებს, რომელსაც გამუდმებით ემუქრებოდა მტრის თავდასხმები, რაც აკნინებდა რომისა და იტალიის მნიშვნელობას. კონსტანტინემ პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი აღმოსავლეთში, ბოსფორზე გადაიტანა, ბერძენთა ახალშენის-ბიზანტიონის ადგილას და 330 წლის 11 მაისს ახალ სატახტო ქალქად კონსტანტინოპოლი გამოცხადდა. იმპერატორის კონსტანტინოპოლში გადასვლამ, ხოლო შემდეგში, დასავლეთ რომის იმპერატორის რეზიდენციის რავენაში გადატანამ ხელი შეუწყო პაპების ავტორიტეტის ზრდას.

ქრისტიანულმა ეკლესიამ ვერ შეძლო წინ აღდგომოდა ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქაში ბარბაროსების შემოსევების შედეგად დასავლეთ რომის იმპერიის დაცემას (476). პროვინციელმა ეპისკოპოსებმა კავშირი დაამყარეს ბარბაროს მეფეებთან. ისინი თანამედროვეებს უმტკიცებდნენ რომის იმპერიის დაცემის გარდუვალობას. IV საუკუნეში საეკლესიო მწერლები ავგუსტინი და მისი მოწაფე ოროზიუსი აცხადებდნენ, რომ რომის იმპერიამ დამსახურებული სასჯელი მიიღო, თავისი გარყვნილებისათვის. რომის პოლიტიკური მნიშვნელობის შესუსტებით, პაპების ავტორიტეტი უფრო გაიზარდა. თანდათან ყალიბდებოდა პაპის უზენაესი ხელისუფლება. პაპებს გაუჩნდათ პოლიტიკური პრეტენზიები. „იტალია ჩუქნიდა პაპს სამფლობელოებს, მის მაგალითს ბაძავდა გალია, დალმაცია, შორეული აფრიკაც კი". მარტო სიცილიაში პაპის საკუთრებაში შედიოდა 400 უდიდესი მიწის ნაკვეთი[2]. პაპების ხელისუფლების განმტკიცებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ლეო I-ს (დიდი) და გრიგოლ I-ს (დიდი).

ლეო I იყო მღვდელმთავარი და დიპლომატი. იგი პირველი

---

1 Е. Гергей. История папства.., გვ. 30.

2 С. Г. Лозинский. История папства.., გვ. 40. ლეონ დიდზე და მის დამოკიდებულებაზე პაპის ხელისუფლებისადმი იხ.: А. Л. Дворкин. Папа Лев Великий и развитие идеи папского верховенства. – ნგბ.: А. Дворкин. Очерки по истории Вселенской Православной Церкви. Курс лекций. Нижний Новгород, 2005. ელექტრონული ვერსია იხ. http://www.sedmitza.ru/index.html?did=31494 იხ. აგრეთვე: http://halkidon2006.narod.ru/o/sobor/578dvorkin.htm

პაპი იყო, რომელსაც მუდმივი წარმომადგენელი ჰყავდა ბიზანტიის იმპერატორის კარზე და ამით მის კავშირს იმპერატორთან პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა[1]. ხალხთა გადასახლების დროს იტალიასა და რომს ფაქტობრივად პაპი იცავდა. როცა ატილამ 452 წ. ვენეცია და ლიგურია მოაოხრა, ლეო I-მა ატილას მრავალი საჩუქარი გადასცა და იტალიიდან წასვლაზე დაითანხმა[2]. 455 წელს კი ვანდალთა მეფის, გეიზერიხის რაზმებისაგან იხსნა რომი. ცდილობდა რა პაპობის გაძლიერებას, ლეო I-მა იმპერატორ ვალენტინ III-ს გამოაცემინა დეკრეტი, პაპის გადაწყვეტილებისათვის კანონის სახის მიცემის შესახებ[3]. ლეო I-მა თეორიულად და შემდეგ გრიგოლ I-მა პრაქტიკულად თავიანთი ეკონომიკური და საეკლესიო-ორგანიზაციული პოლიტიკით მოამზადეს პაპების საერო ხელისუფლებისა და უნივერსალური მმართველობისათვის პირობები[4].

1 С. Г Лозинский. История папства.., გვ. 40.
2 Е. Гергей. История папства.., გვ. 45.
3 С. Г. Лозинский История папства.., გვ. 40.
4 С. Г. Лозинский. История папства.., გვ. 44

გრიგოლ I (დიდი) - ძველი მსოფლიოს უკანასკნელი და შუა საუკუნეების პირველი პაპი

გრიგოლ I (დიდი) ითვლება ძველი მსოფლიოს უკანასკნელ და შუა საუკუნეების პირველ პაპად. მისი პონტიფიკატი ძველი მსოფლიოდან შუა საუკუნეებზე გარდამავალ პერიოდს ემთხვევა. თვით გრიგოლის პიროვნებასა და მისი მმართველობის სტილს ამ გაორებისა და გარდამავლობის კვალი ატყვია. გრიგოლ I-მა უწინასწარმეტყველა ქრისტიანულ ეკლესიას დიდი მომავალი გერმანული, დასავლური სამყაროს გაქრისტიანებითა და ფეოდალურ წყობილებასთან შეგუების გზის. მან საჯაროდ გამოაქვეყნა პრაგმატული ლოზუნგი: „ნებართვა და დაკავშირება", რომელიც გულისხმობდა ძველი, მონათმფლობელური წყობილებიდან უკანდახევას და კავშირის დამყარებას საზოგადოებრივ წყობილებასთან- ფეოდალიზმთან, რომელიც მხოლოდ კაროლინგების ეპოქაში გახდა შესაძლებელი. გრიგოლ I-ის ყველა წამოწყებაში, უპირატესობა ენიჭებოდა საეკლესიო პოლიტიკისა და სასულიერო მოძღვრების პრაქტიკულ და მორალურ საფუძვლებს. სწორედ გრიგოლ I გახდა მომდევნო ეპოქის პაპების-ბერების პროტოტიპი.

გრიგოლ I იყო უძველესი და უმდიდრესი რომაელი სენატორის ოჯახიდან. მას ჰქონდა უდიდესი სამფლობელოები რომის შემოგარენში და სიცილიაში. საერო კარიერაში მან მიაღწია უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობას, იყო რომის პრეფექტი. მაგრამ მოულოდნელად დატოვა თანამდებობა და წავიდა მონასტერში, რომელიც თვითონ მოაწყო თავის სახლში-რომში და მას დაარქვა ანდრეას მონასტერი. მან ასევე, სიცილიის საგვარეულო მამულებში დაარსა კიდევ შვიდი მონასტერი. პელაგიუს II-მ (579-590) ის აქცია დიაკონად და რამდენიმე წლის განმავლობაში ის ბიზანტიაში იყო აპოკრისარიუსი (ელჩი). მას იქ ჰქონდა შესაძლებლობა, დაუფლებოდა პოლიტიკის ხელოვნებას, გაცნობოდა ბიზანტიის იპერიასთან ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს. 585 წლიდან, მანამ სანამ პაპად აირჩევდნენ, ის ბერის ცხოვრებით ცხოვრობდა. გრიგოლ I-ის სახელთანაა დაკავშირებული ლეგენდა წმინდა ანგელოზის კოშკის შესახებ. ლეგენდის თანახმად, 590 წელს რომში მძინვარებდა შავი ჭირი. დიდი ავტო-

რიტეტის მქონე გრიგოლ I-ის მეთაურობით სამი დღე-ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა საჯარო მონანიება შავი ჭირისაგან თავის დაღწევის მიზნით. მაშინ, როცა საეკლესიო მსვლელობა მიემართებოდა, მონანიების მესამე დღეს, იმპერატორ ადრიანეს მავზოლეუმის გასწვრივ, მავზოლეუმის გუმბათის თავზე გამოჩნდა მიხაილ არხანგელი, რომელიც ხმალს დებდა ქარქაშში ღვთის რისხვის დასრულების ნიშნად, რომელსაც მოჰყოლია შავი ჭირის ეპიდემიის გაქრობა. ამ ფაქტის სამახსოვროდ მავზოლეუმის სახურავზე აღუმართავთ ანგელოზის უზარმაზარი ქანდაკება და მავზოლეუმისთვის დაურქმევიათ წმინდა ანგელოზის კოშკი (მავზოლეუმი აშენებული იყო იმპერატორ ადრიანეს მიერ 136 წელს და ავრელიუსის დროიდან გამოიყენებოდა სამხედრო დანიშნულებისათვის). როცა პაპები გახდნენ რომის მფლობელები და მათ კოშკი ხელში ჩაიგდეს, მას შემდეგ, მავზოლეუმი მათ მიერ ხშირად გამოიყენებოდა თავშესაფრად.

გრიგოლ I-ის წინამორბედმა პაპებმა ვერ შეძლეს რომის პაპის ძალაუფლების გაბატონება დასავლეთში და ვერც აღმოსავლეთში. აშკარა იყო, რომ საეკლესიო, უმაღლეს ძალაუფლებას კონსტანტინოპოლის პატრიარქი მიიღებდა, რომელსაც მხარს უჭერდა ბიზანტიის იმპერატორი. 587 წლიდან, იოანემ (მემარხულემ) თავი გამოაცხადა მსოფლიო ეპისკოპოსად, რომლის წინააღმდეგ უშედეგოდ იბრძოდა რომის პაპი, პელაგიუს II-ე. 595 წლიდან საეკლესიო კრებისა და იმპერატორის მხარდაჭერით, პატრიარქ იოანეს მიენიჭა მსოფლიო პატრიარქის ტიტული (აქედან მოყოლებული კონსტანტინოპოლის პატრიარქებმა მიითვისეს ეს ტიტული). მაშასადამე, კანონით დადასტურდა ის ფაქტი, რომ იმპერიის ეკლესიაზე ვრცელდებოდა ბიზანტიის პატრიარქის იურისდიქცია. იმის შიშით, რომ ბიზანტიის იმპერიის პატრიარქის ძალაუფლება არ გავრცელებულიყო მსოფლიო ეკლესიაზე, ალექსანდრიის პატრიარქმა მსოფლიო პატრიარქის ტიტული, გრიგოლ I-ს შესთავაზა. მიუხედავად ამისა, იგი მსახურებას განაგრძობდა, როგორც „ღვთის მონათა მონა".

ამრიგად, პაპობის ისტორიაში პირველად გრიგოლ I-ის დროს დამკვიდრდა მსოფლიო ეკლესიის მსახურების კონცეფცია, რომლის თანახმადაც, ეკლესიის ხელმძღვანელობა და მართვა ღვთის მსახურებას ნიშნავდა. გრიგოლ I-ის მიერ ფორმული-

რებული და განხორციელებული მსახურება უფლის სახელით, გახდა საუკეთესო საეკლესიო-პოლიტიკური საშუალება, ბიზანტიის იმპერატორისა და მისი კარის იერარქიის, პრეტენზიების წინააღმდეგ საბრძოლველად.

გრიგოლ I-ი პაპის უზენაესი ძალაუფლების რეალიზებისას, ეკონომიკურ და საეკლესიო-ადმინისტრაციულ საქმიანობაში, ეყრდნობოდა კარგად განვითარებულ, ცენტრალიზებულ ბიუროკრატიას. მან განამტკიცა პაპის ჩინოვნიკური აპარატი, ე. წ. პაპის კურია. VI საუკუნის დასასრულისათვის, პაპები მართავდნენ უძლიერეს რომის ეკლესიას, ამასთან, ისინი ასრულებდნენ სამოქალაქო მოსამართლეების მოვალეობას რომში. გრიგოლ I-ის, როგორც დასავლეთის პატრიარქისა და უზენაესი მოსამართლის იურისდიქცია, ვრცელდებოდა მთელი დასავლეთის ეკლესიებზე. ბოლოს და ბოლოს, პაპების ხელში აღმოჩნდა უმსხვილესი საეკლესიო მიწები, რომელიც იწოდებოდა წმინდა პეტრეს მემკვიდრეობად (patrimonium Sancti Petri). (წმინდა პეტრეს პატრიმონიუმში იგულისხმება ქონება, საჩუქარი, რომელიც გადაეცემოდა პაპს ან სხვა გზით მიღებული სიმდიდრე რომელიც მის მფლობელობაში გადადიოდა და საჩუქრად გადაეცემოდა პეტრეს, პირველ ეპისკოპოსს და არა იმ პაპს, რომელიც ითვლებოდა მის მემკვიდრედ და განკარგავდა მის ქონებას). ეკლესიის მართვისა და საეკლესიო-პოლიტიკური ფუნქციების განხორციელებისათვის აუცილებელი იყო განათლებულ ჩინოვნიკთა არმია. პაპის დაწესებულებები იქმნებოდა საიმპერატორო მმართველობის აპარატის მსგავსად. არსებობდა ჩინოვნიკთა ჯგუფი, რომელთა საფუძველზეც ჩამოაყალიბდა პაპის კურია. კურია შედგებოდა 7 განყოფილებისაგან. თითოეული განყოფილება, ურთიერთისაგან განსხვავებული ამოცანების გადაწყვეტით იყო დაკავებული. თითოეულ განყოფილებას, ქვეგანყოფილებას ჰყავდა თავისი ხელმძღვანელი: ნოტარიები-რეგიონარები. უწყების ხელმძღვანელს მთავარი ნოტარიუსი ეწოდებოდა. კურიის გარეთ მსახურებს, პაპის ემისრებს უწოდებდნენ. ისინიც იყოფოდნენ 7 განყოფილებად და მათ ხელმძღვანელებს დეფენზორები-რეგიონარები ეწოდებოდათ, ყველა მათგანი ემორჩილებოდა მთავარ დეფენზორს, ემისარს. ამ თანამდებობებზე ინიშნებოდნენ სასულიერო ფენის ყველაზე

დაბალი ფენის წარმომადგენლები. პაპის ჩინოვნიკურ აპარატს ავსებდა ბიზანტიის ელჩი (აპოკრისარიუსი), რომელსაც ეკავა ყველაზე დიდი და საპატიო თანამდებობა საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. პაპის ჩინოვნიკთა შენახვა ხდებოდა პაპის ლატიფუნდიებიდან შემოსული შემოსავლებით, რომელსაც ასევე, განკარგავდნენ პაპის ჩინოვნიკები. პაპის ადმინისტრაციის მუშაობა რეგულირდებოდა ჯერ კიდევ დიონისეს პერიოდში შექმნილი კანონებით (სამოციქულო ეკლესიის წესებით), და ასევე გრიგოლ I-ის მოღვაწეობის დროს შექმნილი კანონებით. გრიგოლ I-ის პონტიფიკატის დროიდან, რომის იერარქები კარჩაკეტილ კასტად, არისტოკრატიულ ორდენად ჩამოყალიბდნენ, რომელთაც ჰქონდათ პაპის არჩევის განსაკუთრებული უფლება. თავდაპირველად რომის ეპისკოპოსს ირჩევდნენ ისე, როგორც სხვებს: ქალაქის სამღვდელოება, მეზობელი რეგიონებიდან ეპისკოპოსები და ხალხი ერთობლივად. მე-V საუკუნეში რომის სამოქალაქო არისტოკრატიამ და უმაღლესმა საეკლესიო იერარქიამ ხალხი თითქმის ჩამოაცილა არჩევნებს, მათ დარჩათ მხოლოდ არჩევნების შედეგების მოწონების უფლება. მე-V საუკუნის ბოლოს, პაპის არჩევის უფლების რეგლამენტირება დაიწყეს. პაპის ძალაუფლების განმტკიცებასთან ერთად, ამომრჩეველთა რაოდენობამ საგრძნობლად იწყო კლება. ამომრჩევლები ძირითადად იყვნენ ფეოდალები და უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენლები, რომლებიც ფლობდნენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალაუფლებას. უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენლები იყვნენ კარდინალები. კარდინალებს ადრე ეძახდნენ რომაელ კლირიკებს, რომლებიც მუდმივად მსახურობდნენ რომის ეკლესიებში და პაპს ეხმარებოდნენ საეკლესიო მმართველობაში. თავდაპირველად ასე ეძახდნენ რომის 25 მთავარი ეკლესიის მღვდლებს, შემდეგში კი ამ ეკლესიებიდან პირველ მღვდელს. ასევე, კარდინალებს ეძახდნენ უმსხვილესი საკათედრო ტაძრების ეპისკოპოსებს მილანში, რავენაში და გერმანიაში, თუმცა ეს სახელწოდება ზოგადად XI-ე საუკუნემდე მხოლოდ რომის ეკლესიის ფარგლებში ვრცელდებოდა.

VI საუკუნის დასაწყისში 7 რეგიონალური კარდინალი-დიაკონი იყო, მოგვიანებით მათი რაოდენობა 12-მდე გაიზარდა, რომელთაც შეუერთდა კიდევ 6 პალატინელი კარდინალი-დი-

აკონი. ეს უკანასკნელნი, როგორც უხუცესი პრესვიტერების მემკვიდრეები, ქმნიდნენ პაპის საბჭოს. მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისათვის და შემდგომში ღვთისმსახურების დროს პაპს რომ შენაცვლებოდნენ, რომის შემოგარენის ეკლესიებიდან იწვევდნენ კიდევ 7 კარდინალ-დიაკონს და ისინიც უერთდებოდნენ კარდინალთა კორპუსს. მათ უწოდებდნენ კარდინალ-ეპისკოპოსებს. მაშინ, როცა რომში შეიჭრნენ ბარბაროსები და მიიტაცეს რომის ტერიტორია ნაწილებად გოთებმა, ვანდალებმა, ლანგობარდებმა და ჰუნებმა, პაპები გახდნენ ფაქტიურად რომის არისტოკრატიის ხელმძღვანელები. რომის ცენტრალური ხელისუფლების კრახის შემდეგ, ქალაქებში სახელმწიფო მმართველობის ფუნქციები ხელში აიღეს ეპისკოპოსებმა, სოფლად მსხვილმა მიწათმფლობელებმა.

ანტიკური მიწათმფლობელობა თანდათანობით, გარდაიქმნებოდა ფეოდალურ მიწათმფლობელობად და მეურნეობა ღებულობდა ნატურალურ ხასიათს. დომენთა მფლობელები ლანგობარდებისაგან თავს ადგილობრივი ძალებით იცავდნენ. რომსა და მის შემოგარენში ძალაუფლებას განკარგავდა ყველაზე დიდი მესაკუთრე-რომის პაპი. VI საუკუნის შუახანებიდან იქ უკვე აღარ ირჩევდნენ კონსულებს, შემდეგ კი სენატიც დაითხოვეს. არისტოკრატიამ, რომელიც მსხვილი მიწათმფლობელებისაგან შედგებოდა, პოლიტიკური ძალაუფლება გადასცა მათ მიერ არჩეულ, ან უმეტეს შემთხვევაში მათი წრიდან გამოსულ პაპს.

იმპერატორ იუსტინიანე I-ის გარდაცვალების (565) შემდეგ ბიზანტიის ხელისუფლებამ ლანგობარდების თავდასხმის შედეგად კრახი განიცადა რომსა და ცენტრალურ იტალიაში და შეიქმნა პოლიტიკური ხელისუფლების კრიზისი. ბიზანტიის იმპერატორებს არ შესწევდათ უნარი, დაეცვათ რომი და იტალია, ლანგობარდები კი ვერ ფლობდნენ საკმარის ძალებს ქვეყნის დასაპყრობად. პოლიტიკური ხელისუფლების ვაკუუმისა და პოლიტიკური ანარქიის პირობებში, ეკონომიური და რელიგიურ-მორალური ავტორიტეტის საფუძველზე განმტკიცდა პაპების პოლიტიკური ძალაუფლება. ანტიკური ეპოქისა და შუა საუკუნეების მიჯნაზე, ბიზანტიისა და გერმანული ბარბაროსული სამეფოების მხრიდან პრეტენზიების მიუხედავად, პაპები გახდნენ იტალიის პოლიტიკური ხელმძღვანელები. 592 წელს

ლანგობარდებმა კვლავ დაანგრიეს რომი. გრიგოლ I, რომელმაც ვერ მიიღო ეგზარქოსიდან ვერანაირი დახმარება, 584 წელს ჩავიდა თავის რეზიდენციაში, რავენაში და თვითონ შეეცადა თავიდან აეცილებინა ახალი საფრთხე. გრიგოლ I-მა 593 წელს მიაღწია დიდ წარმატებას ლანგობარდებთან მოლაპარაკებაში, გადაუხადა მათ რა დიდი თანხა, შეძლო დაზავება. თუმცა, შემდგომში, პაპის დამოუკიდებელმა პოლიტიკამ გამოიწვია ბიზანტიის (რავენის) უკმაყოფილება და კვლავ დაიწყო ომი ბიზანტიასა და ლანგობარდებს შორის. 598 წელს ბიზანტიელები კვლავ დამარცხდნენ და ისევ პაპმა თავისი მცდელობით შესაძლებელი გახდა დაზავება. განვითარებული მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აშკარად ჩანს, გრიგოლ I-ის სწრაფვა, დასავლეთის ეკლესიის პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ.

გრიგოლ I-ი ბიზანტიის იმპერატორისადმი გაგზავნილ პირველ ნერილში უკვე საუბრობს, ლანგობარდებისაგან შევიწროებულ და დაჩაგრულ თავის ქვეყანაზე-იტალიაზე. პაპი ცდილობდა იტალიის სრულფასოვანი მმართველი გამხდარიყო და ამიტომ იგი დაუპირისპირდა რავენის ეგზარქოსს. იმპერატორი მავრიკე, ჯერ კიდევ თავის თავს თვლიდა ავტორიტარულ მმართველად იტალიაში. მაგრამ პაპი, მიუხედავად იმისა, რომ ღიად აღიარებდა იმპერატორის ძალაუფლების უზენაესობას, სინამდვილეში იგი თავს უკვე მიიჩნევდა იტალიისა და რომის დამოუკიდებელ მმართველად. პაპობის როლის ასე გაძლიერება გამოიწვია მათ ხელში მიწების დიდი რაოდენობით თავმოყრამ, რომელიც მათ გადასცეს მსხვილმა მიწათმფლობელებმა, თვლიდნენ რა ისინი მომგებიანად ეკლესიის მფარველობაში შესვლას. როგორც კი პაპები დაეპატრონენ მიწებს, მათ დაამყარეს ორივე მხარისათვის მომგებიანი კავშირები ხალხთან და სანაცვლოდ მიიღეს უდიდესი მარაგი ხორბლისა და სურსათის და შეძლეს თავიანთი ძალაუფლების გავრცელება იტალიის არისტოკრატიაზე.

VI საუკუნის დასასრულს, ზემოთ მითითებული პროცესების წყალობით, პაპი შეიქნა იტალიის ყველაზე მსხვილი სიუზერენი. გრიგოლ I-ს ამ დროისათვის ჰქონდა 23 მსხვილი სამფლობელო იტალიაში, კუნძულებზე, ილირიასა და დალმაციაში[1]. ერთიანი

1 де Местр. О папе. Пет, 1867. გვ. 159.

სახელმწიფოს ბირთვი შეიქმნა პირველ რიგში დანანევრებული სამფლობელოების ხარჯზე, რომლებიც მდებარეობდნენ რომის, რომანიისა და პენტაპოლის ტერიტორიებზე. VI საუკუნის ბოლოს პაპის ტერიტორიამ შეადგინა 85 ათასი კვადრატული მილი, ხოლო ყოველწლიური შემოსავალი შეადგენდა 6 მილიონ ოქროს მარკას, თუმცა პაპის სამფლობელოს მნიშვნელოვანი ნაწილი ლანგობარდების ხელში იყო. ლანგობარდების დაპყრობების შემდეგ, ჩრდილოეთი იტალია როგორც საეკლესიო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით ჩამოშორებული აღმოჩნდა იტალიის ერთიანი სხეულისაგან. გრიგოლ I-მა თავისი ოჯახის საკუთრების ხარჯზე შეძლო აენაზღაურებინა მატერიალური ზარალი, რომელიც პაპობის შემოსავლებს მიაყენა ლანგობარდებთან ომმა. მან თავის სამფლობელოებში, რომელიც ჰქონდა სიცილიაში, დალმაციაში, ილირიაში, გალიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში, დაიწყო მიზანმიმართულად მეურნეობის განვითარება. მეურნეობებს სათავეში ჩაუყენა დიდი გამოცდილების მქონე მღვდლები და მათზე დააწესა მკაცრი კონტროლი. რეორგანიზაციით გრიგოლ I-მა ბოლო მოუღო ამ ტერიტორიებზე ეპისკოპოსებისა და საერო ფეოდალების მხრიდან არაკომპეტენტურ ჩარევებს.

ფეოდალიზმის ეპოქაში მამულების ორგანიზებული და ეფექტური მართვა არის ფეოდალური არისტოკრატიის მონაპოვარი. კარგად ორგანიზებული, მდიდარი სამფლობელოებიდან მიღებულმა შემოსავლებმა და პროდუქციამ პაპს მისცა შესაძლებლობა, ეზრუნა რომსა და იტალიაზე, ეწარმოებინა ქველმოქმედება. გრიგოლ I-მა მიაღწია პაპობის ეკონომიკურ ძლიერებას და განაცხადა პრეტენზიები საერო ხელისუფლებაზე. ამასთან, მან საფუძველი ჩაუყარა პაპების სახელმწიფოს მომავალს. მონყალების მსახურებამ-დიაკონიამ ხელი შეუწყო იმ ფაქტს, რომ პაპმა რომის სამოქალაქო ადმინისტრაციაში გადამწყვეტი გავლენა შეიძინა და სახელმწიფოს ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულება იტვირთა. ამაზე მიანიშნებს თუნდაც ის ფაქტი, რომ გრიგოლ I-ის დროს რომის მოსახლეობამ პირველად პირველ მღვდლად (Pontivcx Maximus) პაპი აირჩია.

ბერმონაზვნობა, ეგვიპტეში დაარსდა და VI საუკუნემდე წმინდა აღმოსავლურ მოვლენად ითვლებოდა. ბერმონაზვნობის ევროპული ფორმა ჩამოყალიბდა როგორც პროტესტი, ეკლე-

სიისა და მმართველი კლასის წინააღმდეგ. პირველი მონასტერი დაარსებულ იქნა 529 წელს მონტე-კასინოში ბენედიქტე ნურსელის (490-548) მიერ. ფეოდალური განვითარების ეტაპზე მყოფ იტალიაში ბერმონაზვნობა გაერთიანდა ორდენში, რომელიც გასამხედროებულ გლეხთა გაერთიანებას მოგვაგონებდა. ბენედიქტე ნურსელის მიერ შედგენილი სამონასტრო წესდება (530) განსხვავდებოდა აღმოსავლური ბერმონაზვნური ცხოვრების წესის მოთხოვნებისაგან. წესდება მოქმედებდა არა მხოლოდ მის მიერ დაარსებულ, არამედ სხვა მონასტრებშიც. წესდებით, ბერებისადმი დამოკიდებულება უფრო შემსუბუქებული იყო. აღმოსავლური მონასტრების წესდებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სულიერ მოღვაწეობას. წესდება ითვალისწინებდა: თვითუზრუნველყოფას, ერთ ადგილზე ცხოვრებას, ერთობლივ საქმიანობას (მიწათმოქმედებასა და ხელოსნობას) მონასტერში, ასევე, ერთობლივ ლოცვას, ქორწინებაზე და საკუთრებაზე უარის თქმას, მორჩილებას. ეს წესდება შედარებით ზომიერი იყო, ვიდრე აღმოსავლური ბერმონაზვნური ფანატიზმი. ბენედიქტელებმა თავიანთ ცხოვრებისეულ განრიგში, რომლის ძირითადი მოთხოვნა იყო „Ora et labora!"(„ილოცე და იშრომე")[1], გაითვალისწინეს აგრეთვე გონებრივი სამუშაო. ისინი მონასტრებში ქმნიდნენ სკოლებს, ბიბლიოთეკებს, სახელოსნო-სკრიპტორიებს, სადაც გადაიწერებოდა წიგნები. სწორედ გრიგოლ I-მა დანერგა ეკლესიებში ბერმონაზვნობის საქმიანობის ეს ფორმა, მათ წინაშე დასახა ახალი მიზანი-წარმართების გაქრისტიანება. გრიგოლ I-ი, რომელიც ვერ იტანდა ანტიკურ კულტურას რელიგიური ფანატიზმის გამო, მეტნაკლებად ახდენდა პაპების უზენაესი ძალაუფლების რეალიზებას ზუსტად იმით, რომ მხარი დაუჭირა და თავისი გეგმების სამსახურში ჩააყენა ბერმონაზვნობა. ბერმონაზვნობამ, მიიღო რა პაპების მხარდაჭერა, გახდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დასაყრდენი.

გრიგოლ I ხელს უწყობდა ბერებისა და სამღვდელობის იდეოლოგიურ მომზადებას მისიონერული საქმიანობისათვის. მან ლათინურ ენაზე თარგმნა აღმოსავლეთში შექმნილი თეოლო-

1 http://www.sedmitza.ru/text/441584 html

გიური შრომები. ის ნეტარი ავგუსტინეს შრომების პოპულარიზაციას ეწეოდა და შუა საუკუნეებმა მისი ნაშრომები არა პირველწყაროებიდან, არამედ გრიგოლის წყალობით გაიცნო. გრიგოლ I-ის ნაწარმოებებით, უბრალო ადამიანებისათვის გასაგები და პოპულარული გახდა წარმოდგენები ანგელოზსა და ეშმაკზე, საიქიოსა და ჯოჯოხეთზე და ლეგენდები აბსურდულ საოცრებებზე გადაიქცნენ იმ ძალად, რომელიც ხელს უწყობდა ადამიანის ცნობიერების ჩამოყალიბებას. გრიგოლ I-ის მოღვაწეობაში, ყველაზე მნიშვნელოვნად ეკლესიისა და პაპობის მომავლის თვალსაზრისით, შეიძლება ჩაითვალოს გერმანული სამყაროს გაქრისტიანების პროგრამა, ბერმონაზვნული საქმიანობის დახმარებით. ამისკენ, მას უბიძგებდა ბიზანტიის იმპერატორებისა და პატრიარქების მძიმე მემკვიდროებისაგან განთავისუფლების სურვილი და დასავლეთ ევროპაში მისი გავლენის გაფართოება, ფართომასშტაბიანი მისიონერული საქმიანობის გააქტიურება. ბარბაროსული სამეფოების მოსახლეობა, უმთავრესად არიოზის მიმდევარი იყო და უპირისპირდებოდა კათოლიკურ რომს, რომელიც აღიარებდა ნიკეის მსოფლიო კრების მიერ მიღებულ სიმბოლოებს. გერმანული სამყაროს გაქრისტიანება გრიგოლისათვის ნიშნავდა, მათ გადაქცევას რომის მოკავშირეებად.

გერმანელ ხალხებს შორის ფრანკები იყვნენ პირველნი, რომელთაც ევროპის ტერიტორიაზე ჩამოაყალიბეს ფეოდალური სახელმწიფო. V-ე საუკუნის დასასრულს, ფრანკებმა დაიკავეს ჩრდილო-აღმოსავლეთი გალია, რომელიც რომის იმპერიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა და რომელსაც ფრანკთა ბელადები მართავდნენ. ფრანკები, განსხვავებით სხვა გერმანელი ტომებისაგან, წარმართები იყვნენ. ამიტომაც, რომაელმა მისიონერებმა ფრანკებზე გაამახვილეს ყურადღება. ფრანკთა მეფემ, ხლოდვიგ I-მა (481-511) ალემანებზე გამარჯვების (496) შემდეგ თავის ხალხთან ერთად მიიღო ქრისტიანობა, რომლითაც მან საფუძველი ჩაუყარა რომის ეკლესიისა და ფრანკთა სახელმწიფოს თანამშრომლობას. ხლოდვიგმა ქრისტიანობის მიღებით ძლიერი მხარდაჭერა მოიპოვა რომის ეკლესიის მხრიდან და მას ხელი შეუწყო გაევრცელებინა თავისი გავლენა ესპანეთზე და თითქმის მთლიანად გერმანულ სამყაროზე. V-ე საუკუნის დასასრულს, გერმანელი ტომები-გოთებიც გაქრისტიანდნენ

და ბოლოს, 596 წელს გრიგოლ I-მა ბრიტანეთში გააგზავნა 40 ბერმონაზონი, რომლებმაც კენტის სამეფო კარის დახმარებით დაიწყეს ადგილობრივი მოსახლეობის გაქრისტიანება. ბერმონაზვნურმა საქმიანობამ ხელი შეუწყო პაპის ავტორიტეტის ამაღლებას. სხვადასხვა გერმანული სამეფოებისა და ხალხების გაერთიანება დასავლურ კათოლიკურ ორგანიზაციაში, ქმნიდა რეალურ საფრთხეს, რომ მათ ჩამოეყალიბებინათ ნაციონალური ეკლესიები, რომლებიც შეიძლება გამხდარიყვნენ პაპის ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელნი. ასეთი შემთხვევა იყო გალიაში, სადაც ეკლესია VII-VIII საუკუნეებში ექვემდებარებოდა ფრანკთა მეფეებს და არა რომის პაპს. გრიგოლ I გრძნობდა პარტიკულარიზმის საშიშროებას და ცდილობდა ეს ტენდენცია შეეჩერებინა ძლიერი, ცენტრალიზებული საეკლესიო ადმინისტრაციული აპარატის შექმნის გზით, თუმცა, როგორც ეს შემდგომ ასწლეულში განვითარებული პროცესებიდან ჩანს, წარმატება არ მოჰყოლია მთელი რიგი მიზეზების გამო.

გრიგოლ I-მა თავისი მსოფლმხედველობითა და საეკლესიო-ადმინისტრაციული მისწრაფებებით დროს გაუსწრო. მისი იდეების რეალიზაციისათვის პირობები ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული. მისმა მომდევნო პაპებმა გერმანელთა გაქრისტიანება კათოლიკური ფორმით დიდი ხანი ვერ შეძლეს, ბიზანტიის ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბების გამო.

VII საუკუნეში პაპები ორი უძლიერესი ძალის გავლენის ქვეშ მოექცნენ: ერთის მხრივ ცეზარეპაპისტური ბიზანტია, მეორე მხრივ ფრანკო-ლანგობარდები. პაპები მუდმივად იცვლებოდნენ და ეს იმაზე იყო დამოკიდებული, თუ ვინ გაიმარჯვებდა რომში. არასტაბილური მდგომარეობა ბიზანტიის იმპერიაში და თვით იტალიაში, ნაკლებად იძლეოდა შესაძლებლობას გრიგოლ I-ის მსგავსად, სხვა პაპებს ებრძოლათ პაპის ძალაუფლების პრიმატისათვის საერო ხელისუფლებაზე.

პაპი ჰონორიუსი (625-638) ჩათრეულ იქნა ქრისტოლოგიურ დისკუსიებში, რომელიც მიმდინარეობდა მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების მხარდამჭერებს შორის. კონსტანტინოპოლის პატრიარქი სერგი კვიროს ალექსანდრიელთან ერთად ცდილობდა შემრიგებლური ფორმულის შემუშავებას, რასაც მართლმადიდებლობის წიაღში უნდა დაებრუნებინა განდგომილნი. აქე-

დან იღებს სათავეს მონოთელიტური მოძღვრება, რომელსაც იმ-პერატორი განსაზღვრავს სარწმუნოების გადმოცემისას და რაც ცნობილია „ეკთესის"(638) სახელწოდებით[1]. ამ გზით პატრიარქი ცდილობდა, რომის ეკლესიასთან შეერიგებინა მონოფიზიტები. პაპი ჰონორიუსი თეოლოგიური დისკუსიებისათვის მზად არ აღმოჩნდა და მან მხარი დაუჭირა პატრიარქ სერგის, რომელიც ქრისტეს ნებაზე დავას კრძალავდა. პაპი ჰონორიუსი კონსტან-ტინოპოლის კრებამ ერეტიკოსად გამოაცხადა. პაპის მიერ დაუ-ფიქრებლად მიღებულმა გადაწყვეტილებამ ბიზანტიის იმპერა-ტორ ირაკლის (610-641) მისცა შესაძლებლობა ეს კონცეფცია: „მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს ორი ბუნება-ღვთაებრივი და ადამიანური გააჩნია, არსებობს მხოლოდ ერთი, ღვთაებრივი ნება" იმპერიის მთელ ტერიტორიაზე გაევრცელებინა. იმპერა-ტორმა კონსტანტინე IV-მ (668-685) პაპ აგათონის (678-681) თანხმობით მოიწვია კრება ამ საკითხის ხელახალი განხილვისათ-ვის. კონსტანტინოპოლის მსოფლიო კრებას (680-681) ესწრებო-და 174 ეპისკოპოსი. კრების მუშაობას ხელმძღვანელობდა თვით იმპერატორი. მონოთელიტების ბელადი მაშინ იყო ანტიოქიის პატრიარქი. კრებამ აგათონის მტკიცებულებზე დაყრდნობით, უარყო მონოთელიტობა, დაამტკიცა ქალკედონის სიმბოლოები და ანათემას გადასცა პაპი ჰონორიუსი, რომელმაც მხარი დაუ-ჭირა ამ მიმდინარეობას. კრების გადაწყვეტილება დაამტკიცა პაპმა ლეო II-მ (682-683).

VII საუკუნის მეორე ნახევარში, იტალიაში ჯერ კიდევ ძლიერი იყო ბიზანტიის გავლენა. ბიზანტიის სახელმწიფოებრი-ვი მანქანა პაპს უყურებდა, როგორც სახელმწიფო და საეკლე-სიო ჩინოვნიკს. ეს ჩანს იქიდანაც, რომ პაპ ბენედიქტე II-ის (684-686) დროს ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე IV-მ რავენის ეგზარქატს გადასცა პაპების დამტკიცების უფლება. პაპი-ჩი-ნოვნიკი მან დაუმორჩილა ჩინოვნიკს. ბიზანტიის გავლენისაგან პაპებმა განთავისუფლება დაიწყეს VIII საუკუნის დასაწყისში, რომელიც ნაწილობრივ იტალიაში ბიზანტიის გავლენის დასუს-ტებით, ნაწილობრივ ფრანკთა სახელმწიფოს წარმოშობითა და გაძლიერებით გახდა შესაძლებელი. უკანასკნელი პაპი, რომელ-იც ჩინოვნიკის რანგში ბიზანტიის იმპერატორმა გამოიძახა,

1 შარლ დილი. ბიზანტიის იმპერიის ისტორია. თბ., 1998., გვ. 38.

იყო კონსტანტინე I (708-715). ამ მომენტიდან დაიწყო პაპებისა და ბიზანტიის იმპერატორების დაშორების პროცესი, ვინაიდან, პაპებმა კავშირი შეკრეს ფრანკ მეფეებთან, რომელმაც პაპების პოლიტიკაში ახალი მიმართულება დაამკვიდრა.

ამრიგად, გრიგოლ I-ის ადმინისტრაციულ-საორგანიზაციო საქმიანობის შედეგად საფუძველი ჩაეყარა საეკლესიო სახელმწიფოს და პოლიტიკურ უნივერსალიზმზე გადასვლის ბაზა შეიქმნა. გრიგოლ I-ის პონტიფიკატმა რელიგიური უნივერსალიზმის დამკვიდრებასთან ერთად, დასავლეთში პოლიტიკური უნივერსალიზმისათვის ეკონომიკური, სახელმწიფოებრივ-სახელისუფლებო საფუძვლები მოამზადა. რომის კათოლიკური ეკლესიის, როგორც მსოფლიო ეკლესიის, მნიშვნელობის გაზრდის მიზნით გატარდა რეფორმა ლიტურგიის დარგში. მის სახელს უკავშირდება მესისა და საეკლესიო გალობის განახლება, გრიგორიანული საეკლესიო მუსიკის შექმნა. საეკლესიო, რელიგიური უნივერსალიზმის იდეების განვითარებას ხელს უწყობდა ბერმონაზვნობა, რომელსაც თვითონ გრიგოლ I ამკვიდრებდა და ეხმარებოდა. მის პონტიფიკატს შუა საუკუნეების დასაწყისს უწოდებენ იმის გამოც, რომ ის პირველი ჩაწვდა ბერმონაზვნობის მნიშვნელობას, რომელიც პაპების მიერ გამოიყენებოდა ქრისტიანული, მისიონერული საქმიანობისათვის.

პაპების საერო ხელისუფლების წარმოშობა და ე. წ. „კონსტანტინეს ნაბოძვარი“

VIII საუკუნეში ბიზანტიის იმპერიას არაბების შემოჭრის საფრთხე დაემუქრა. 716 წ. არაბები შეიჭრნენ გალატიაში და შავ ზღვას მიაღწიეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ, ხალიფა ომარ II-ის დროს, ისინი კონსტანტინოპოლს მიადგნენ. ამ პერიოდში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად იმპერატორი გახდა ლეონ III[1] (675-741) ისავრიელი, ნიჭიერი მხედართმთავარი, წარმოშობით სირიელი. ბიზანტიის განაპირა ნახევრადსემიტურ მოსახლეობაში თანდათან იზრდებოდა იმპერიის რელიგიური პოლიტიკით უკმაყოფილება, რამაც ხატთაყვანისცემის წინააღმდეგ ბრძოლის სახე მიიღო. ხალხის დაბალ ფენებში ფართოდ გავრცელებული იყო პავლიკიანების[2] ერესი, რომელიც მოსახლეობას ფეოდალური ექსპლუატაციის, სოციალური უთანასწორობისა და საეკლესიო იერარქიის წინააღმდეგ განაწყობდა.

მოსახლეობის უკმაყოფილებას ძირითადად ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთბრძოლა იწვევდა, რომელიც მიწების ხელში ჩასაგდებად მიმდინარეობდა.

---

1 ისავრიელთა დინასტიის დამაარსებელი. დანინაურდა იმპ. იუსტინიანე II-ის დროს. გამოხატავდა პროვინციული არისტოკრატიის ინტერესებსა და მმართველობის ცენტრალიზაციისათვის იბრძოდა. მოიგერია არაბთა შემოტევები (717-718 კონსტანტინეპოლთან, 740 აკროინოსთან). 726 წ. გამოსცა კანონთა კრებული „ეკლოგა“ 730 წლის ედიქტით აკრძალა ხატთაყვანისმცემლობა.

2 პავლიკიანელობა ეარაუდით პავლე მოციქულის სახელიდან – დიდი მწვალებლური მოძრაობა შუა საუკუნეების ქრისტიანობაში, ჩაისახა VII ს-ში ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ ნანილში (დამბ. სომხეთი), დამაარსებელია სომეხი კონსტანტინე, რომელმაც მოგვიანებით სილვანი დაირქვა. VIII ს-ის დასაწყისში პავლიკიანობა გავრცელდა აღმ. სომხეთში, ბიზანტიის მცირე აზიაში, ძირითადად გლეხობასა და ნანილობრივ ქალაქის დაბალ ფენებში. პავლიკიანობა, როგორც სარწმუნოება, საბოლოოდ IX ს-ის II ნახევარში ჩამოყალიბდა. პავლიკიანობის მიმდევრებმა პავლიკიანელებმა თავისი სახელმწიფო დააარსეს მცირე აზიაში არაბეთ- ბიზანტიის საზღვარზე, დედაქალაქი – თეფრიკა. პავლიკიანეების მიმდევრები ბიზანტიელებმა 872 წ.გაანადგურეს და აიღეს თეფრიკა (878). გადარჩენილებმა სომხეთს შეაფარეს თავი, სადაც მათი მიმდევრები გახდნენ თონდრაკელები. პავლიკიანელები დუალისტები იყვნენ: აღიარებდნენ სიკეთის ღმერთს (ეციური მამა) და სიბოროტის თმერთს (სატანა), იესო ქრისტეს ერთ-ერთ ანგელოზად და სიკეთის ღმერთის ძედ მიიჩნევდნენ. მათი აზრით დედამინაზე სიბოროტის ღმერთის განადგურების შემდგომ გაბატონდებოდა სიკეთის ღმერთი ისინი უარყოფდნენ ღვთისმშობლის კულტს, მოციქულებს, წმინდანებს, ეკლესიას, სამღვდელოებას და განსაკუთრებით, ბერმონაზონებს. წმინდა წიგნად მხოლოდ ახალ აღთქმას (პეტრეს, ეპისტოლეების გარეშე) აღიარებდა.

ლეონ III-მ დაინახა საფრთხე, რომ განაპირა მხარის უკმაყოფილო მოსახლეობა შეიძლებოდა არაბების მხარეზე გადასულიყო, რადგან ვერ იტანდნენ სამღვდელოების ხატთაყვანისმცემლების ძირითად ბირთვს და იმპერატორმა მოსახლეობის გულის მოსაგებად ბრძოლა დაიწყო ხატთაყვანისმცემლებთან, რომელმაც მიიღო ხატმებრძოლობის[1] სახელწოდება, სწორედ იმ პერიოდში დაიწყო ბრძოლა ხატთთაყვანისმცემლებთან მრავალი ხატი გაანადგურა. დაიწყო სამღვდელოების დევნა, რომლებიც იმპერიაში ასიათასზე მეტი იყვნენ და მრავალი პრივილეგიებით, მათ შორის საეკლესიო მიწების სახელმწიფო გადასახადისაგან განთავისუფლებით სარგებლობდნენ.

ლეონ III-მ 726 წელს გამოსცა პირველი ედიქტი, რომლითაც იკრძალებოდა ხატების თაყვანისცემა და იგი კერპთაყვანისცემად გამოცხადდა. ორი წლის შემდეგ იმპერატორმა ახალი ედიქტი გამოსცა, რომლის მიხედვითაც ყველა ხატი უნდა ჩამოხსნილიყო. პატრიარქი გერმანი, რომელმაც უარი თქვა ბრძანების შესრულებაზე, ტახტიდან გადააყენეს.[2] თუმცა მხოლოდ რელიგიური რეფორმები საკმარისი არ იყო არაბების თავდასხმის ასაცილებლად. ხელისუფლებამ ფინანსური რეფორმების გატარება დაიწყო. ყველა მიწათმფლობელი დიდი გადასახადით დაიბეგრა და გატარდა მიწების ნაწილობრივი კონფისკაცია, რითაც პირველ რიგში ეკლესია დაზარალდა.

პაპ გრიგოლ II-ს (715-735) იმპერატორმა ლეონ II-მ (731-741) წაართვა სიცილიისა და კალაბრიის მამულები, სადაც ბიზან-

---

1 რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო ქრისტიანული ეკლესიის კულტის ხატის წინააღმდეგ. წარმოიშვა (VIII-IX ს. I ნახევარში) ბიზანტიაში, როგორც სახალხო მოძრაობა. ისინი უარყოფდნენ ხატის თაყვანისცემას, აკრიტიკებდნენ საეკლესიო კულტმსახურებასა და დოგმატიკურ პრინციპებს. მათი აზრით, ხატის თაყვანისცემა ენინააღმდეგებოდა საღმრთო წერილს, რომლის მიხედვითაც ღმერთი იყო შეუცნობელი და აუწერელი სული და, ამდენად, მისი გამოსახულება, ე. ი. ხატი, კერპს წარმოადგენდა. ისინი წმინდა საგნად მხოლოდ ჯვარს აღიქვამდნენ, რადგანაც მაცხოვარი ადამიანის ხსნისათვის ხორციელად ეტანჯა და ჯვარს ეცვა. ხატის თაყვანისმცემელთა იდეოლოგი იოანე დამასკელი იყო. იმპერატორმა ლეონ III-მ 726 წ. ოფიციალურად მხარი დაუჭირა ხატების თაყვანისცემის მონინააღმდეგე მცირეაზიელ სამღვდელოებას. ხატმებრძოლობა იმპერატორების მიერ გამოყენებულ იქნა ძალაუფლების გახსამტკიცებლად, რადგანაც ჩამორთმეული საეკლესიო ქონება საგრძნობლად ამდიდრებდა საიმპერატორო ხაზინას

2 С Г Лозинский. История папства. М., 1986, გვ. 50.

ტიის ძალაუფლება ჯერ კიდევ ძლიერი იყო. პაპის საეკლესიო სამფლობელოებიდან ილირია და ბალკანეთის ნახევარკუნძული კონსტანტინეპოლის პატრიარქს გადაეცა. ამ ღონისძიებამ პაპობას უზარმაზარი მორალური და მატერიალური ზიანი მიაყენა. საპასუხოდ პაპმა გრიგოლ II-მ იმპერატორი ლეონ III ეკლესიიდან განკვეთა და მან დახმარება გაუწია იმპერატორის რეფორმებით უკმაყოფილო ფენებს. მომდევნო პაპმა, გრიგოლ III-მ მოიწვია საეკლესიო კრება, სადაც ხატმებრძოლეობა დაგმობილ იქნა.[1] იმპერატორი უწმინდურად და ერეტიკოსად გამოცხადდა, რომელიც „ჭეშმარიტი რელიგიის" შერყვნას ცდილობდა. მის წინააღმდეგ იტალიაში დაიწყო აჯანყების მზადება. რელიგიურ ლოზუნგებს პოლიტიკურიც მიემატა. იტალიას სურდა განთავისუფლებულიყო უცხოელთა ბატონობისაგან, უწმინდური იმპერატორისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქებისაგან. ამ მოძრაობის სულის ჩამდგმელები პაპები, ეპისკოპოსები და მსხვილი მიწათმფლობელები გახდნენ.

დასავლეთის ეკლესიები და მონასტრები დაინტერესებულნი იყვნენ ხატმებრძოლობის ჩახშობაში და მხარი დაუჭირეს „ქრისტეს რომაელი მოადგილის" მოქმედებებს. ყოველივე ამან, დასავლეთში შეამზადა საფუძველი ერთიანი დასავლეთის ეკლესიის შესაქმნელად, რომლის დამცველად ყველა რომის პაპს მიიჩნევდა.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნიკეის საეკლესიო კრებაზე 787 წელს პაპ ადრიანე I-ის (772-779)[2] გამოსვლას. მან კრების მიერ ხატმებრძოლობის დროებით დაგმობას მიაღწია.

პაპ ადრიანეს ბრძოლამ ბიზანტიასთან დასავლეთში პაპების ავტორიტეტის განმტკიცება გამოიწვია. მაგრამ პაპობა ვერ დაუშვებდა ბიზანტიასთან კავშირის სრულ განყვეტას, რადგან

---

1 С. Г. Лозинский. დასახ. ნაშრ., გვ. 51.

2 კარლოს დიდი ვერ შეურიგდა ლანგობარდების გაძლიერებას, მათს რომში შეჭრას და 774 წ. იტალიაში ჩავიდა, სასტიკი დამარცხებით ბოლო მოუღო ლანგობარდების სამეფოს და მათი მამული შეიერთა. „კონსტანტინეს საჩუქრებით" და „პიპინის ძღვენით" მადააშლილ პაპს მთელი იტალია მოუნდა, მაგრამ „ძუნწმა" კარლოსმა იმდენიც არ მისცა, რაც პიპინმა სტეფან მეორეს აჩუქა. პაპი მაინც თავისი მფარველი მეფის მსახურად დარჩა და მიიღო მისი შენიშვნები ნიკეის კრებაზე დაშვებული შეცდომების შესახებ, რითაც კარლოსი ბიზანტიის ძლიერებას შეებრძოლა (ნიკეის კრებაზე თითქმის სულ აღმოსავლეთი იყო წარმოგზავნილი).

ლანგობარდთა მეზობლობა რომის დიდ შეშფოთებას იწვევდა. აშკარა იყო, რომ პაპობა უნდა მომზადებულიყო ბრძოლისათვის, მაგრამ მიწათმფლობელი არისტოკრატიის სიძულვილი იმდენად დიდი იყო ბიზანტიის იმპერატორთა პოლიტიკისადმი, რომ პაპებმა ამჯობინეს ლანგობარდებთან მოლაპარაკებაზე წასულიყვნენ. პაპებმა, გრიგოლ II-მ და გრიგოლ III-მ დიდი ფული გადაუხადეს ლანგობარდთა მეფეს და თავიანთი ტერიტორიის ნაწილიც კი დაუთმეს.

კონსტანტინოპოლის ზურგს უკან დაიწყო საიდუმლო მოლაპარაკებები რომსა და პავიას (ლანგობარდთა დედაქალაქს) შორის. თუმცა, როცა პაპი დარწმუნდა, რომ ბიზანტიაზე მისი გამარჯვების ნაყოფით ისარგებლებდა ლანგობარდების მეფე, კვლავ ბიზანტიას დაუკავშირდა. მაგრამ რომი წინასწარგანზრახვით აჭიანურებდა ბიზანტიასთან მოლაპარაკებას. იგი ეძებდა მესამე ძალას, რომელსაც გამოიყენებდა ხან ბიზანტიის, ხან კი ლანგობარდების წინააღმდეგ და ამით შეინარჩუნებდა დამოუკიდებლობას. ასეთ ძალად პაპს ფრანკთა სამეფო ეგულებოდა[1]. მალე პაპს თვითონ ფრანკთა სამეფოსაგან მიეცა მოლაპარაკების საბაბი. პაპმა ზაქარიამ (741-752)[2] 751 წ. მეფედ აკურთხა მაიორდომი პიპინ მოკლე (741-768).[3] ახალმა მეფემ ეკლესია უხვად დაასაჩუქრა, მაგრამ პაპი მეტს ითხოვდა. მას შეიარაღებული დახმარება ესაჭიროებოდა ლანგობარდების წინააღმდეგ.

ლანგობარდების მეფე აისტულფმა (749-756) რავენადან განდევნა ბიზანტიელები და რავენის საეგზარქოსო ხელთ იგდო. შემდეგ ჯარები დაძრა რომისა და პაპის წინააღმდეგ. 753 წ. აისტულფმა მუქარის წერილები გაუგზავნა პაპს[4].

პაპი სტეფანე III (752-757)[5] დაუკავშირდა პიპინ მოკლეს.

---

1 С.Г. Лозинский. დასახ. ნაშრ., გვ. 54.

2 თანხმობა მისცა პიპინ მოკლეს, რომ მიეღო მეფის ტიტული და ამით განამტკიცა პაპთა ძალაუფლება.

3 პიპინი თავისი დაბალი ტანის გამო ისტორიაში პიპინ მოკლეს სახელითაა ცნობილი (ეს იყო მაიორდომ კარლოს მარტელის შვილი, რომელსაც მამისაგან ერგო ფრანკთა სამეფოს დასავლეთის მიწები).

4 გ. ტივაძე. შუა საუკუნეების ისტორია. ტ. I, თბ., 1967 წ., გვ. 114

5 სტეფან III (თვითონ „მეორედ" იწოდა, რადგან წინა უდღეურ პაპს არ ცნობენ),. მის დროს იტალიაში ლანგობარდების თითქმის ორასწლოვან ბატონობას ბოლო მოეღო. სტეფან III პირადად ეახლა ფრანკთა ახლად აღზევებულ მეფეს პიპინ

ფრანგი საეკლესიო ისტორიკოსის დიუშენის თქმით, ამ პაპს ორი სული ჰქონდა: „ერთის მხრივ, იგი ბიზანტიის ქვეშევრდომი იყო და უნდა დაეცვა იმპერატორის ინტერესები, მეორეს მხრივ, იგი მიილტვოდა ბიზანტიის მხრივ ყოველგვარი ჩარევისაგან გაენთავისუფლებინა იტალია და იცავდა რომის დამოუკიდებლობას ყოველი უცხო ხელისუფლებისაგან[1].

სტეფანე III პიპინისადმი მიწერილ წერილებში შეახსენებდა მას, რომ მან უკანონოდ იგდო ხელთ ტახტი და სამეფო ხელისუფლება პაპის დახმარებით მიიღო. მაგრამ პიპინი ორჭოფობდა. მას ლანგობარდებთან კავშირის დამყარება სურდა არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაშინ პაპი თვითონ გაემგზავრა ფრანკებთან. სტეფანე III პირველი პაპი იყო, რომელმაც 753-754 წლებში იანვარში ალპები გადალახა.[2]

754 წლის იანვარში სტეფანე პიპინს შეხვდა. სტეფანე III მოელაპარაკა პიპინს რომის დაცვაზე, როგორც ბიზანტიის, ასევე ლანგობარდებისაგანაც. დაცვის გარანტიები ხელს აძლევდა ფრანკ მსხვილ მიწათმფლობელებს, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ, რომ არ დაეშვათ ჩრდილო და ცენტრალურ იტალიაში ლანგობარდებისა და ბიზანტიელთა განმტკიცება.

ფრანკი მიწათმფლობელი არისტოკრატიის საბჭოზე კერსში „წმინდა პეტრეს და წმინდა რომის რესპუბლიკის" დაცვის იდეა გაზიარებულ იქნა. პიპინმა გულუხვი საჩუქრების დარიგება აღუთქვა ყველას, ვინც ლანგობარდების წინააღმდეგ მიიღებდა ბრძოლაში მონაწილეობას. პაპ სტეფანე III-მ კავშირის განმტკიცების მიზნით, საზეიმოდ აკურთხა პიპინი სამეფო გვირგვინით და ფრანკებს ეკლესიიდან განკვეთით დაემუქრა, თუ სხვა ოჯახიდან აირჩევდნენ მეფეს, რადგან მხოლოდ პიპინი იქნა „ღვთიური მადლით განწმენდილი და აღზევებული წმინდა მოციქულების მიერ მათი მოადგილის ხელით".[3] ამიერიდან პიპინი გახდა „ღვ-

---

მოკლეს, მოინვია იტალიაში და 754 წელს გვირგვინი უკურთხა. სამაგიეროდ პიპინმა სასტიკად დაამარცხა ლანგობარდების მეფე, წაართვა ამ მამაც ტომს დიდძალი ტერიტორია და პაპს აჩუქა. ასე მიეცა დასაბამი „პაპის ოლქს", ახალ სახელმწიფოს, რომელშიც პაპებმა საერო ძალაუფლებაც მოიპოვეს (756).

1 С.Г. Лозинский. დასახ. ნაშრ., გვ. 54.

2 Е. Гергей. История папства. перевод с венгерского. М., 1996, გვ. 65.

3 С.Г. Лозинский. დასახ. ნაშრ., გვ. 54.

თის რჩეული", „ღვთისგან კურთხეული". ასე დაინყო კავშირი პაპის ტახტსა და ფრანკთა სამეფოს შორის.

754 წელს პიპინის ლაშქარმა ალპები გადალახა და იტალიაში შეიჭრა. სუზასთან ლანგობარდები დამარცხდნენ და აისტულფი იძულებული გახდა ზავი დაედო პიპინთან, მაგრამ წავიდნენ თუ არა ფრანკები იტალიიდან, მან კვლავ წამოიწყო ბრძოლა რომის წინააღმდეგ. პიპინმა 756 წელს მეორედ დაამარცხა ლანგობარდები და აისტულფი იძულებული გახდა პაპისთვის გადაეცა რავენის ეგზარქატის მიწები (ყოფილი ბიზანტიის ტერიტორია) ქალაქები და რომის ოლქის ტერიტორიები.[1] „პიპინის საჩუქარი" მნიშვნელოვან ტერიტორიებს მოიცავდა: რავენის საეგზარქოსოს, რომელშიც შედიოდა ვენეცია და ისტრია, პენტაპოლის 5 ზღვისპირა ქალაქით: ანკონა, რიმინი, პეზარო, ფანო და სენეგალი, ასევე პარმა, რეჯიო, მანტუა, სპოლეტოს საჰერცოგო, ბენვენტო და კ. კორსიკა. რაც შეეხება რომსა და მის შემოგარენს, იგი ლანგობარდების ხელში არ ყოფილა, ამდენად, პიპინს მათთვის არ წაურთმევია და მისი ჩუქებაც არ შეეძლო. იგი ბიზანტიის კუთვნილება იყო, მაგრამ „პიპინის საჩუქარში" რომიც შევიდა, რომელიც პაპის სახელმწიფოს დედაქალაქად გადაიქცა.[2] მთელ ამ ტერიტორიას საეკლესიო რაიონი ეწოდა და საფუძველი ჩაეყარა პაპების საერო ხელუსფლებას. მას შემდეგ პაპი საერო ფეოდალადაც გადაიქცა.[3]

პიპინის საჩუქარი თავისებურ ხასიათს ატარებდა. მან პაპს აჩუქა ის, რაც ეკუთვნოდა ბიზანტიას და არა მას. პაპს უფლება არ ჰქონდა საჩუქარი მიეღო. იგი ბიზანტიის ქვეშევრდომი იყო, მის მიერ ეპისკოპოსად დამტკიცებული.

პიპინის საჩუქარი სათანადო აქტით გაფორმდა, მაგრამ ეს გარემოება არც თუ ისე ხელსაყრელი იყო პაპებისათვის, რადგან იგი გულისხმობდა კაროლინგებისადმი მათ დაქვემდებარებას. დამოუკიდებლად რომ ეგრძნოთ თავი და მათ მიერ მიღებული საერო ხელისუფლება უფრო კანონიერი რომ გაეხადათ, სტეფანე III-ის კანცელარიაში შეიქმნა პაპების უფლებების თეორიული დასაბუთებისათვის დოკუმენტი, რომელმაც დიდი როლი შეა-

1 შუა საუკუნეების ისტორია. თბ., 2005 ნ., გვ. 86.
2 გ. ტივაძე, შუა საუკუნეების ისტორია. თბ., 1978, გვ. 114.
3 С.Г. Лозинский დასახ. ნაშრ., გვ. 55.

სრულა შუა საუკუნეების ისტორიაში. XV საუკუნემდე უდავოდ ითვლებოდა, ვიდრე ჯერ ნიკოლო კუზანელმა,[1] შემდეგ კი ლორენცო ვალამ[2] - ჰუმანისტმა მეცნიერებმა არ დაამტკიცეს მისი სიყალბე.

დოკუმენტს „კონსტანტინეს ნაბოძვარი" ეწოდებოდა— donatio Constantini! დოკუმენტის შესავალში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ იმპერატორი კონსტანტინე კეთრით დაავადდა. მას ქურუმებმა ურჩიეს 100 ჩვილი ბავშვის სისხლის აბაზანა მიეღო. იმპერატორს დასახოცად გამზადებული ბავშვების დანახვაზე, ადამიანურმა გრძნობამ სძლია და ისინი სახლებში დააბრუნებინა. იმ ღამეს იმპერატორს ძილში გამოეცხადა მოციქულები პეტრე და პავლე, რომლებმაც ურჩიეს კონსტანტინეს პაპ სილიბისტროსთან მისვლა და მისგან ნათლობის მიღება. სილვესტერმა იმპერატორი კეთრისგან განკურნა. მადლიერმა კონსტანტინემ წმინდა პეტრეს კათედრას გადასცა იმპერატორის ძალაუფლებასთან გათანაბრებული ძალაუფლება, ყველა ქრისტიანულ ეკლესიაზე ბატონობისა. ამას გარდა პაპს ეძლეოდა მრავალი პრივილეგია. ლატერანის ეკლესია, უამრავი სხვა საჩუქარი, რომის კარდინალებს – სენატორების წოდება. პაპმა მიიღო უმაღლესი ხელისუფლება რომზე, იტალიაზე და მთელი რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილზე. კონსტანტინემ თავისი რეზიდენცია აღმოსავლეთში გადაიტანა, რათა საერო იმპერა-

---

1 ნიკოლოზ კუზანელი (1401-1464) უდიდესი მოაზროვნე, რომელმაც აღორძინების ფილოსოფიის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა. იგი ეკუთვნოდა უმაღლეს საეკლესიო ფენას კათოლიკურ ეკლესიაში. ნიკოლოზ კუზანელისათვის სიბრძნე არის ღმერთის ნვდომისკენ სწრაფვა. ღმერთი ვლინდება ყოველივე არსებულში. კუზანელის ფილოსოფია იდგა ეპოქათა მიჯნაზე. მან, ერთი მხრივ, შუა საუკუნეების ფილოსოფია შეაჯამა და იმავდროულად კონკრეტული, რეალური ადამიანის ღირებულებისა და აქტივობის დაფუძნებას ადამიანის შესაძენ, ახალ მსოფლმხედველობას ჩაუყარა საფუძველი.

2 ლორენცო ვალა (1407-1457), ბერძნული ფილოსოფიური აზროვნების თაყვანისმცემელი, ცნობილი ჰუმანისტი და ისტორიკოსი. მან საფუძველი ჩაუყარა ჰუმანიზმის ეპიკურულ მიმართულებას. იცავდა რა ეპიკურეს ფილოსოფიასა და ეთიკას, გამოდიოდა შუასაუკუნეობრივი ლოგიკისა და დიალექტის ნინააღმდეგ, აკრიტიკებდა ასკეტურ მორალს, განსაკუთრებით კი მის უკიდურეს გამოვლინებას, ხორცის გვემას ლორენცო ვალა დაიბადა რომში, მაგრამ დიდხანს ცხოვრობდა ნეაპოლში, რომლის მეფე პაპთან კონფლიქტურ სიტუაციაში იმყოფებოდა. მეფის კარზე მყოფმა ვალამ სახელი გაითქვა თავისი კრიტიკული გამოკვლევებით „კონსტანტინეს ნაბოძვარზე", რომლითაც პაპობა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე თავის პოლიტიკურ პრეტენზიებს ასაბუთებდა.

ტორს არ ემართა იქ, სადაც ღვთიურმა იმპერატორმა ქრისტიანული რელიგიის მეთაურის ბატონობა დააწესა.

შესავალს მოჰყვებოდა თვითონ დოკუმენტი:

„იმპერატორმა კონსტანტინემ უბოძა მოციქულთა [ტახტს] გვირგვინი და მთელი სამეფო ხელისუფლება ქალაქ რომში, იტალიაში, დასავლეთის ოლქებში, რამდენადაც „ნეტარი სილვესტერის საქმეებში" შეგვიძლია წავიკითხოთ შემდეგი: იმპერატორმა კონსტანტინემ თავისი მონათვლიდან მეოთხე დღეს უბოძა პრივილეგია რომის ეკლესიის მღვდელმთავარს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მთელი რომის იმპერიაში იგი აღიარებულ იქნეს მეთაურად, ისევე როგორც მოსამართლეები აღიარებენ თავიანთ მეთაურად მეფეს. ამ სიგელში სხვა დანარჩენს შორის შეიძლება წავიკითხოთ შემდეგი: „ჩვენ, ყველა სატრაპთან ერთად, მთელს სენატთან და ოპტიმატებთან ერთად, ასევე ხალხთან ერთად, რომლებიც ემორჩილებიან რომის დიდებას, გადავწყვიტეთ შემდეგი: რამდენადაც ნეტარი პეტრე დასმულია ღვთის ძის მოადგილედ დედამიწაზე, მაშინ დაე პონტიფიკებმა, რომლებიც ცვლიან მოციქულთა მეთაურს, მიიღონ ჩვენგან და ჩვენი იმპერიისაგან დათმობა უზენაესი ხელისუფლებისა, უფრო მეტის, ვიდრე გააჩნია ჩვენს მიწიერ საიმპერატორო ბრწყინვალებას.

ჩვენ ავირჩიეთ თვით მოციქულთა მეთაური და მისი მოადგილეები, რათა ისინი იყვნენ საიმედო დამცველები ღვთის წინაშე. და ისევე, როგორც ჩვენი მიწიერი საიმპერატორო ძალაუფლება, ჩვენ გადავწყვიტეთ პატივისცემით განვადიდოთ წმინდა რომის ეკლესია და უფრო მაღლა, ვიდრე ჩვენი მიწიერი გვირგვინი. ავამაღლოთ უწმინდესი ტახტი ნეტარი პეტრესი, ვუბოძოთ მას ძალა, დიდება, ღირსება და სიძლიერე იმპერატორისა. ჩვენს მიერ გადაწყვეტილია და სანქცირებულია, რომ მას ეკუთვნოდეს უზენაესობა ოთხ მთავარ სატახტოზე: ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, კონსტანტინეპოლის და ყველა ეკლესიებზე ეკლესიის სათავეში, დაე, იდგეს ყველა სამღვდელოზე მაღლა და იქნეს მეთაური მთელი მსოფლიოს სამღვდელოებისა. დაე, მისი გადაწყვეტილებით განისაზღვროს ყველაფერი, რაც შეეხება ღვთისმსახურებას და ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას.

§ 1. ნეტარი მოციქულების, პეტრეს და პავლეს ეკლესიებს ჩვენ გადავეცით სამფლობელოები და დავასაჩუქრეთ ისინი სხვადასხვა ნივთებით. ჩვენი (იმპერატორული) სურვილით მივეცით მათ სამფლობელოები, როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით, ასევე ჩრდილოეთით და სამხრეთით, სახელდობრ იუდეაში, საბერძნეთში, აზიაში, თრაკიაში, აფრიკაში, იტალიაში. ეს სამფლობელოები იქნება ნეტარი სილვესტერის და მისი მემკვიდრეების მმართველობის ქვეშ.

§ 2. ნეტარ სილვესტერს, მამას ჩვენსას, უზენაეს მღვდელმთავარს და ქალაქ რომის პაპს და ყველა მის მემკვიდრე მღვდელმთავრებს, რომლებიც ქვეყნიერების დასასრულამდე, ისხდებიან ნეტარი პეტრეს ტახტზე, ჩვენ ამიერიდან გადავცემთ ჩვენს ლატერანის სასახლეს, შემდეგ დიადემას, ე. ი. გვირგვინს ჩვენი თავიდან და მასთან ერთად ტიარას, ასევე პალიუმს, ე. ი. ლენტს, რომელიც იმპერატორის ყელზე კეთდება. ჩვენ გადავცემთ ასევე ძოწეულ მოსასხამს (ქლამიდას), მუქ წითელ ტუნიკას და იმპერატორის მთელს სამოსელს. საჩუქრად ვაძლევთ სკიპტრებს და მასთან ერთად ყველა ნიშნებს.

§ 3. ჩვენ აგრეთვე ვადგენთ, რომ დაქვემდებარებულ ბერებს, რომლებიც ეკუთვნიან წმინდა რომის ეკლესიის სხვადასხვა ორდენებს, მიაკუთვნონ ეს სიდიადე განსაკუთრებული ხელისუფლებისა, რომლის დიდებითაც შემკულია ჩვენი სენატი. ე. ი. გახდნენ ისინი პატრიციები და კონსულები. ჩვენ გამოვაცხადეთ აგრეთვე, რომ ისინი შემკულ იქნენ სხვა წარჩინებით და ჩვენ გადავწყვიტეთ, როგორცაა შემკული იმპერატორის მებრძოლები, ისე იქნეს წმინდა რომის კლირი, და როგორც იმპერატორს ყავს სხვადასხვა მოსამსახურე, სწორედ ასე გვინდა შევამკოთ წმინდა რომის ეკლესია. დაე მღვდელმთავრის სიდიადე აღმოცისკარდეს რაც შეიძლება ბრწყინვალედ.

ჩვენ გადავწყვიტეთ კლირიკების ცხენები შემოსილ იქნან უნაგირებითა და პოპონებით, ე. ი. კაშკაშა სითეთრით. დაე, ზეციური, მსგავსად მიწიერისა, იყოს შემკული ღვთის სადიდებლად!

§ 4. ჩვენ ჩვენის ბრძანებით ვთავაზობთ უწმინდეს მამას ჩვენსა სილვესტერს და მის მემკვიდრეებს უფლებას, რათა საკუთარი გადაწყვეტილებით დანიშნოს მღვდლად ის ადამიანი,

რომელსაც იგი მოისურვებს და სხვა ნურავინ ნუ გაბედავს მოიქცეს თვითნებურად.

§ 5. ჩვენ აგრეთვე გადავწყვიტეთ, რომ თვითონ მან და მისმა მემკვიდრეებმა უნდა ატარონ დიადემა, ე. ი. გვირგვინი სუფთა ოქროსი და ძვირფასი ქვების, რომელიც ჩვენ მივუძღვენით მას ჩვენი თავიდან, რათა ეტარებინათ იგი ღვთის სადიდებლად, ნეტარი პეტრეს პატივსაცემად.

§ 6. იმისათვის, რომ სიდიადე ფონტიფიკებისა არ იყოს დამცირებული, არამედ უფრო ამღლებული, ვიდრე მიწიერი ხელისუფლება, ჩვენ გადავცემთ და ვუტოვებთ ჩვენს პაპს სილვესტერს სასახლეს, ქალაქ რომს, ასევე ყველა პროვინციებს, მიდამოებს, იტალიის ქალაქებს და დასავლეთის ოლქებს.

ჩვენ დავადგინეთ: მან და მისმა მემკვიდრეებმა განაგონ ეს სამფლობელოები.

§ 7. ამიტომ ჩვენ ჩავთვალეთ მართებულად გადავიტანოთ ჩვენი იმპერია და სამეფო ხელისუფლება აღმოსავლეთის ოლქებში და ბიზანტიის პროვინციაში. ავაშენოთ ჩვენი სახელობის სახელმწიფო და იქ დავაფუძნოთ ჩვენი იმპერია, რამდენადაც, სადაც პირველი მღვდელმთავრები და ქრისტიანული რელიგიის მეთაური დაყენებულია ზეციური იმპერატორის მიერ, იქ ვერ თავსდება მიწიერი იმპერატორის ხელისუფლება.

§ 8. ჩვენ დავადგინეთ ამ ჩვენი წმინდა სიგელით და სხვა ბრძანებებით დარჩეს დაურღვეველი და შეუცვლელი ეს დადგენილება ქვეყნიერების დასასრულამდე. ამიტომაც ჩვენ ვწყევლით ჩვენი იმპერატორული დადგენილებით ყველა იმპერატორს, ჩვენს მემკვიდრეებს, ყველა ოპტიმატს, სატრაპს, ასევე სენატს და ხალხს. არცერთმა მათგანმა არავითარ შემთხვევაში არ ავნოს მას და თუ გამოჩნდება ისეთი ადამიანი, ვინც გაბედავს წაბილწოს ან უგულებელყოს ეს, წყეულ იქნას სამუდამო წყევით. დაე, დაინვას ჯოჯოხეთში ეშმაკებთან...

განვამტკიცეთ რა საკუთარი ხელით ჩვენი საიმპერატორო დადგენილების ფურცლები, მოწიწებით დავდევით იგი წმინდა პეტრეს ცხედარზე.

გაცემულია რომში აპრილის კალენდრამდე სამი დღით ადრე მეოთხე კონსულობის დროს ბატონის ჩვენის ფლავიუს

კონსტანტინე ავგუსტუსის და გალიკანის დროს"[1].

რა დიდი პერსპექტივებიც არ უნდა გადაშლოდა წინ პაპს ამ ყალბი დოკუმენტით და რაც არ უნდა ბოროტად გამოეყენებინათ იგი პაპებს მოგვიანებით, პაპობა „კონსტანტინეს ნაბოძვრის" შექმნის პერიოდში მცირეოდენით იფარგლებოდა. იგი არა თუ მთელი დასავლეთის, არამედ მთელი იტალიის მმართველობაზე არ აცხადებდა პრეტენზიას. იგი კმაყოფილდებოდა პიპინის მიერ ლანგობარდებისათვის წართმეული მიწებით, რომელიც „წმინდა ტახტს" კი არ უნდა ბოძებოდა, არამედ უნდა „დაბრუნებოდა". თითქოს ამ დრომდე იგი უცხო მფლობელის ხელში იყო, რითაც იმპერატორ კონსტანტინეს ნება ირღვეოდა, რომელმაც ვითომ პაპობის წინაშე მადლიერების გრძნობის გამო, ღვთაებრივ ჭეშმარიტებაზე მოქცევისათვის, გადასცა პეტრეს მოადგილეს ეს საჩუქარი.

„აღდგენილი" პაპის სახელმწიფოს საზღვრები გაურკვეველი იყო. ყველაფერი რასაც ლანგობარდებს ან ბიზანტიას წაართმევდნენ მომავალში, წმინდა ტახტს უნდა „დაბრუნებოდა".

პაპსა და ფრანკთა მეფეს შორის ურთიერთობა ასევე გაურკვეველ ხასიათს ატარებდა. პიპინი არა მხოლოდ მეგობარი, მფარველი და დამცველი იყო რომისა და მისი სამფლობელოების, არამედ მან „რომაელთა პატრიციის" ტიტული მიიღო. ამ ტიტულის გადაცემა მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორის უფლება იყო და პაპის მიერ პიპინის დაჯილდოებაში ბიზანტიის უფლებების შელახვა გამოიხატებოდა.[2] მაგრამ რომის დამცველი, იმდროინდელი შეხედულებებით რომის სიუზერენი ხდებოდა, ხოლო პაპი პიპინზე დამოკიდებული, თავისებური ვასალი. ეს დამოკიდებულება პაპის სახელმწიფოზეც ვრცელდებოდა და ნომინალური იყო. პაპის სამფლობელოები, რომელიც მან პიპინისაგან მიიღო, დამოუკიდებელი გახდა.

პიპინ მოკლეს ვაჟის, კარლოს დიდის დროს (768-814) პაპმა სტეფანე IV-მ (768-772)[3] ფრანკთა ახალ მეფეს თხოვა პაპის

---

1 „კონსტანტინეს ნაბოძვარი", თარგმანი გ. კუტალიასი. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, IV, თბ., 2002.

2 С.Г. Лозинский. დასახ. ნაშრ., გვ. 57.

3 რომაელთა მიერ არჩეული პაპი, რომელიც დაუპირისპირდა „ლანგობარდების პაპს" ფილიპეს და მიწათმფლობელთა მიერ დაყენებულ კონსტანტინე მეორეს – ორ ანტიპაპს. მის დროს მოინვიეს რომის საეკლესიო კრება, რომელზედაც პატიების

ოლქის დაცვა ლანგობარდებისაგან, რომლებიც სტეფანე IV-ს მმართველობას დამხობით ემუქრებოდნენ, რომში ლანგობარდთა წარმომადგენლის მკვლელობისათვის.[1] კარლოს დიდმა თავი შეიკავა და პაპმა სტეფანე IV-მ 772 წელს ლანგობარდთა მეფეს დეზიდერიუსს, რომის კარები გაუღო. ამ ცნობამ რომში უწესრიგობა გამოიწვია და პაპი იძულებული გახდა დეზიდერიუსის ბანაკისათვის შეეფარებინა თავი. სტეფანე IV-ის გავლენით დეზიდერიუსმა სიკვდილით დასაჯა ანტილანგობარდული მოძრაობის მოთავეები. დეზიდერიუსი რომის ფაქტიური მმართველი, პაპის მორჩილი იარაღი შეიქმნა. მალე სტეფანე IV გარდაიცვალა და მის მომდევნო პაპს ადრიანე I-ს (772-795) პირველივე დღეებიდან მოუხდა შეტაკება დეზიდერიუსის „მეგობრობასთან". ლანგობარდებმა დაიკავეს პაპის მიწები და რავენასაც დაემუქრნენ. პაპი იძულებული გახდა კვლავ ფრანკებისკენ გადახრილიყო.

კარლოსი ლანგობარდთა გაძლიერებას ვერ ეგუებოდა და ადრიანე I-ის წერილის მიღებისთანავე გადაწყვიტა თავისი მამის, პიპინისათვის მიებაძა. 774 წელს იგი იტალიაში ჩავიდა. პაპი ითხოვდა მას „დაებრუნებინა" თითქმის მთელი იტალია სამხრეთის გამოკლებით. როგორც ჩანს, კარლოსს განზრახული ჰქონდა პაპის უზარმაზარი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ფრანკების გამუდმებული დახმარების გარეშე იარსებებდა.[2] პიემონტის ველზე პაპის ინტრიგების წყალობით ლანგობარდები პანიკამ მოიცვა და დეზიდერიუსი პავიაში ჩაიკეტა. ფრანკებმა მას ალყა შემოარტყეს და ლანგობარდთა სახელმწიფო გაანადგურეს. კარლოსს რომში მიესალმნენ, როგორც ფრანკებისა და ლანგობარდების მეფეს და მის წინაშე დადეს ფიცი.

ამ დროიდან კარლოსი ჩრდილოეთ და ცენტრალურ იტალიას თავის სამფლობელოებად თვლიდა და თავისი გულუხვი დაპირებები დაივიწყა პაპის წინაშე. პაპი იძულებული გახდა

ვედრებით ნარდგა დაჩოქილი კონსტანტინე II. ანტიპაპს თვალების დათხრა არ აკმარეს და სამუდამოდ მონასტერში ჩამწყვდევა მიუსაჯეს. პაპმა კარლოს დიდი მოინვია ლანგობარდების წინააღმდეგ, მაგრამ პიპინ მოკლეს შვილი აყოვნებდა, მაშინ შეშინებულმა სტეფანმა მუხანათურად გაუღო რომის კარი ლანგობარდების მეფე დეზიდერიუს. ამაზე რომი აუმხედრდა, პაპი დეზიდერიუსთან გაიქცა და იქ მოკვდა.

1 С.Г Лозинский. დასახ. ნაშრ., გვ. 60.

2 მუა საუკუნეების ისტორია. თბ., 2005 ნ გვ. 90.

დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ნაწილით იმ მიწებისა, რაც პიპინისაგან მიიღო. პაპის სახელმწიფო ფრანკთა მეფის ვასალი გახდა. მეფე უფლებამოსილი იყო პაპის სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარეულიყო. განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხებოდა იმ ტერიტორიას, რომელიც ლანგობარდთა მეფეს უკანასკნელ დროს წაართვეს. ყოველი პაპის არჩევას რომში ფრანკთა წარმომადგენელი ესწრებოდა. იგი ოფიციალურად ამცნობდა მეფეს არჩევნების შედეგებს და პაპის ამომრჩევლებს მეფის ერთგულებაზე აფიცებდა. ეს ყოველივე აკნინებდა პაპის სახელმწიფოს სუვერენულ ხასიათს და ნიადაგს ამზადებდა მსხვილ მინათმფლობელთა მმართველი კლასის სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.

მმართველი კლასი ეკლესიას ხელგაშლით ასაჩუქრებდა. კარლოს დიდის ვაჟი, ლუდოვიკ ღვთისმოსავი (814-840) განსაკუთრებით გულუხვი იყო ეკლესიის მიმართ. მან ეკლესიას სახელმწიფო მიწები, დიდი დასახლებები (ბონი, დიურენი და სხვ.) უბოძა. პირველმა გადასცა ორ სააბატოს მონეტების დამოუკიდებლად მოჭრის უფლება. მრავალმა მონასტერმა ლუდოვიკოსაგან სავაჭრო და ფინანსური პრივილეგიებიც მიიღო.

ეკლესიის შემოსავლის დიდ ნაწილს სხვა საშუალებებთან ერთად წარმოადგენდა საეკლესიო მეათედიც.

საეკლესიო მეათედი პირველად 567 წელს იქნა ნახსენები, როცა ტურის ეპისკოპოსმა გამოაქვეყნა მორწმუნეებისადმი მიმართვა, სადაც „ქრისტიანთა დასის" ზნეობრივ განწმენდის აუცილებლობასთან ერთად ითხოვდა ეკლესიის სასარგებლოდ მთელი ქონების მეათედი ნაწილის გადახდას, მაშინ პაპმა მხარი დაუჭირა ტურის ეპისკოპოსს. მეათედს ღარიბებისგანაც იღებდნენ. მათ ევალებოდათ ყველა შრომისუნარიან მამაკაცზე სოლიდის მესამედის გადახდა, რათა „ღვთის რისხვა ამ ქვეყნად ცხოვრებისას აერიდებინათ, ხოლო იმ ქვეყნად ყოველგვარი სიკეთით ესარგებლათ.[1] IX საუკუნის შუა ხანებში ეს ახალი ვალდებულებები დააკანონა საეკლესიო კრებამ, რომელიც ეკლესიიდან განკვეთით ემუქრებოდა ყველა ურჩს, რომელიც მეათედის გადახდას თავს აარიდებდა. კარლოს დიდის დროს მეათედმა

1 С.І. Лозинский. დასახ. ნაშრ., გვ. 63.

არა მარტო საეკლესიო, არამედ სახელმწიფო კანონის ძალაც მიიღო.

ამრიგად, „პაპობა თავის აღმოცენების დღიდან სულ იმის ცდაში იყო, რომ მსოფლიოში ყოვლისმომცველი ძალაუფლებისათვის მიეღწია. ადამიანთა მოდგმის „ცოდვილიანობიდან" მას ის დასკვნა გამოჰქონდა, რომ საქრისტიანოში გაერთიანებული ორი ხალხიდან – სასულიერიოდან და საეროდან, ერთი სრულყოფილი და ამაღლებულია, მეორე კი – დაქვემდებარებული. ერთის ცხოვრებას აწესრიგებს სასულიერო ხელისუფლება და საეკლესიო სამართალი, მეორისას კი – საერო ხელისუფლება და სამოქალაქო სამართალი. თუმცა, ამ უკანასკნელს თვით ეკლესიისაგან ეძლევა მახვილი, რათა დაიცვას ეკლესიისავე ინტერესები. ეკლესიის მესვეურთა ამ თეოკრატიულ მისწრაფებას ყველაზე მკაფიოდ პაპი ბონიფაციუს VIII (1294-1303)[1] გამოთქვამდა. მისი თქმით, ეკლესიის ხელში იმყოფება ორი მახვილი – სასულიერო და საერო, პირველს იგი თვითონ ფლობს, მეორეც ასევე ეკლესიის ინტერესებს იცავს, პირველი იმყოფება პაპის ხელში, მეორე კი – მეფეებისა და ჯარისკაცების ხელში, თუმცა ეს უკანასკნელიც მღვდლის ნებართვით გამოიყენება. აუცილებელია, რომ ერთი მახვილი მეორეზე მაღლა იმყოფებოდეს და საერო ხელისუფლება სასულიეროს ემორჩილებოდეს.[2] „ჩრდილოური ჰუმანიზმის"[3] გამოჩენილი წარმომადგენელი, ერაზმ როტერდამელი (1469-1536) დარწმუნებული იყო რა პაპების უდიდეს

1 მხნედ იბრძოდა პაპთა უზენაესი ძალაუფლებისათვის და დიდი ზეგავლენაც ჰქონდა. მას მორჩილებდნენ პოლონეთის, უნგრეთის, სიცილიის ხელმწიფეები, ფრანგებს „ძაღლებს" ეძახდა, ამტკიცებდა, რომ ეკლესია ორთავიანი ურჩხული კი არ არის, არამედ მის სათავეში დგას პაპი, „ერთი, როგორც ღმერთი". განკვეთა საფრანგეთის მეფე ფილიპე IV ლამაზი და ფრიდრიხ II არაგონელი, რომლებიც „ისე იქცევიან, თითქოს ქვეყნად პაპი არ არსებობდესო". მეფემ დაამტკიცა, რომ პაპი არსებობს: დანვა მისი ბულა, ერეტიკოსად გამოაცხადა და აკრძალა საფრანგეთიდან ოქროს გატანა. ზარალის ანაზღაურების მიზნით პაპმა 1300 წელი გამოაცხადა საიუბილეო წლად. ბრძოლა გაგრძელდა 1303 წ. ფილიპეს კანცლერი, „ყაჩაღი" ნოგარე ანანში დაეწია 86 წლის პაპს, დაატყვევა, სილა გაანნა. მოხდა წარმოუდგენელი რამ: მის უწმინდესობას სცემეს. ბერიკაცი ჭკუაზე შეიშალა, ძლივს ჩააღნია რომში და ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა. „დაძვრებოდა მელიასავით, მეფობდა ლომივით, მოკვდა ძაღლივითო" – ამბობდნენ მასზე.

2 გ. კუტალია. მარტინ ლუთერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, თბ., 1993, გვ. 41-42.

3 Эразм Роттердамский. Философские произведения. М., 1986, გვ. 5.

ძალაში, თვლიდა, რომ პაპს შეიძლება დაუჯეროს ხალხმა, თუ ის ქრისტეს მოძღვრებას იქადაგებს, მაგრამ პაპი ამას არ აკეთებს, მას არ აინტერესებს ხალხის კეთილდღეობა. ისინიც სატანას შეუპყრია, ეკლესიის მსახურების სახელს ამოფარებულნი საკუთარ სიხარბეს ემსახურებიან და ეს კიდევ ცოტაა მათი დანაშაულობებიდან.[1]

შუა საუკუნეების უკანასკნელმა და ახალი დროის პირველმა პოეტმა დანტე ალიგიერმა (1265-1321) ევროპას თავს დატეხილი უბედურებების სათავედ სწორედ „კონსტანტინეს ნაბოძვარი" აღიარა:

„ო, კონსტანტინე! რაოდენი დაჰბადა ცოდვა
არათუ შენმა მონათვლამან, არამედ ძღვენმა,
რომელიც პირველ მდიდარს პაპს შენ უთავაზე".[2]

1 ერაზმ როტერდამელი. მშვოდბის ჩივილი. თარგმნა გ. კუტალიამ. თბ., 1993, გვ. 32.

2 დანტე ალიგიერი. ღვთაებრივი კომედია. თარგმანი კ. გამსახურდიასი. თბ., 1941, გვ. 75.

კარლოს დიდისა და ლეო III-ს ურთიერთობის საკითხისათვის

კარლოს დიდის ისტორიკოსის, ეინჰარდის „კარლოს დიდის ცხოვრება" დაიწერა IX საუკუნის 30-იან წლებში, რომლის საფუძველზეც შეიქმნა უდიდესი წყარომცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ლიტერატურა, რომელიც დღესაც დიდ ინტერესს იწვევს. „კარლოს დიდის ცხოვრებას" კაროლინგთა ეპოქის წყაროებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია. „კარლოს დიდის ცხოვრება" თარგმნილია ევროპის ყველა ენაზე. ამ თხზულების პირველი ქართული თარგმანი გააკეთა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნიუერსიტეტის მსოფლიო ისტორიის მიმართულების პროფესორმა გურამ კუტალიამ, რომელმაც ამ თარგმანით უდიდესი დახმარება აღმოგვიჩინა ფრანკების ისტორიით, კერძოდ, კარლოს დიდის პიროვნებით დაინტერესებულ პირებს და გაგვიადვილა მუშაობა. მადლობა ბატონ გურამს ამისათვის და იმედია შემდეგშიც ქართულ და მსოფლიო ისტორიოგრაფიას გაამდიდრებს მრავალი მნიშვნელოვანი წყაროს თარგმნითა და შესაშური მეცნიერული ანალიზით.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი დაიწერა და ითქვა კარლოს დიდზე, როგორც დასავლურ, ისე რუსულ და ქართულ ისტორიოგრაფიაში, ვფიქრობ ინტერესმოკლებული არ იქნება ფართო საზოგადოებას მივაწოდოთ მასალა კარლოს დიდისა და რომის პაპის-ლეო მესამის ურთიერთობაზე, რომელშიც უდავოდ დაგვეხმარება ეინჰარდის „კარლოს დიდის ცხოვრება" და მის საფუძველზე შექმნილი წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ლიტერატურა.

ზოგადად ცნობილია კარლოს დიდისა და ლეო მესამის დიპლომატიური თანამშრომლობის შედეგების შესახებ, მაგრამ ურიგო არ იქნება თუ კი ჩავუღრმავდებით მათი ურთიერთობის დეტალებს და გავაკეთებთ დასკვნებს დამდგარი შედეგების შესახებ.

VIII საუკუნის დასასრულს, კარლოსმა თავისი ძლიერებითა და მიღწევებით დაჩრდილა ყველა სხვა მონარქის ღირსება და ავტორიტეტი. კარლოს დიდს მხოლოდ იმპერატორის ტიტუ-

ლის მიღება და უზენაესის კურთხევა აკლდა. უზენაესის მიერ კურთხევის აუცილებლობის შესახებ აზრი კარლოსს თვითონ არ გაუჟღერებია და სავარაუდოდ, ის ამას საჭიროდაც არ თვლიდა: „კარლოსმა სწორედ რომში ყოფნის დროს მიიღო იმპერატორის გვირგვინი და ავგუსტუსის ტიტული (25 დეკემბერი, 800 წელი). კარლოსს პაპმა დაადგა იმპერატორის გვირგვინი. პაპის ამ ნაბიჯით პირველ ხანებში კარლოსი იმდენად უკმაყოფილო იყო, რომ ამტკიცებდა კიდეც, პაპის გადაწყვეტილება რომ სცოდნოდა, საზეიმო დღესასწაულის მიუხედავად იგი არ წავიდოდა ეკლესიაში"[1].

პაპის მიერ კარლოსის იმპერატორად კურთხევის იდეა გაჟღერდა პირველად სასულიერო პირების მხრიდან, რომლებიც იდგნენ კარლოსის გვერდით და რომლებმაც ეს მას ჩააგონეს. მათ შორის დიდი აქტიურობით გამოირჩეოდა ალბინი (ალკუინი), დიაკონი, წარმოშობით საქსი ბრიტანეთიდან, რომელიც იყო ძალიან განსწავლული პიროვნება. იდეის სისრულეში მოყვანა განაპირობა მთელმა რიგმა მოვლენებმა, რომელთა დეტალებიც ნაკლებად ცნობილია საზოგადოებისათვის და რომლის გადმოცემაც არის ამ პუბლიკაციის დანიშნულება.

რომის პაპი ადრიან პირველი, რომაელი, 795 წელს, შობის დღეს გარდაიცვალა. ადრიან პირველის გარდაცვალების ამბავი კარლოსმა როდესაც გაიგო: „ისე იტირა, თითქოს დაკარგა არა მეგობარი, არამედ შვილი ან ძმა"[2]. მან ყველა თავის ქვეშევრდომს მოთხოვა ლოცვები წაეკითხათ უზენაესის სულის დასამშვიდებლად. კარლოსის ინიციატივით საფლავის შავი მარმარილოს ქვაზე ამოკვეთილიქნა უზენაესის ქებისა და დიდების გამომხატველი სიტყვები.

ადრიანეს დაკრძალვის დღეს აირჩიეს ახალი პაპი-ლეო მესამე. წინამორბედი პაპებისაგან განსხვავებით იგი არ განეკუთვნებოდა დიდგვაროვანთა წრეს. პაპად არჩევისთანავე ის გახდა არისტოკრატთა შეთქმულების სამიზნე. შეთქმულთა ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ სასულიერო პირები, ადრიანეს ძმისშვილები: პასკალი და კამპუსი. შეთქმულთა ჯგუფმა გაავრცელა პაპ ლეო მესამეზე შეურაცხმყოფელი მოსაზრებანი, რომ-

1 ეინჰარდი, კარლოს დიდის ცხოვრება, თარგმანი გ. კუტალიასი. თბ., 2005.გვ., 23.
2 იქვე., გვ., 19.

ლის მიხედვითაც იგი მიჩნეული იყო შეუფერებელ პიროვნებად საეკლესიო უმაღლესი თანამდებობისათვის, ვინაიდან მას ბრალი ედებოდა ამორალურობაში, ავხორცობასა და მექრთამეობაში. კარლოს დიდს, რომელიც ექსში იმყოფებოდა, შეატყობინეს პაპის ბრალდებების შესახებ. ბრალდებები, როგორც ჩანს, საფუძველს არ უნდა ყოფილიყო მოკლებული და შეთქმულებს ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა პაპის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ლეო მესამე, რომელმაც იგრძნო საშიშროება შეთქმულთა მხრიდან, შეეცადა კარლოსის კეთილგანწყობა დაემსახურებინა. ტახტზე ასვლისთანავე პაპმა კარლოსს გაუგზავნა ელჩობა, რომლებსაც მან გადასცა ეპისკოპოსის არჩევის ოქმი და წერილი, რომელშიც ის ითხოვდა დიდებულთა ჩასვლას რომში ერთგულებისა და მორჩილების ფიცის მისაღებად. პაპის არჩევის ოქმის გადაცემა მონარქისათვის, იმდროინდელი ზნე-ჩვეულებებიდან გამომდინარე, თავაზიანობის ჟესტად იყო მიჩნეული. ასევე, ქალაქ რომის დროშის გადაცემა და რომაელთა მიმართ ერთგულების ფიცის დადება ნიშნავდა საეპისკოპოსოს ერთგულებას მეფისადმი, მაგრამ ლეო მესამეს წინამორბედი ადრიანე ამას არასდროს არ აკეთებდა, ვინაიდან იგი კარლოსის ახლო მეგობარი იყო და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი გარდაცვალება ისე აღიქვა, როგორც შვილის ან ძმის დაკარგვა.

კარლოს დიდმა შეასრულა ლეო მესამის თხოვნა და პაპთან გააგზავნა სიძე ალჟიბერი დიდებულებთან ერთად, რომელთაც გაატანა პაპისათვის განკუთვნილი წერილი. რომში ჩასვლისთანავე ალჟიბერმა კარლოსისაგან მიიღო კიდევ ერთი წერილი, რომელშიც იგი პაპისათვის განკუთვნილ რჩევებსა და ინსტრუქციებს იძლეოდა ხალხში მის შესახებ გავრცელებული აზრების გასაქარწყლებლად და შემდგომ სამოქმედოდ: „გულდასმით გააფრთხილე პაპი და ურჩიე, რომ ღირსეულად მოიქცეს, მთავარია მოაგონო პაპს წმინდა კანონების დაცვის აუცილებლობისა და წმინდა ეკლესიის გონივრულად მართვის შესახებ. ჩააგონე, რამდენად ნარმავალია პატივი, რომლითაც ის სარგებლობს და რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ მაღალ რანგში ყოფნის დროს ღირსეულად მოქცევას, დაარწმუნე იმაში, რომ ფრთხილად დაანგრიოს სიმონია[1], რომელიც ბევრ ადგილას ძირს უთხრის და

1 სიმონია (სახელწოდება მომდინარეობს სვიმონ მოგვის სახელიდან,

წამლავს წმინდა ეკლესიას და მიუთითე ცუდი ჩვევების შესახებ, რომელთა გამოც ვუჩივით ხოლმე ერთმანეთს"[1]. ამ წერილით კარლოსი მკაფიოდ გამოხატავდა თავის შეხედულებებს როგორც ეკლესიის, ისე მისი მეთაურის მიმართ: „ისევე როგორც მე შევუთანხმდი თქვენს წინამორბედს მამობრივი წმინდა კავშირის შესახებ, მსურს თქვენთან იგივე ნდობისა და ხელშეუხებელი გულმოწყალეობის კავშირი მქონდეს, რათა ღმერთისა და წმინდანთა ლოცვების წყალობით ყველგან შევძლო მუდმივად დავიცვა რომაული ეკლესიისა და პაპის ძალაუფლება. ღვთის თაყვანისცემით, მმართებს დავიცვა ეკლესია წარმართთა შემოტევისაგან და ურწმუნოთა აოხრებისაგან, მმართებს მისი გამაგრება ისე, რომ ყველგან აღიარონ კათოლიკური რწმენა. თქვენ, ყოვლად წმინდაო მამაო, უნდა დაეხმაროთ თქვენს ჯარს, რომ ხელები აღმართონ ღმერთისაკენ, როგორც მოსემ, იმისათვის, რომ თქვენი შუამავლობით და ღმერთის წყალობით, ქრისტიანმა ხალხმა ყოველთვის გაიმარჯვოს მტერზე მისი წმინდა სახელით და ჩვენი სენიორის, იესო ქრისტეს სახელი დიდებულ იყოს მთელ სამყაროში. მაგრამ ამისათვის თქვენმა კეთილგონიერებამ უნდა დაიცვას კანონები; თქვენს საქციელში უნდა ჩანდეს სიწმინდის მაგალითები; თქვენი ბაგეებიდან უნდა ამოდიოდეს წმინდა შეგონება; ამდენად, თქვენი ვარსკვლავი გაბრწყინდება ადამიანთა წინაშე, ისე, რომ თქვენი კეთილი საქმეების დანახვისას მათ უნდა ადიდონ ღმერთი"[2]. წერილის შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ კარლოსი პაპს უტოვებდა სასულიერო სფეროს-სივრცეს და თავისთვის კი ბევრად მეტს გულისხმობდა. ასევე ჩანს, რომ ის უხერხულობასაც არ გრძნობდა, როდესაც უზენაესს, პაპს ზნეობის კანონებს კარნახობდა.

პაპ ადრიანესა და კარლოსის ურთიერთობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა კარლოსისა და ლეო მესამის ურთიერთობისაგან. მისი დამრიგებლური ტონი, რომელიც წერილში აშკარად იგრძნობა, ადასტურებს, რომ კარლოსი თავისი ძალაუფლებით

რომელიც სახარების მიხედვით მოციქულებს თხოვს მიანიჭონ „წმინდა სულის" გამგებლობის უნარი). საეკლესიო თანამდებობებისა და სასულიერო ნოდებების ყიდვა-გაყიდვა,. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ,IX., თბ.,1985.გვ.353.

1 Jasques Delperrie De Bayac, Charlemagne, Imprime en France. 1976, გვ. 212-213.
2 Jasques Delperrie De Bayac, Charlemagne, Imprime en France. 1976, გვ. 213.

პაპზე მაღლა მდგომად მიიჩნევდა თავს. ლეოს ძალიან სჭირდებოდა კარლოსის მხარდაჭერა, იმისათვის, რომ ის საზოგადოებას მიეღო როგორც ეკლესიის ჭეშმარიტი მმართველი და არა როგორც საეჭვო მდგომარეობის მქონე დამწყები ეპისკოპოსი. ლეო მესამემ გაამრავლა მტკიცებულებანი, რომელიც მას კარლოსის კეთილგანწყობას მოუტანდა. მტკიცებულებებს შორის საინტერესო იყო პაპის კანცელარიაში გაკეთებული ჩანაწერი კარლოსის ტიტულის შესახებ: „უბრწყინვალესი ფრანკების მეფე და რომაელების პატრიცი".[1] ცისკრის სახოტბო საგალობლებში, რომლითაც რომაელები მიმართავდნენ ქრისტეს და წმინდანებს, ეპისკოპოსის და ცნობილი პიროვნებების სახელების გათვალისწინებით, მისალმებაში მეფე წარმოდგენილი იყო პაპის შემდეგ, მერე კი სამეფო ოჯახი და ფრანკთა ჯარი.

796-799 წლებში ლატერანის სასახლის რესტავრირებული დარბაზის მისაღებში ლეო მესამის დაკვეთით შესრულებულ ტრინიუმის მოზაიკაში ქრისტე წარმოდგენილი იყო მთავარი აფსიდის (ნახევარწრედ გამოყოფილი ადგილი ქრისტიანულ ეკლესიაში) თაღში, კლდეზე შემდგარი, რომელიც ეუბნებოდა მოციქულებს: „ასწავლეთ ყველა ერს და მონათლეთ ისინი მამაოს სახელით"[2]. კომპოზიციაში გამოიყოფოდა პერსონაჟების ორი ჯგუფი: მარცხნივ ჩანდა უფალი იესო ქრისტე, რომელიც წმინდა პეტრეს საფლავის გასაღებს გადასცემდა პაპ სილვესტერს, რომის დროშას კი იმპერატორ კონსტანტინეს, ორივე კი მუხლმოდრეკილი იყო მის წინაშე. მარჯვნივ, ლეო მესამეს გადასცემდა ომფორს, ფრანკების მეფეს კი ცისფერ ალამს, რომელზედაც გამოხატული იყო ექვსი წითელი ვარდი, ვარდების ქვემოთ კი წარწერა: „ნეტარო პეტრე, მიეცი სიცოცხლე პაპ ლეო მესამეს და გამარჯვება მეფე კარლოსს".[3]

კომპოზიცია, რომელიც უშუალოდ შეიქმნა ლეო მესამის თაოსნობით, გამოხატავდა კავშირს ეპისკოპოსსა და მეფეს შორის, მათ თანაზიარ მისიას; ამ კომპოზიციით აშკარა იყო ის, რომ ლეო მესამე და კარლოსი დროებითი ძალაუფლებით იყვნენ აღჭურვილნი და ეს ძალაუფლება ნაბოძები ჰქონდათ უპირველეს

1 Jasques Delperrie De Bayac, Charlemagne, Imprime en France, 1976, გვ. 212-213.

2 ეინჰარდი, კარლოს დიდის ცხოვრება, თარგმანი გ. კუტალიაი. თბ., 2005.გვ., 23.

3 Jasques Delperrie De Bayac, Charlemagne, Imprime en France, 1976, გვ. 219.

ყოვლისა, ქრისტეს მიერ და მეორე მხრივ, წმინდა პეტრეს მიერ, რომელიც ეკლესიას წარმოადგენდა. მიუხედავად, ლეო მესამის დიდი მცდელობისა, მოეგო კარლოსისა და მოწინააღმდეგეთა გული და მიეღო მათი მხარდაჭერა, მოწინააღმდეგეები მაინც არ ცხრებოდნენ. რომში ჩასულმა ზალცბურგის არქიეპისკოპოსმა შეიტყო პაპის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობის შესახებ და აცნობა ალკუინს, მან კი კარლოსს. მაგრამ, რომში კარლოსის ჩასვლამდე მოხდა სერიოზული ინციდენტები. 799 წლის 25 აპრილს, წმინდა მარკოზის დღესასწაულზე, პაპმა დატოვა ლატერანის სასახლე და მცირე ესკორტით წავიდა წმინდა ლორენის ეკლესიაში, სადაც უნდა ეხელმძღვანელა უდიდესი ლიტანიისათვის, რომელსაც „შავი ჯვრების" ზეიმს უწოდებდნენ. ზეიმს უძღვნიდნენ უფალს, რომ ღვთიური მხარდაჭერა ჰქონოდათ ჭირნახულზე. პაპი ეკლესიას როდესაც მიუახლოვდა, ხმლებით და ჯოხებით შეიარაღებული ხალხი მისცვივდა მას, უნაგირიდან ჩამოაგდეს, შეეცადნენ ენა ამოეგლიჯათ და თვალები დაეთხარათ. შეთქმულებს პაპი ცოცხალი გადაურჩა და მან შემდგომში ათქმევინა მათ, რომ მხედველობა და მეტყველება დაიბრუნა სასწაულის წყალობით, თუმცა ის არ უარყოფდა, რომ მაგრად ცემეს და დაჭრეს. ამ დროს განვითარებულ მოვლენებში ბევრი რამ ბუნდოვანია, მაგრამ უნდა ვენდოთ ეინჰარდს, რომელიც ამბობს: „საქმე ისაა, რომ რომაელებმა მძიმედ შეურაცხყვეს პაპი ლეო: დააბრმავეს და ენა ამოგლიჯეს".[1] თავდამსხმელებმა პაპი დატოვეს მოედანზე მიწაზე გართხმული, დახეული ტანსაცმლით, ნახევრად შეურაცხადი, ესკორტი გაქრა, ხალხი, რომელიც ამ სცენას ესწრებოდა, შეშინებული გაიქცა. თანამოაზრეთა ჯგუფმა ლეო შეიყვანა ეკლესიაში, სადაც შეთქმულები კვლავ შეიჭრნენ, გააგრძელეს პაპის შეურაცხყოფა, რათა მას დაედასტურებინა შეთქმულების მიერ გავრცელებული ბრალდებები. თუ პაპი დაადასტურებდა ამ ბრალდებებს, მას გადააყენებდნენ და აირჩევდნენ ახალ პაპს. თუმცა, ძლიერი ზეწოლის მიუხედავად ის არ ადასტურებდა მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს. მოწინააღმდეგეებმა პაპი წმინდა ლორენის ეკლესიის საკანში ჩაამწყვდიეს, საღამოს კი გადაიყვანეს წმინდა ერაზმის მონას-

1 Jasques Delperrie De Bayac, Charlemagne, Imprime en France, 1976 გვ. 221.

ტერში. წმინდა ერაზმის მონასტრიდან იგი გააპარეს თანამოაზრეებმა და ჩაიყვანეს რომში. პაპი რომში თავს დაცულად არ გრძნობდა და ამიტომაც იგი სპოლეტოში გაემგზავრა სპოლეტოს ჰერცოგთან ერთად. პასუხისმგებლობა პაპის დაცვაზე ვერ აიღეს მისმა მოკავშირეებმა და სწორედ ამ დროს მიიღო პაპმა ლეომ, კარლოსის მიპატიჟება. პაპი გაემგზავრა პადებორნში კარლოსთან შესახვედრად, რათა თავი გაემართლებინა მეფის წინაშე. ლეო მესამე დიდი პატივით იქნა მიღებული კარლოსის მიერ. პაპთან შეხვედრის ცერემონია ძალიან გავდა გალიაში ჩასული სტეფანე მეორის შესახვედრად პიპინ მოკლეს მიერ მოწყობილ ცერემონიას. კარლოსი საერო და სასულიერო დიდებულებთან ერთად საომარ ფორმაში (ჯავშანში) გამოწყობილი ელოდებოდა ლეო მესამეს. კარლოსმა წაინია წინ პაპისაკენ, მუხლი მოიდრიკა, რათა მისგან დალოცვა მიეღო, შემდეგ ადგა, ეამბორა პაპს, მერე კი ხელჩაკიდებული შევიდნენ ეკლესიაში. ლეომ კარლოსის საპატივცემლოდ წირვა ჩაატარა. ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ გაიმართა დიდებული ბანკეტი, სადაც სტუმრებს მიართვეს შემწვარი ტახის ხორცი ვერცხლის ლანგრით, ღვინო კი ოქროს ფიალებით. კარლოსის ასეთმა მიღებამ პაპი თითქოს დაამშვიდა, მაგრამ არ მშვიდდებოდნენ მისი მოწინააღმდეგეები. პადებორნში ლეო მესამის ყოფნის დროს რომიდან წერილების მთელი დასტა ჩამოვიდა, სადაც ლეო მესამე მხილებული იყო, როგორც „კრიმინალი და ავაზაკი", ფიცის გამტეხი და ამორალური პიროვნება. წერილების წაკითხვის შემდეგ კარლოსს გაუჩნდა კითხვა: „შეიძლებოდა თუ არა სამოციქულო ტახტზე დარჩენილიყო ადამიანი, რომლის ზნეობაც საეჭვო იყო?" რასაკვირველია, პაპი შეეცადა თავის დაცვას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეფის გარემოცვა ითხოვდა პაპისაგან მასზე გავრცელებული მოსაზრებების გაქარწყლებას ფიცის დადებით. გერმანული სამართლის მიხედვით ფიცის დადება ხდებოდა მაშინ, როცა ბრალდებულის გასამტყუნებლად არანაირი საბუთი არ არსებობდა. მოწინააღმდეგეები მოითხოვდნენ პაპის უპირობო გადაყენებას. პაპმა ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა, მისი დაცვის პასუხისმგებლობა ალკუინს აეღო. ალკუინი ამ დროს მეფის სასახლეში არ ცხოვრობდა. 796 წლიდან ის ტურის აბატი იყო და იქ იმყოფებოდა.

ამასთან, ალკუინი საკმაოდ ხანშიშესული იყო და შეეცადა ლეო მესამის ირგვლივ შექმნილი სიტუაციისათვის თავი აერიდებინა, თუმცა სამეფო კარზე ის მაინც მეფის პირველ მრჩევლად რჩებოდა. ისინი ერთმანეთს წერილებით ეხმიანებოდნენ, ზოგჯერ ის ექსშიც ჩადიოდა სასამართლო სხდომებზე, ან პირიქით, კარლოსი ჩადიოდა ტურში. ალკუინი იძულებული გახდა თავისი მოსაზრებანი გამოეთქვა ლეო მესამის შესახებ და შეეცადა მის დაცვას. ალკუინმა მეფეს მისწერა წერილი, რომელშიც წერდა:„.. რომ, ლეო მესამე არ უნდა გაესამართლებინათ. მისი უდანაშაულობა ეჭქვეშ არ უნდა დაეყენებინათ, რადგან ის „უფლის მიერ იყო არჩეული, მოციქულთა მემკვიდრედ, ეკლესიის მეთაურად". მას ყველამ უნდა სცეს პატივი, ვინაიდან ის ქრისტეს სიტყვის აღმსრულებელია. ღმერთმა ლეო მესამეს დართო ნება, თავი დაეღნია მტრებისაგან, დაუბრუნა მას მხედველობა და მჭერმეტყველების უნარი, განა უფალი გააკეთებდა ამას, უზენაესის უღირსობის შემთხვევაში"[1]. ალკუინი მეფეს სთხოვდა უპასუხისმგებლო რომაელების დასჯას და პაპის ძალაუფლების აღდგენას ფიცის დადებისა და თავის მართლების გარეშე. მეფეს იგი ურჩევდა, გამოესწორებინა შექმნილი მდგომარეობა და შეენარჩუნებინა ის, რისი შენარჩუნებაც იყო აუცილებელი. გულის სიღრმეში ალკუინი არ იყო დარწმუნებული ლეო მესამის ზნეობრიობაში, მაგრამ ქრისტიანობისათვის უკიდურესად სამარცხვინო საქმედ მიაჩნდა მას მისი გასამართლება. კარლოსი ყოყმანობდა, მას არ სურდა პაპის გადაყენება. მისი აზრით, საკმარისი უნდა ყოფილიყო რომში ჯარის გაგზავნა და პაპის ბრალმდებელთა დასჯა. მეფემ მოუსმინა სამღვდელოების მრავალ ღირსეულ წარმომადგენელს და შედეგად პაპი იტალიაში გაამგზავრა. პაპს თან ახლდა სოლიდური დელეგაცია. კორტეჟის ბრწყინვალებით მეფე ადასტურებდა პაპისადმი მხარდაჭერას და რჩებოდა უზენაესის ერთგული. ფრანკების დელეგაცია შედგებოდა ცნობილი ადამიანებისაგან: არნი ზალცბურგიდან, ჰილდებრანდი კოლონიდან, ატონი ფრეიზიგიდან, ჟესე ამიენიდან და ასევე საერო პირებისაგან. რომში ჩასვლისთანავე დაიწყო გამოძიება, რომელიც სამ კვირაზე მეტი ხანი გაგრძელდა.

---

1 Jasques Delperrie De Bayac, Charlemagne, Imprime en France, 1976, გვ. 221.

გამოძიების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ შეემონმებინათ, არა ის, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ბრალდებები პაპის მიმართ, არამედ ოფიციალური ოქმების შედგენა იმ შეთქმულთა წინააღმდეგ, რომლებიც თავს დაესხნენ პაპს. გამოძიების მიმდინარეობისას ბრალდებულები პროტესტს გამოთქვამდნენ და პაპს კიდევ უფრო მეტ ბრალდებებს უყენებდნენ. დელეგაციის ზოგიერთი წევრი ბრალმდებელთა მხარეზე აღმოჩნდა. არნი ალკუინისადმი გაგზავნილ წერილში ადასტურებდა ლეო მესამის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს. ალკუინმა წერილი წაკითხვისთანავე ცეცხლში ჩააგდო: „იმის შიშით, რომ სკანდალი არ მოჰყოლოდა"[1]. ალკუინი შეეცადა არნის გადარწმუნებას: „რომ კათოლიკური რწმენის უანგარობა დაედასტურებინა, რათა მოძღვართ-მოძღვარი არ დატანჯულიყო მგლების ნაკბენებისაგან".[2] მან მისწერა არქიეპისკოპოსს, რომ ის პაპის მხარეს უნდა ყოფილიყო და მას უნდა ეთქვა ბრალმდებლებისათვის: „ის, ვინც თქვენს შორის ცოდვილი არ არის, ესროლოს პაპს პირველმა ქვა"[3].

ფრანკთა მეფის მიერ იტალიაში გაგზავნილმა დელეგაციამ შეკრიბა მტკიცებულებანი პაპზე თავდასხმის ორგანიზატორთა შესახებ. დაიკითხნენ შეთქმულებაში მონაწილეები და დამნაშავეები ფრანკთა ქვეყანაში გაამგზავრეს. ლეო მესამემ ამის შედეგად დაიბრუნა ტახტი. ამის შემდეგ აშკარად მინელდა სახალხო მღელვარებანი, თუმცა რომის არისტოკრატიაში და პაპის კურიაში ჯერ კიდევ პაპისადმი მტრული განწყობილება იყო. პაპის საქმე ჯერ დასრულებულად არ ითვლებოდა. პადებორნში პაპის ყოფნამ მრავალი ახალი კითხვა გააჩინა: მიმდინარეობდა თუ არა მალულად მოლაპარაკება პაპსა და კარლოსს შორის?; მოხდა თუ არა გარიგება მათ შორის?; რის საფუძველზე დაუჭირა მხარი კარლოსმა პაპს?; პაპი დაპირდა თუ არა კარლოსს იმპერიაში განდიდებას?. განვითარებული მოვლენები ეჭვს არ იწვევდა, რომ მეფესა და პაპს შორის ფარულად მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ძალიან მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის იმპერიის აღდგენის პროექტზე. იმპერიის აღდგენის იდეა

---

1 Jasques Delperrie De Bayac. Charlemagne. Imprime en France. 1976. გვ. 221.
2 იქვე, 226.
3 იქვე. 226.

დასავლეთში ნელ-ნელა იკვლევდა გზას რამდენიმე მიზეზის გამო. იმპერიის ცნება უცხო იყო გერმანელებისათვის, მაგრამ მახლობელი იყო რომაელებისათვის. დასავლეთის მოსახლეობას უკვე მივიწყებული ჰქონდა წარმოდგენები რომაულ იმპერიაზე. დიდებულებისათვის მისაღები იყო შედარებით სუსტი მეფე, ვიდრე ძლიერი მონარქი, სასულიერო პირებისათვის კი პირიქით. ყველაზე განათლებულ სასულიერო პირებშიც კი იმპერიის აღდგენის მცდელობას დიდი მხარდაჭერა და გამოხმაურება ჰქონდა. ის უკავშირდებოდა მოგონებებსა და წარმოდგენებს, რომლებიც ხალხის მეხსიერებაში აღადგენდნენ კონსტანტინეს სახელს, ქრისტიანი ხალხის შეკავშირების იდეას დიდი, ძლიერი მონარქის კვერთხის ქვეშ, მონარქისა, რომელიც უფრო ახლოს იქნებოდა ღმერთთან, ვიდრე სუსტი, უბრალო მეფე"[1] რასაკვირველია, ხალხმა იცოდა, რომ დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის პარალელურად არსებობდა მეორე იმპერია და ამ იმპერიის დედაქალაქი იყო კოსტანტინოპოლი, მაგრამ ზუსტად თავისი შინაარსით იგი იყო თუ არა რომაული, მრავალ კითხვას ბადებდა, მითუმეტეს, როცა (ბიზანტიის) იმპერია აღარ შეიცავდა რომს, რომლის იმპერატორებიც ძალიან ხშირად უპირისპირდებოდნენ პაპებს რელიგიური ან პოლიტიკური ინტერესების გამო და სადაც ოფიციალური ენა იყო არა ლათინური, არამედ ბერძნული.

დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ პოლიტიკური მოვლენების ცენტრი აღმოსავლეთში იყო. VII-VIII საუკუნეებში დასავლეთში საინტერესო მოვლენები ვითარდებოდა. ფრანკები კაროლინგი მეფეების მეთაურობით მძიმე ბრძოლებში ამარცხებდნენ საქსებს, ავარებს, არაბებს, ლომბარდიის მეფეებს. ამასთანავე, კარლოსი აძლიერებდა ქრისტიანულ რწმენას და ბრძოლას მწვალებლებთან: „კარლოსი ბავშვობიდანვე ქრისტიანული სარწმუნოების თაყვანისმცემელი იყო, წმინდად და ურყევად მიჰყვებოდა მას. ეკლესიას იგი სხვადასხვა დროს ეწვეოდა ხოლმე, ხანდახან ღამეც, თუკი ავად არ იყო, თან თვალყურს ადევნებდა, რომ ყველაფერი შესრულებულიყო, როგორც საჭირო იყო და არაფერში არ დარღვეულიყო რელიგიური მითითებანი[2]" კარლოს დიდის ქმედებები არ მიუთითებენ იმაზე, რომ მას წინასწარ

1 Jasques Delperrie De Bayac. Charlemagne. Imprime en France. 1976, გვ. 227.
2 იქვე, 227.

განზრახული ჰქონდა იმპერატორის ტიტულისათვის ბრძოლა. როგორც აღვნიშნეთ, ეს აზრი სასულიერო წრეებში გაჩნდა და პაპ ლეო მესამეს არც ძალაუფლება და არც სურვილი ჰქონდა, კარლოსისათვის უარი ეთქვა. პაპის კარზე შექმნილი ვითარება კარლოსისათვის ნამდვილად ხელსაყრელი იყო. მას შესაძლებლობისა და დროულობის გრძნობა დაეუფლა, მოსწონდა ის, რომ იგი დიდების ზენიტში იმყოფებოდა და ამით ძალიან ამაყობდა. მან სასულიერო პირები მოხერხებულად დაარწმუნა იმაში, რომ აუცილებელი იყო იმპერატორის ტიტულის მიღება: „სამი უმაღლესი წოდება ითვლება მსოფლიოში ყველაზე საპატიოდ, წერდა მას ალკუინი 799 წლის ივნისში. პირველი-სამოციქულო, მეორე-საიმპერატორო, მესამე-სამეფო. ხელისუფლება უფალმა იესო ქრისტემ მოგცათ გასანაწილებლად, იმისათვის, რომ ქრისტიანი ხალხის ხელმძღვანელი ყოფილიყავით, უფრო ძლიერი თქვენი სიბრძნისა და კეთილშობილური მართვის წყალობით, ვიდრე პაპი. ეკლესიების გადარჩენა თქვენზეა დამოკიდებული, თქვენ ხართ ბოროტებაზე შურისმაძიებელი, გზააბნეულთა გიდი, ტანჯულთა დამამშვიდებელი, კეთილთა სიამაყე.... იცნობთ საღვთო წერილს და საერო ისტორიას. ვის შეეძლო ეთქვა, თუ რა ჯილდო უნდა გაეცა უფალს თქვენი უსაზღვრო ერთგულებისათვის? თვალი არ ხედავს, ყურებს არ ესმით, კაცის გულმა არ იცის, რას უმზადებს უფალი მათ, ვისაც ის უყვარს".[1] „კარლოს დიდს ყველაზე ძალიან რომის ადრინდელი სიდიადის აღდგენა ახარებდა. ის უხვად უგზავნიდა პაპებს საჩუქრებს. მდიდრულად იქნა მორთული მისი ბრძანებით წმინდა პეტრეს ტაძარი, რომელიც მსოფლიოს სხვა ტაძრებს შორის თავისი სიდიადით გამოირჩეოდა, თუმცა თავისი მეფობის 47 წლის მანძილზე სალოცავად რომში მხოლოდ ოთხჯერ იყო. თავისი უკანასკნელი ლაშქრობა (800წ) მარადიულ ქალაქში არა მარტო ღვთისმოსაობის გამო მოაწყო, არამედ რომის პაპის ირგვლივ შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად".[2] რომში ბოლოჯერ იგი თავის უფროს ვაჟთან ერთად ჩავიდა. პაპი მეფეს დახვდა დაბა ნომენტუმში კარდინალების, პრელატებისა და

1 Jasques Delperrie De Bayac. Charlemagne, Imprime en France, 1976, გვ. 227.

2 იქვე, 227.

ოფიცრების თანხლებით. კარლოსი რომში იმპერატორისათვის განკუთვნილი პატივით მიიღეს. მას წმინდა პეტრეს ბაზილიკაში უამრავი ხალხი დახვდა. ათასზე მეტი სასულიერო პირი მის საპატივცემლოდგალობდა და ლოცვას აღავლენდა. კარლოსმა რომში ჩასვლისთანავე გამოაცხადა, რომ ის ჩამოვიდა პაპისათვის ბრალდების მოსახსნელად, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ალკუინმა მოიმიზეზა ჯანმრთელობის გაუარესება (მას რევმატიზმი აწუხებდა) და მეფეს იტალიაში არ ჩამოყვა. კარლოსმა ბოლომდე ვერ გაიგო ალკუინის დამოკიდებულება პაპისადმი.

კარლოსმა პირველ დეკემბერს, წმინდა პეტრეს ტაძარში ასამბლეა მოიწვია, რომელსაც ესწრებოდნენ გამოჩენილი სასულიერო და საერო პირები, როგორც ფრანკთა, ისე რომაელთა მხრიდან. აქვე იყვნენ შეთქმულების ორგანიზატორებიც. ასამბლეამ მოუსმინა როგორც პაპის მომხრეებს, ისე მოწინააღმდეგეებს. ასამბლეამ უარი თქვა პაპის გასამართლებაზე: „ჩვენ ვერ გავბედავთ განვსაჯოთ მოციქულები, რომლებიც უფლის ძალით ეკლესიების სათავეში არიან. ყველა ჩვენთაგანის განსჯა მხოლოდ მას, ქორეპისკოპოსს შეუძლია. მას ვერავინ განსჯის. ეს წესი ანტიკურობის ეპოქიდან არის დადგენილი. რასაც უზენაესი გადაწყვეტს, ჩვენ ყველა მის გადაწყვეტილებას ვემორჩილებით"[1], განაცხადეს ასამბლეის წევრებმა. ასამბლეის პოზიციას აადვილებდა ის ფაქტი, რომ მონმეებიც არ გამოსულან ბრალდებების დასადასტურებლად, ისინი მხოლოდ ერთმანეთს ადანაშაულებდნენ პაპის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებში.

ლეო მესამემ ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და ფიცის დადების სურვილი გამოხატა: „მსურს მივბაძო ჩემთვის მეტად საპატივცემლო წინამორბედებს და მზად ვარ განვიწმინდო ცილისმწამებლური ბრალდებებისაგან, რომელთა ობიექტიც ვიყავი სამარცხვინოდ".[19] ვფიქრობთ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა მას მეფესთან დაახლოებულმა პირებმა ურჩიეს. ასამბლეის პლენარული სხდომები 23 დეკემბრამდე გრძელდებოდა, სადაც ადგილი ჰქონდა ფიცის გაპროტესტებას. მიუხედავად ამისა, ლეო მესამე კარლოსის, არქიეპოსკოპოსების, აბატებისა და გრაფების თანდასწრებით ავიდა ამბიონზე და წარ-

1 Jasques Delperrie De Bayac, Charlemagne, Imprime en France, 1976, გვ. 227.

მოთქვა შემდეგი სიტყვები: „ყალბ დანაშაულებს, რომლებითაც რომაელებმა დამთრგუნეს და უსამართლოდ მდევნიდნენ, მე არცერთს არ ვცნობ, მე ისინი არ ჩამიდენია"[1]. როდესაც, ლეო მესამემ სიტყვა დაასრულა და გაჩუმდა, ასამბლეამ ერთხმად აღავლინა ლოცვა და ამით დასრულდა კრიზისი, რომელმაც პაპ ლეო მესამის მდგომარეობა საგრძნობლად შეარყია. ასამბლეამ მუშაობა განაახლა და დაიწყო მარადიული რომის იმპერიის აღდგენის საკითხის განხილვა. ვინაიდან, ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე გადაყენებული იყო და ტახტზე იჯდა ქალი, იმპერატორის ტიტული ვაკანტურად ჩათვალეს. ამასთან, ფრანკების მეფე-კარლოსი ფლობდა იტალიის, გალიისა და გერმანიის პროვინციებს, ასევე საიმპერატორო რეზიდენციებს. ამ საბაბით პაპმა და ასამბლეის წევრებმა კარლოსს ერთხმად სთხოვეს მიეღო იმპერატორის ტიტული. ერთსულოვანი თხოვნის წყალობით, კარლოსი დათანხმდა შემოთავაზებას. იმავე 23 დეკემბერს, რომელიც უკიდურესად მდიდარი იყო მოვლენებით, რომში ჩავიდა მღვდელი ზაქარია, რომელიც კარლოსმა მოგვიანებით იერუსალიმში გაგზავნა. ზაქარია იქიდან დაბრუნდა ორი პალესტინელი ბერის თანხლებით, რომელთაც იერუსალიმის პატრიარქის დაავალებით მეფეს გადასცეს ლოცვა-კურთხევა და წმინდა ადგილების კარლოსის მფარველობაში შესვლის დასტური. კარლოსის იმპერატორად კურთხევა მოხდა ორი დღის შემდეგ, 25 დეკემბერს, შობის დღესასწაულზე, წმინდა პეტრეს ბაზილიკაში, სადაც შობის დღესასწაულის აღსანიშნავად კარლოსი მივიდა თავისი ვაჟების თანხლებით; სამეფო მირონცხების მიღების მიზნით კარლოსი ეახლა მოციქულს, თავი დახარა და ლოცვას შეუდგა, მაშინ მას პაპმა თავზე გვირგვინი დაადგა. კარლოსი ფეხზე წამოდგა, გასწორდა და მაშინ ყველა რომაელმა და ფრანკმა, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ, დაიყვირა: „კარლოს, ავგუსტუს, რომაელების დიდო და მშვიდობიანო იმპერატორო, რომელსაც უფალმა გვირგვინი დაგადგა, სიცოცხლე და გამარჯვება", შემდეგ პაპმა ქედი მოიხარა კარლოსის წინაშე და თაყვანი სცა მას.

კარლოს დიდს პაპმა დაადგა იმპერატორის გვირგვინი. ამ გარემოებით, როგორც აღვნიშნეთ, კარლოსი პირველ ხანებში

---

1 Jasques Delperrie De Bayac. Charlemagne. Imprime en France. 1976, გვ. 229 .

იმდენად უკმაყოფილო იყო, რომ ამტკიცებდა კიდეც, პაპის გადაწყვეტილება რომ სცოდნოდა, საზეიმო დღესასწაულის მიუხედავად იგი არ წავიდოდა ეკლესიაში. კონსტანტინოპოლის იმპერატორების აღშფოთება იმის გამო, რომ კარლოსმა მიიღო იმპერატორის ტიტული, თავად კარლოსმა დიდი მოთმინებით გადაიტანა, ხოლო მათ სიჯიუტეს თავისი დიდსულოვნებით აჯობა. კოსტანტინოპოლში კარლოსი ხშირად აგზავნიდა იმპერატორებთან ელჩებს და წერილებში მათ „ძმებად" მოიხსენიებდა.

ამრიგად, იმ დეტალების დაწვრილებითი გაცნობითა და აღწერით, რომელიც თან სდევდა კარლოსისა და რომის პაპის ურთიერთობას, იყო მცდელობა კარლოსისა და ლეო III-ის ურთიერთობისათვის გარკვეული შტრიხები შეგვემატებინა იმ უმნიშვნელოვანესი წყაროთმცოდნეობითი ბაზის საფუძველზე, როგორიც არის ეინჰარდის „კარლოს დიდის ცხოვრება".

გრიგოლ VII — „გრიგორიანული რეფორმის“ ავტორი

IX საუკუნის ბოლო და XI საუკუნის შუა ხანები პაპობის ისტორიაში „ბნელი საუკუნეებითაა“ ცნობილი. ამ დროს ისე დაეცა პაპების ავტორიტეტი, რომ საერთოდ საფრთხის წინაშე დააყენა ამ ინსტიტუტის არსებობა. ამდროინდელი პაპების დიდი ნაწილი სიცოცხლეს ან დევნილობაში და ციხეებში ამთავრებდა, ანდა სულაც კლავდნენ. 962 წელს ოტო დიდის მიერ იმპერიის აღდგენამ რამდენადმე შეასუსტა პაპების დამოკიდებულება რომაელ და იტალიელ არისტოკრატიაზე. ოტო III-ის პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო რომის, როგორც ქრისტიანული უნივერსუმის პოლიტიკურ და სასულიერო ცენტრად გადაქცევისაკენ, წარუმატებლად დამთავრდა.

პაპების „ბნელი საუკუნეების“ მსოფლმხედველობა ცხადყოფს, რომ მათ არ გააჩნდათ ერთიანი პოლიტიკა ალპებს იქითა ეკლესიასთან, საერო ძალაუფლებასთან და ბიზანტიასთან დამოკიდებულებაში. პაპები აქტიურად ერეოდნენ რომაელი წარჩინებულების სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის არსებულ ბრძოლაში და მათი საზრუნავი საკუთარი მამულების დაცვა-გაფართოება იყო.

ძველ გერმანულ საზოგადოებაში უძრავი ქონების გადასვლა ერთი მფლობელიდან მეორეზე განმტკიცებული იყო რაიმე საგნის სიმბოლური გადაცემით. X— XI საუკუნეებში ამ ჩვეულებიდან ახალი წესი განვითარდა- განსაზღვრული სიმბოლიზებული საგნის საჯაროდ გადაცემა ერთი პირიდან მეორე, მასზე იერარქიულად დაბლა მდგომ პირზე. ეს მოქმედება ნიშნავდა ძალაუფლების, უფლებამოსილების ნაწილისა და აგრეთვე მასთან დაკავშირებული მიწის, შემოსავლისა და უფლებების გადაცემას. ამ აქტმა მიიღო ინვესტიტურის სახელწოდება. გერმანიის იმპერატორი საერო მთავრებს ინვესტირებდა (გადასცემდა) ჩვეულებრივ, დროშებს, საეკლესიო მთავრებს კი ბეჭედსა და კვერთხს. ყოველ ახლად დანიშნულ ეპისკოპოსს ეს საგნები აუცილებლად ან მეფის ხელიდან უნდა მიეღო ან მისი წარმომადგენლისაგან. შემდეგ, მათ საეკლესიო კურთხევის მსვლელობის დროს, ხელახლა გადასცემდნენ.

კაროლინგების მიერ გატარებულმა რეფორმებმა პაპების ავტორიტეტი დასავლეთ ევროპაში განამტკიცა. თუმცა პაპებმა მაშინ ვერ შესძლეს შეემუშავებინათ მოქმედების ისეთი მექანიზმი, რომელიც მათ საერო ხელისუ ფლებაზე მაღლა დააყენებდა.

მას შემდეგ, რაც IX საუკუნეში ევროპაში გავრცელდა „კონსტანტინეს ნაბოძვარი", აშკარა გახდა პაპების მისწრაფება უმაღლესი საერო ხელისუფლებისაკენ.

როცა აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესია საბოლოოდ გამოეყო კათოლიკურს (1054 წ.), ლათინთა ეკლესიამ თავისი უცდომელობისა და ეკლესიაზე რომის პაპის ხელისუფლების შესახებ მოსაზრების დაცვა ისევ გააგრძელა. კათოლიკური ეკლესიის ერთიანობის გარანტი გახდა რომის პაპი, რომელსაც სურდა თავისი უზენაესობის განმტკიცება საეკლესიო—ადმინისტრაციულ სფეროშიც. პაპის მიზანი იყო ცენტრალიზებული აბსოლუტური საეკლესიო მმართველობის ჩამოყალიბება.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული სახელმწიფოების მმართველები თავიანთი ძალაუფლების განსამტკიცებლად ეყრდნობოდნენ ეროვნულ ეკლესიებს, ისინი არ იყვნენ დაინტერესებულნი ცენტრალური საეკლესიო ხელისუფლების შემდგომი განმტკიცებით.

პაპების სწრაფვა პირველობისაკენ მარტო მათი უბრალო სურვილით კი არ შემოიფარგლებოდა, ისინი ითხოვდნენ უფლებას, დაენიშნათ უმაღლესი სამღვდელოება (ინვესტიტურა), რაც თავდაპირველად საერო ხელისუფლების პრეროგატივა იყო.

პაპების საეკლესიო-ადმინისტრაციული უმაღლესი ხელისუფლების დამკვიდრება ნიშნავდა, რომ ეროვნული ეკლესიები დაექვემდებარებოდნენ რომს, საეკლესიო იერარქია კი დამოკიდებული იქნებოდა პაპებზე. ეს იყო საეკლესიო უნივერსალიზმის პრინციპის განხორციელება. საერო ხელისუფლებაზე პაპების ხელისუფლების პრიმატის გავრცელება ნიშნავდა, რომ ეკლესიის ერთიანობის შენარჩუნება შესაძლებელი იყო მხოლოდ სახელმწიფოთა პარტიკულარულ ინტერესებთან ბრძოლაში.

მოსაზრება, დოგმატური სწავლების განვითარების შესაძლებლობაზე თანდათან განმტკიცდა, რის შედეგადაც ახალი, ძველი ეკლესიისათვის უცნობი, დოგმები გამოცხადდა. ყოველივე ამის გამო, საეკლესიო სწავლებამ თვით მისი ღვთისმე-

ტყველებისთვისაც კი მანამდე უცხო შინაარსი შეიძინა.

XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისში ურთიერთობა პაპებსა და იმპერატორებს შორის გამწვავდა და ინვესტიტურის საკითხთან დაკავშირებულ კონფლიქტში გადაიზარდა.

პაპებმა, რომლებსაც ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვება სურდათ, დაიწყეს საერო ინვესტიტურის წინააღმდეგ ბრძოლა. სასულიერო პირის დანიშვნა მათ ეკლესიის საშინაო საქმედ გამოაცხადეს და ამ საქმეში საერო პირის ჩარევა დაუშვებელად ჩათვალეს. მაგრამ გერმანელი მონარქები სულაც არ აპირებდნენ იმ ძველ წესზე უარის თქმას, რომელიც მათ უფლებას აძლევდა საეკლესიო თანამდებობები სურვილისამებრ განეკარგათ. იმპერატორის მრჩევლები განსაკუთრებით მწვავედ სვამდნენ საკითხს იმ სამფლობელოებზე, რომლებიც ეკლესიას ხელისუფლებისაგან ჰქონდა მიღებული. მათი მტკიცებით, თუ პაპი, ახალ აღთქმაზე დაყრდნობით, მოითხოვდა ეკლესიის დამოუკიდებლობას იმპერატორისაგან, მაშინ მას უნდა დაებრუნებინა საერო ხელისუფლებისაგან მიღებული მთელი ქონება.

ბრძოლა ინვესტიტურისათვის არსებითად ატარებდა არა რიტუალურ, ფორმალურ ხასიათს, არამედ იყო სერიოზული დავა იმის შესახებ, თუ ვის დაქვემდებარებაში ყოფილიყო ეკლესია — ძალაუფლების ძირითადი საყრდენი იმპერიაში, რომელიც წარმოადგენდა მსხვილ პოლიტიკურ წარმონაქმნს დასავლეთ ევროპაში (ის მოიცავდა ბერძნულ მიწებს, ბურგუნდიის სამეფოსა და იტალიის მნიშვნელოვან ნაწილს). უფრო კონკრეტულად, ბრძოლას ინვესტიტურისათვის უნდა გადაეწყვიტა საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ქრისტიანული სამყაროს სათავეში — იმპერატორი თუ პაპი. ამ საკითხის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რეფორმაციულმა მოძრაობამ, რომელიც კლუნის მონასტერთან იყო დაკავშირებული.

კლუნის მონასტერი 910 წელს ბურგუნდიაში დაარსა აკვიტანიის ჰერცოგმა გიიომმა. მან მიიღო წმ. ბენედიქტეს წესდება, რომელიც ბერ-მონაზვნების ცხოვრების საფუძველს წარმოადგენდა და მონასტერი სამუდამო მფლობელობაში გადასცა რომის პაპს, რამაც მისი დამოუკიდებლობა განაპირობა ეპისკოპოს დიოცეზისაგან. კლუნის მონასტერი იქცა მონასტერთა

ცენტრალიზებული კონგრეგაციის ცენტრად. ის ჩამოყალიბდა თავისებურ სუვერენულ ბერმონაზვნურ სახელმწიფოდ, რომლის მეთაურსაც თანამედროვენი, არცთუ იშვიათად, „მეფეს“ უწოდებდნენ.

კლუნიელების ძირითად მიზანს ეკლესიის გაძლიერება და მეფის ხელისუფლების დაქვემდებარება წარმოადგენდა. ეს გამოწვეული იყო საერო ინვესტიტურის დამკვიდრებით XI საუკუნიდან, როცა ეპისკოპოსების არჩევა სასულიერო წოდებისა და მრევლის მიერ, შეიცვალა ახალი წესით: ახლა ვინმე ეპისკოპოსი რომ გამხდარიყო, საკმარისი იყო გარკვეული თანხისა და ფიცის მიცემა მეფისათვის. ეპისკოპოსობა იმდენად საპატიო და მომგებიანი იყო, რომ გამოთქმაც კი არსებობდა: „ეპისკოპოსობას მთხოვნელი საგანძურით ინაზღაურებს“, ამიტომაც ასეთ თანამდებობას ყველა საშუალებით ყიდულობდნენ. ამგვარად, საეკლესიო თანამდებობანი მეფის ხელში ვაჭრობის ობიექტად იქცა. ამიტომაც ბრძოლა ინვესტიტურისათვის (ანუ სასულიერო წოდების დამტკიცება, რის ნიშნადაც ეპისკოპოსი ბეჭედსა და კვერთხს ღებულობდა), ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა საეკლესიო რეფორმაციაში.

ინვესტიტურასთან იყო დაკავშირებული სიმონია—საეკლესიო თანამდებობების ყიდვა-გაყიდვა („საქმე მოციქულთა“—ში შემონახული თქმულების მიხედვით, სიმონ მოგვმა სთხოვა ქრისტეს მოციქულებს პეტრესა და იოანეს მიეყიდათ მისთვის ხელდასმით სულინმინდის გადაცემის უნარი).

კლუნიელები მოითხოვდნენ აგრეთვე ცელიბატის (უცოლობის) დაცვას არა მარტო შავ სამღვდელოებაში, არამედ მთელ სასულიერო წოდებაში.

სიმონიის აღკვეთისა და ცელიბატის დაკანონების მოთხოვნებით მილანოსა და ჩრდილოეთ იტალიის ზოგიერთ ქალაქში XI საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო მოძრაობა, რომელიც „პატარიას“ სახელითაა ცნობილი (ღარიბი მეძველმანეების კვარტლის სახელწოდება მილანოში), რომელსაც არიალდი და ლანდულფი ხელმძღვანელობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ "პატარიის“ წინააღმდეგ გერმანიის იმპერატორი მოქმედებდა, გრიგოლ VII-ის მხარდაჭერით მოძრაობამ გაიმარჯვა.

X- XI საუკუნეებში ეკლესიის რეფორმის საკითხი გერმანიის

იმპერიაშიც მწვავედ დადგა. მაგრამ თუ კლუნიური მოძრაობა დაბლიდან განვითარდა, თვითონ ბერმონაზვნებიდან, გერმანიაში რეფორმების მთავარ დამცველად თვით იმპერატორი გამოვიდა. გერმანელი იმპერატორების რეფორმატორული სწრაფვა მიმართული იყო საიმპერიო ეკლესიის სისტემის განმტკიცებისაკენ. 1046-1058 წლებს უწოდებენ „გერმანელ პაპთა ეპოქას". ამ წლებში რომის ეკლესიას მეთაურობდნენ გერმანული წარმოშობის პაპები, რომლებიც ეკლესიის რეფორმირებაში იმპერატორს ეყრდნობოდნენ.

რეფორმების მიზანს, პირველ რიგში წარმოადგენდა სიმონიისა და ქორწინების (ცელიბატი) აკრძალვა კლირიკებს შორის, რაც ერესად ცხადდებოდა. პაპების კონტაქტები საეპისკოსოებსა და მონასტრებთან დასავლეთ ევროპაში განმტკიცდა და უფრო ინტენსიური გახდა. დაიწყო განსაკუთრებული მექანიზმის შექმნა, რომელიც განახორციელებდა პაპის ძალაუფლებას ეკლესიაზე. ეს ძალისხმევა პირველ რიგში დაკავშირებულია ლეო IX (1049-1054) პონტიფიკატთან. მან პაპის კანცელარიის რეორგანიზაცია მოახდინა, რომელმაც მალე მიიღო რომის კურიის სახელწოდება. მასში შედიოდნენ მნიშვნელოვანი რაოდენობით ნოტარიუსები და გადამწერები, რაც პაპს საშუალებას აძლევდა ენარმოებინა ფართო მიმოწერა. მასში აგრეთვე შევიდნენ ლეო IX-ის უახლოესი მრჩევლები ეკლესიის რეფორმატორებიდან. ამ მრჩევლებმა შექმნეს კარდინალთა კოლეგია. კარდინალები იყვნენ პაპის ძირითადი დასაყრდენნი ეკლესიის მართვაში და რეფორმების გატარებაში.

ფეოდალური საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი ქმნიდა შესაძლებლობას თეოკრატიის განსახორციელებლად. ადრეული ფეოდალიზმის პერიოდში (IX X სს) ქრისტიანულ საზოგადოებაში წამყვან როლს თამაშობდა იმპერატორი, ცალკეულმა სახელმწიფოებმა ჯერ კიდევ ვერ განიმტკიცეს თავიანთი პოზიციები, ქრისტიანობამ ჯერ კიდევ ვერ შესძლო ფართო მასებში შეღწევა. ასეთ სიტუაციაში პრიმატი საერო ხელისუფლებას, შეიარაღებულ ძალას ეკუთვნოდა.

ვითარება შეიცვალა XI-XIV საუკუნეებში. ფეოდალური ურთიერთობების განვითარებამ რელიგია საზოგადოების ორგანული ნაწილი გახადა. შუა საუკუნეების შუა ხანებისათვის პა-

პობა გადაიქცა ერთადერთ უნივერსალურ ხელისუფლებად, რაც ხელს უწყობდა პოლიტიკური უნივერსალიზმის მიღწევასაც.

მართლმადიდებლობიდან ახლად განმდგარი ლათინთა ეკლესიის განსაახლებლად, პაპმა გრიგოლ VII ჰილდებრანდმა (1073-1085) აქტიური მოქმედება დაიწყო. იგი ეკლესიის ცენტრალიზებისთვის დაჟინებით ისწრაფოდა, რათა საეკლესიო კანონმდებლობის უფლება პაპის ხელში მოექცია და მიტროპოლია რომისთვის დაექვემდებარებინა. სწორედ მან ჩამოაყალიბა მკაფიოდ ეკლესიასთან პაპის გაიგივების იდეა და განსაზღვრა მისი როლი, როგორც პეტრე მოციქულის წარმომადგენლისა, რომელსაც „ღმერთმა შეკვრისა და გახსნის უფლება უკლებლივ ყველაზე მისცა, როგორც ქვეყანასა ზედა, ისე ცათა შინა".[1]

გრიგოლ VII ჰილდებრანდმა ამ ბრძოლაში ისეთი სიჯიუტე და გააფთრება გამოავლინა, რომ მისმა თანამედროვე კარდინალმა პიეტრო დამიანემ მას „წმინდა სატანა" უწოდა. გრიგოლ VII— ემ კომპლექსური ზომები მიიღო, რათა კანონიკური უფლება მოქმედებაში მოეყვანა, ეკლესია საერო ძალებისაგან გაეთავისუფლებინა და დაექვემდებარებინა ის პაპისათვის. ყოველივე ამან ისტორიოგრაფიაში მიიღო სახელწოდება— „გრიგორიანული რეფორმა". მისი პრინციპები მისმა მიმდევრებმაც გააგრძელეს და XI საუკუნის დასასრულსა და XII საუკუნის დასაწყისში აიკრძალა „კერძო ეკლესიის უფლება", თუმცა პაპობამ ვერ მოახერხა მთლიანობაში ეკლესია გამოეთიშა ვასალური დამოკიდებულებების სისტემიდან.

კლუნის მონაზვნური ასკეტიზმის სკოლაგამოვლილი, უბრალო ბერიდან უმაღლეს სასულიერო იერარქიაზე ასული ჰილდებრანდი, ჭკვიანი და ანგარიშიანი პოლიტიკოსი იყო, მაგრამ ამავე დროს, საოცრად შეუვალი და ფანატიკოსი. თავის გამოსვლებში ის თავშეუკავებელი იყო, მაგრამ მას შეეძლო ოსტატურად გარკვეულიყო ყველაზე რთულ პოლიტიკურ სიტუაციებში, მოხერხებულად ემოქმედა საშიშ და მტრულ გარემოცვაში.

ჰილდებრანდმა სამსახური ჯერ კიდევ გრიგოლ VI დროს დაიწყო. გაძევებულ პაპს კიოლნში თან ახლდა პირად მდივნად.

---

1 დ. ოგიცკი, მღვდელი მაქსიმე (კოზლოვი). რომაული კათოლიციზმი. იხ. http://orthodoxy.wanex.net/apologetika/katolitsizmi-1.htm

მისი სიკვდილის შემდეგ კი, 1054 წელს, ჰილდებრანდი კლუნის მონასტერში განმარტოვდა, საიდანაც პაპმა ლეო IX-მ გამოიძახა. მიუხედავად იმისა, რომ ჰილდებრანდი არ ეკუთვნოდა პრესვიტერიანულ კარდინალთა კორპუსს, ის, როგორც კარდინალ–დიაკონთა ხელმძღვანელი, გადამწყვეტი სიტყვის უფლებით სარგებლობდა ჯერ კიდევ პაპის ალექსანდრე II-ის დროს.

1073 წელს, როცა ლატერანის ტაძარში მოასვენეს ალექსანდრე II-ის ცხედარი, ქუჩაში ბრბომ მორთო ყვირილი: „ჰილდებრანდი უნდა იყოს ჩვენი ეპისკოპოსი, იგი წმინდა პეტრემ აირჩია“. ბრბომ ხელში აიყვანა ჰილდებრანდი, შეიყვანა ლატერანის ტაძარში და პაპად დასვა, თუმცა ეს კანონის დარღვევით მოხდა. საქმე ის არის, რომ 1059 წლის ბულით, პაპის არჩევა მხოლოდ კარდინალებს შეეძლოთ. ახლა კი კარდინალები ფაქტის წინაშე დადგნენ და იძულებულნი გახდნენ დაემტკიცებინათ მისი კანდიდატურა. ასე მიაღწია 53 წლის ჰილდებრანდმა საწადელს ავიდა პაპის ტახტზე გრიგოლ VII—ის სახელით. მან მოტყუებით იმპერატორ ჰაინრიხ IV-ის დამტკიცებაც მიიღო და შეუდგა ახალი წესრიგის დამყარებას, ცხოვრებაში იმის გატარებას, რომელიც ჩამოყალიბებული იყო მის მიერ 1075 წელს შედგენილ „პაპების დიქტატში“ "Dictatus Papac“. 27 პუნქტისაგან შემდგარ ამ „დიქტატში“ გარკვევით ეწერა:

1. ღმერთის მიერ მხოლოდ რომის ეკლესია იქნა დაარსებული;

2. მხოლოდ რომის პაპებს აქვთ უფლება მსოფლიოდ იწოდებოდნენ;

3. მხოლოდ პაპებს აქვთ უფლება ეპისკოპოსების მოხსნა-დანიშვნის;

4. კრებაზე პაპის ლეგატი თავისი მდგომარეობით ყველა ეპისკოპოსზე მაღლა დგას, მაშინაც კი თუ მას უფრო დაბალი წოდება აქვს; მას უფლება აქვს ეპისკოპოსების გადაყენების;

5. პაპს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არმყოფი პირების გადაყენების შესახებ;

6. პაპის მიერ ეკლესიიდან განკვეთილ პირებთან აკრძალულია თვით ერთ სახლში ყოფნაც კი;

7. მხოლოდ პაპს შეუძლია დროის მოთხოვნილებების შესაბამისად გამოსცეს ახალი კანონები, შექმნას ახალი საეპისკო-

სოები, კაპიტულები გარდაქმნას სააბატოებად და პირიქით; დაჰყოს მდიდარი და გააერთიანოს ღარიბი საეპისკოპოსოები;

8. საიმპერატორო რეგალიებით სარგებლობა მხოლოდ პაპს შეუძლია;

9. ყველა მეფე და მთავარი პაპს ფეხზე უნდა ჰკოცნიდეს; მხოლოდ პაპის სახელი მოიხსენიება ეკლესიაში;

10. მსოფლიოში მხოლოდ მას აქვს უფლება ატაროს პაპის სახელი;

11. პაპს იმპერატორის ჩამოგდება შეუძლია;

12. პაპს აქვს უფლება, აუცილებლობის შემთხვევაში, ერთი კათედრიდან მეორეში გადაიყვანოს ეპისკოპოსები;

13. პაპს შეუძლია გადაწყვიტოს ერთი ეკლესიიდან მეორეში კლირიკის გადაყვანის საკითხი;

14. მას, ვისაც პაპი წოდებას მიანიჭებს, შეუძლია იყოს ნებისმიერი ეკლესიის მეთაური ისე, რომ მას არ უნდა დაეკისროს უფრო დაბალი მოვალეობის შესრულება; სხვა ეპისკოპოსს არ შეუძლია პაპის მიერ თანამდებობაზე დანიშნული პირის უფრო მაღალ წოდებაზე გადაყვანა;

15. აკრძალულია მსოფლიო კრების მონვევა პაპის განკარგულების გარეშე;

16. პაპის ავტორიტეტის გარეშე არც ერთი კაპიტული და წიგნი არ ჩაითვლება კანონიკურად;

17. არავის არ შეუძლია პაპის გადაწყვეტილებების შეცვლა მანამ, სანამ პაპი თვითონ არ შეიტანს მათში შესაბამის ცვლილებებს;

18. არავის არა აქვს უფლება პაპი გაასამართლოს;

19. არავის არა აქვს იმ პირის გასამართლების უფლება, რომელიც აპელაციით მიმართავს სამოციქულო ტახტს;

20. ყოველი ეკლესიის მნიშვნელოვანი საქმეები განსახილველად უნდა წარედგინოს პაპს;

21. რომის ეკლესიას არასოდეს მოსვლია შეცდომა, ამიტომაც თანახმად წმინდა წერილისა, ის ყოველთვის უცოდველი იქნება;

22. კანონიერად დადგენილი რომის მღვდელმთავარი, წმ. პეტრეს დამსახურებით, უეჭველად წმინდანი ხდება, როგორც ეს დაადასტურა პავიის ეპისკოპოსმა წმინდა ენოდიუსმა, და

მას ამაში დაეთანხმნენ წმინდა მამები, რისი დადასტურება შეიძლება წმინდა სიმაქის დეკრეტებით;

23. პაპის უფლებამოსილებებისა და ბრძანებების შესაბამისად ბრალდება შეიძლება წარადგინონ უფრო დაბალი წოდების მქონე სასულიერო პირებმაც;

24. პაპს შეუძლია ეპისკოპოსის გადაყენება ან თანამდებობაზე დაბრუნება კრების მოწვევის გარეშე;

25. არ შეიძლება კათოლიკედ ჩაითვალოს ის, ვინც არ ეკუთვნის რომის ეკლესიას;

26. პაპს შეუძლია ქვეშევრდომები უსამართლო მეფის ერთგულების ფიცისაგან გაათავისუფლოს.[1]

რა თქმა უნდა, გრიგოლ VII პირველი პაპი არ ყოფილა, ვინც ეს პრინციპები წინ წამოსწია, მაგრამ მან პირველმა სცადა მათი ცხოვრებაში გატარება.

ამ „დიქტატით" ღმერთი პაპს აკისრებდა საღვთო წესრიგის შენარჩუნებას დედამიწაზე. ამიტომაც პაპს უფლება ჰქონდა ყველა განესაჯა, ხოლო მისი განსჯის უფლება კი არავის ჰქონდა. პაპს შეეძლო ეკლესიიდან მოეკვეთა ყველა, ვინც ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანულ წესრიგს, მას განსაკუთრებით უნდა მიედევნებინა თვალი ქვეყნის მმართველებისათვის, მთავრებისათვის. თუ ხელმწიფე მოქმედებდა არა ღმერთის და ეკლესიის ინტერესებით, არამედ თავისი ნება-სურვილით, მაშინ ის კარგავდა უფლებას ხელისუფლებაზე. პაპებს შეეძლოთ დაესაჯათ, შეეწყალათ, ხელისუფლებისაგან ჩამოეშორებინათ ან დაებრუნებინათ ძალაუფლება ქვეყნის მეთაურისათვის. პაპი უფლებამოსილი იყო არა მარტო მსოფლიო იურისდიქციით და ხელშეუხლებლობით, არამედ მას უფლება ჰქონდა მოეწვია კრება, რომელზეც ეპისკოპოსების დაწინაურება-დაქვეითების საკითხი გადაწყდებოდა.

„დიქტატის" მიხედვით, ქრისტემ პეტრე ქვეყნის სამეფოთა მთავრად დაადგინა (princeps super regna mundi), ხოლო პეტრემ ეს უფლება პაპებს გადასცა. აქედან გამომდინარეობდა პაპების პრეტენზიები, რომ ევროპის რიგი სახელმწიფოები რომს უნდა დამორჩილებოდნენ, ხოლო ხელმწიფეებს პაპების ხელისუფლების პრიმატი უნდა ელიარებინათ. პაპისადმი ურჩო-

---

1 Е. Георгей. История папства. ob. http://www.krotov.info/libr_min/g/gorgey/00.html

ბას ქრისტიანობიდან განდგომას ან კერპთაყვანისმცემლობას უთანაბრებდნენ.

სწორედ ამ ფუძემდებლური პოსტულატებით ებრძოდა პაპი გრიგოლ VII- ე იმპერატორ ჰაინრიხ IV – ს ისეთი საშუალებებით, როგორიც იყო წყევლა, ეკლესიისაგან განკვეთა, ქვეშევრდომების ერთგულების ფიცისაგან განთავისუფლება. ბრძოლის ეს მეთოდები თავდაპირველად ეფექტური აღმოჩნდა. თუ აქამდე იმპერია ბატონობდა პაპობაზე, ქრისტიანულ რესპუბლიკაში წამყვანი როლი გადადიოდა ეკლესიაზე, პაპებზე, რათა საღვთო კანონების შესაბამისად გარდაექმნათ იმპერია (თეოკრატია).

გრიგოლ VII აღიარებდა როგორც სასულიერო, ასევე საერო ხელისუფლების ღმერთისაგან წარმოშობას და მათ გაერთიანებას აუცილებლად მიიჩნევდა. მისი აზრით, როგორც ეკლესია აღემატებოდა სახელმწიფოს, ასევე სასულიერო ხელისუფლება საეროზე მაღლა უნდა მდგარიყო. ის ცდილობდა პაპების მსოფლიო თეოკრატიული მონარქიის შექმნას. ამ იდეის საფუძვლები მანამდეც არსებობდა (მაგ. სიგელი „კონსტანტინეს ნაბოძვარი“), მაგრამ მან ის სათანადო დონეზე გაახმოვანა და ახალი სული შთაბერა მსოფლიო თეოკრატიის იდეას.

გრიგოლ VII თავიდანვე შეეცადა მიეღო საეკლესიო მართვის განუსაზღვრელი უფლებები. მისი ინიციატივით ერთმანეთის მიყოლებით იქნა კრებებზე მიღებული მკაცრი დადგენილებები სიმონიის და მღვდელმთავართა ქორწინების წინააღმდეგ.

ცელიბატის შემოღება, ე.ი. მღვდელმთავართა ქორწინების აკრძალვა მიზნად ისახავდა მათსა და საერო საზოგადოებას შორის არსებული საერთო ინტერესების განყვეტას. სახარებაში, მართალია, იყო რჩევები უბიწოების დაცვისათვის, მაგრამ არ იყო სასულიერო პირებისათვის ქორწინების აკრძალვის მოთხოვნა.

ელვირის საეკლესიო კრებაზე (დაახ. 300 წ.) მიღებული გადაწყვეტილებით ეპისკოპოსებს, მღვდელმთავრებს და დიაკონებს ეკრძალებოდათ არა ქორწინება, არამედ ოჯახური ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ ნიკეის საეკლესიო კრებაზე (325 წ.) იხილებოდა ცელიბატის საკითხი, გადაწყვეტილება მაინც არ იქნა მიღებული.

აღმოსავლეთში ასეთი ვითარება უცვლელად იქნა შენარ-

ჩუნებული, ხოლო ლატინთა ეკლესიის პაპებმა ლეო 1-მა და გრიგოლ 1-მა ელვირის კრების გადაწყვეტილებას კანონიერი ძალა მიანიჭეს და მთელ ეკლესიაზე გაავრცელეს. თუმცა ხალხთა გადასახლების ეპოქაში, შემდეგ კი, ადრე შუა საუკუნეებში, მისი ცხოვრებაში გატარება ვერ მოხერხდა და სასულიერო პირთა ქორწინება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

პაპმა გრიგოლ VII—მ რეფორმების გატარებისას ისევ აღადგინა ცელიბატის პრინციპი. სასულიერო პირებს მთელი თავიანთი ცხოვრება ღვთისმსახურებისათვის უნდა მიეძღვნათ, რამაც დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. 1074 წელს პარიზის საეკლესიო კრებაზე გრიგოლ VII ეს ეს წინადადება უარყოფილ იქნა. კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა პირდაპირ მოუწოდა სასულიერო პირებს დაქორწინებისაკენ.

მიუხედავად წინააღმდეგობისა, პაპმა ევროპის ქვეყნებში გააგზავნა თავისი ლეგატები ცელიბატის ცხოვრებაში განსახორციელებლად.

ცელიბატის შემოღებით წყდებოდა არა მარტო საეკლესიო ქონების შენარჩუნების საკითხი, არამედ საერო ხელისუფლებისაგან ეკლესიის დამოუკიდებლობის მიღწევაც.

პაპი გრიგოლ VII პაპიზმის გასავრცელებლად აღმოსავლეთშიც ასეთივე ენერგიულობით მოქმედებდა. ამ დროს პაპმა „მაცხოვრის საფლავის" დაპყრობის მიზნით ჯვაროსნული ლაშქრობის (1074 წ.) იდეა გამოაქვეყნა.

გრიგოლ VII-მ სწორად განსაზღვრა რეფორმების გატარების დრო: მან ისარგებლა ჰაინრიხ IV-ის მცირეწლოვანებით, იმით, რომ ის ჯერ კიდევ არ იყო მეფედ კურთხეული, ასევე საქსონიის აჯანყებით (1073-1075) და 1075 წელს გამოაქვეყნა ლატერანის კრების დადგენილება საერო ინვესტიტურის გაუქმების შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „თუ ვინმე საერო პირისაგან მიიღებს ეპისკოპოსობას ან აბატის ღირსებას, ის არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება ეპისკოპოსად და მას არ უნდა მიეზღოს არანაირი პატივი როგორც ეპისკოპოსს და როგორც აბატს. გარდა ამისა, ჩვენ ჩამოვართმევთ მას წმინდა პეტრეს წყალობას და ვუკრძალავთ ეკლესიაში სიარულს, სანამ ის არ დატოვებს ცოდვილიანი გზით მიღებულ თანამდებობას...

თუ რომელიმე იმპერატორი, მეფე, მთავარი ან ვინმე საერო

ხელისუფლების წარმომადგენელი დანიშნავს ეპისკოპოსს ან გაბედავს მიანიჭოს საეკლესიო თანამდებობა, ის ვერ გაექცევა შესაფერის საჯელს."[1]

იმ ფაქტმა, რომ ხელმწიფეს ან სიუზერენ-ფეოდალს არ ჰქონდა უფლება სასულიერო პირის დანიშვნისა, ძალზე შეაშფოთა ჰაინრიხ IV, რომელმაც მასში დაინახა საფრთხე თავისი ხელისუფლებისათვის. იმპერატორს ხელიდან ეცლებოდა საეკლესიო ვასალური მიწათმფლობელობის განკარგვის უფლება, ის თვით იყო დაკავებული უმაღლესი საეკლესიო თანამდებობებზე დანიშვნებით იტალიაშიც. ახლა კი კარგავდა გავლენას საეკლესიო იერარქიაზე, რომელზე დაყრდნობითაც ებრძოდა საერო ფეოდალებს.

1075 წელს პაპი ულტიმატუმის სახით დაემუქრა ჰაინრიხ IV-ს ეკლესიიდან განკვეთით, რამაც იმპერატორი და ცელიბატით უკმაყოფილო ეპისკოპოსები არამც თუ შეაშინა, არამედ ღიად დააპირისპირა პაპს.

ჰაინრიხ IV-მ პაპის მონინააღმდეგე რამდენიმე პირი ეპისკოპოსად დანიშნა, რასაც გრიგოლ VII-ის მუქარით სავსე ეპისტოლე მოჰყვა 1075 წლის დეკემბერში. მიიწერა რა ამგვარად „ზეცისა და ქეეყნის" განუსაზღვრელი უფლებები, პაპმა თავის სამწყსოს გამოუცხადა: „ამ ხელისუფლების ძალით ყოვლისშემძლე ღმერთის მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით მეფე ჰაინრიხს, იმპერატორი ჰაინრიხის ძეს, ვუკრძალავ გერმანიისა და იტალიის იმპერიების მართვას... ყველა ქრისტიანს ვუხსნი ერთგულების ფიცს, რომელიც მას მისცეს ან მისცემენ მომავალში. ხოლო შემდგომში მისი მეფედ აღიარებას ვკრძალავ"[2]

1076 წლის იანვარში ვორმსის საეკლესიო კრებაზე იმპერატორმა გრიგოლ VII გადაყენებულად გამოაცხადა და მას რომში შეურაცხმყოფელი წერილი გაუგზავნა, რომელიც ასე იწყებოდა: „ჰილდებრანდს, ახლა უკვე არა პაპს, არამედ ცრუ ბერს", და მთავრდებოდა სიტყვებით: „ჩვენ, ჰაინრიხი, მეფე ღვთის წყალობითა (და არა პაპისა), ყველა ჩვენ ეპისკოპოსებთან ერთად

---

1 Е. Гергей. История папства. იხ. http://www.krotov.info/libr_min/g/gorgey/00.html.

2 დ. ოგიცკი, მღვდელი მაქსიმე (კოზლოვი). რომაული კათოლიციზმი. იხ. http://orthodoxy.wanex.net/apologetika/katolitsizmi-1.htm

გეუბნებით შენ-- გაეცალე, გაეცალე".[1]

გრიგოლ VII-ე დიდად არ აუღელვებია იმპერატორის ამ საქციელს. მან, თავის მხრივ, 1076 წლის თებერვალში ლატერანის კრებაზე, ჯერ თანამდებობებიდან გადააყენა იმპერატორის თანამოაზრე ეპისკოპოსები, შემდეგ თვით იმპერატორი ეკლესიისაგან განკვეთა, ჩამოართვა იტალიის და გერმანიის სამეფოები და მისი ქვეშევრდომები გაანთავისუფლა ერთგულების ფიცისაგან, რაც საქსონიის აჯანყების შემდეგ დაშოშმინებული ძლიერი ოპოზიციის ახალ გამოსვლას ნიშნავდა. უფრო მეტიც, თუ იმპერატორი განკვეთას ერთი წლის და ერთი დღის განმავლობაში არ მოიხსნიდა, ოპოზიციას ახალი მეფის არჩევა შეეძლო 1076 წლის ტრიბურის კრების დადგენილებით, რომელიც გერმანელმა მთავრებმა მიიღეს.

იმპერატორის ეკლესიისაგან განკვეთა იყო ახალი მოვლენა ისტორიაში. 1076 წლის მარტში პაპმა სპეციალური წერილით მიმართა გერმანელ ფეოდალებს, რომელშიც მოუწოდა ჰაინრიხის წინააღმდეგ გამოსვლისაკენ. 1076 წლის ზაფხულში დაიწყო იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყებები საქსონიაში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა შვაბიის ჰერცოგი რუდოლფი.

ეპისკოპოსთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მხარი დაუჭირა ჰაინრიხს. შეთქმულმა ფეოდალებმა პაპი მოიწვიეს 1077 წლის თებერვალში იმპერატორზე სასამართლო პროცესის ჩასატარებლად დანიშნულ რეიხსტაგის სხდომაზე.

ჰაინრიხ IV განათლებული, კარგი სარდალი და ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო. საჭიროების შემთხვევაში მას თავის მოკატუნებაც შეეძლო, დათმობაც და რევანშისათვის საიდუმლო მზადებაც. ამ შემთხვევაში მან კარგად მოფიქრებული სპექტაკლი „გაითამაშა".

1076 წლის ბოლოს მეუღლესთან, ბავშვთან და თავის ერთგულ ეპისკოპოსებთან ერთად, დიდი ტანჯვა-ნამების შემდეგ, ის იტალიაში ჩავიდა. პაპი ჩაიკეტა მიუვალ მთის ციხესიმაგრე კანოსაში, რომელიც ეკუთვნოდა ტოსკანის მარკგრაფის ქვრივ მატილდეს, ჰაინრიხ IV-ის დეიდაშვილს. 1077 წლის 27 იანვრის სუსხიან დღეს, თავშიშველი, ფეხშიშველი, მშიერ-მწყურვალი და მონანიე ბერის სამოსელში გამოწყობილი გერმანიის ამაყი

1 შუა საუკუნეების ისტორია.. გ. კუტალიას რედაქციით, თბ., 2004, გვ.119

იმპერატორი პაპის აუდიენციას ელოდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, გრიგოლ VII-ემ ინება და იმპერატორი მიიღო. იმპერატორმა მოინანია, თუმცა, მონანიება მხოლოდ და მხოლოდ დიპლომატიური ნაბიჯი იყო, რამაც ამოსუნთქვის საშუალება მისცა მას გერმანელი მთავრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პაპს კვლავ მოუხდა გერმანელი ფეოდალების გათავისუფლება მეფისათვის მიცემული ფიცისაგან. ოპოზიციამ ჰაინრიხის ნაცვლად ახალი მეფე შვაბიის ჰერცოგი რუდოლფი აირჩია, რომელიც პაპმა გრიგოლ VII-მ კანონიერ იმპერატორად ცნო და გაუგზავნა გვირგვინი წარნერით: „Petra dedit Petro. Petrus diadema Rudolfo" („კლდემ მისცა პეტრეს, პეტრემ — გვირგვინი რუდოლფს"). 1080 წელს ჰაინრიხთან ბრძოლაში რუდოლფი სასიკვდილოდ დაიჭრა.[1]

თავის მხრივ, ჰაინრიხ IV-მ გერმანელ ეპისკოპოსებზე დაყრდნობით ხელახლა დაამდაბლა გრიგოლ VII და ახალი პაპი, უფრო სწორედ ანტიპაპი, კლიმენტ III (1080-1100) წამოსწია წინ. თვითონ კი რომის დასალაშქრად გაემართა. მან კანოსაში მოაოხრა მატილდეს მიწები, აიღო ფლორენცია და ალყა შემოარტყა რომს, სადაც მხოლოდ 1084 წლის მარტში შეძლო შეჭრა. 31 მარტს მის მიერ დანიშნულმა ანტიპაპმა ჰაინრიხ IV-ე იმპერატორად აკურთხა. გრიგოლ VII-ე უიმედო მდგომარეობიდან მისმა ვასალმა და მოკავშირემ რობერ გვისკარმა იხსნა, რომელსაც თავისი სამფლობელოების ბედი ანუხებდა იმპერატორის რომში დამკვიდრების შემდეგ. მან შესძლო გერმანელების რომიდან განდევნა, თუმცა თვითონ ნორმანებმა გაძარცვეს ქალაქი, ტყვედ ჩავარდნილები კი მონებად გაყიდეს. ნორმანთა ჯარების შემადგენლობაში, რომლებმაც ქრისტიანული ეკლესიის მეთაური იხსნეს, ბევრი იყო სიცილიელი და სამხრეთ იტალიელი მაჰმადიანი. გრიგოლ VII-ემ, რომელსაც ახლა რომაელები თავიანთი უბედურების მიზეზად თვლიდნენ, ვეღარ გაბედა რომში დარჩენა და გვისკარს გაჰყვა ამალფში. 1085 წლის 25 მაისს სალერნოში დადარდიანებული პაპი მალე გარდაიცვალა. ის დასაფლავებულია სალერნოს საკათედრო ტაძარში. მისი სახელი შეტანილია კათოლიკური ეკლესიის წმინდანთა სიაში. პაპმა გრიგოლ VII-მ სიკვდილის წინ მოასწრო ანდერძის შედ-

---

1 Е. Гергей. История папства. იხ. http://www.krotov.info/libr_min/g/gorgey/00.html

გენა, რომელშიც თავის მომდევნო პაპებს იმპერატორის ნინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა. მისი პოლიტიკა წარმატებით გააგრძელა პაპმა ურბან IV-მ. ის ჰაინრიხ IV-ის წინააღმდეგ ამხედრებდა არა მარტო მისდამი მტრულად განწყობილ მთავრებს, არამედ მის შვილებსაც კი. თუმცა ჰაინრიხ V-მ (1106-1125) მამის გარდაცვალებისთანავე, როგორც კი თავი მეფედ გამოაცხადა, პოლიტიკა შეცვალა და პაპის წინააღმდეგ მამამისის მიერ დაწყებული კურსი გააგრძელა. ეს ბრძოლა დამთავრდა 1122 წელს, ე.წ. ვორმსის კონკორდატით, რომელიც დაიდო ჰაინრიხ V-სა და პაპ კალიქსტს შორის. ეს იყო ერთგვარი კომპრომისი პაპებსა და იმპერატორებს შორის მიმდინარე ხანგრძლივი და უშეღავათო ბრძოლისა. შეთანხმების მიხედვით, ეპისკოპოსთა არჩევა სასულიერო წოდების მიერ უნდა მომხდარიყო. თუ ეს არჩევნები გერმანიაში ჩატარდებოდა, მას იმპერატორი ან მისი წარმომადგენელი უნდა დასწრებოდა, ხოლო თუ ბურგუნდიაში ან იტალიაში, მაშინ მას პაპი ან მისი წარმომადგენელი უნდა დასწრებოდნენ. გერმანიაში საერო ინვესტიტურა წინ უსწრებდა სასულიეროს, იტალიასა და ბურგუნდიაში კი, პირიქით, საეროს სასულიერო ინვესტიტურა უსწრებდა, რომელიც გულისხმობდა ახლად არჩეული ეპისკოპოსის დამტკიცებას პაპის მიერ ბეჭდისა და კვერთხის გადაცემით.ვორმსის კონკორდატი მაინც წარუმატებელი კომპრომისი აღმოჩნდა და სათავე დაუდო ახალ კონფლიქტებს.ამრიგად, პაპების გრიგორიანული თეორიის პრაქტიკული რეალიზაცია, რომელიც ჩამოყალიბებული იყო „პაპების დიქტატში", შეუძლებელი აღმოჩნდა. მაგ. გრიგოლის მოთხოვნა სიცოცხლეშივე პაპის წმინდანად გამოცხადების შესახებ, კანონიკურ სამართალში ვერ შევიდა, პაპის შეუცდომლობის დოგმა ახალ დროში თითქმის მივიწყებულ იქნა, მხოლოდ XIX საუკუნეში იქნა აღდგენილი. მიუხედავად გრიგოლ VII-ის ტრაგიკული ბედისა, მან დიდი გავლენა მოახდინა ქრისტიანობასა და ეკლესიაზე. გრიგოლმა ჩამოაყალიბა და თანმიმდევრულად წარმოადგინა თეოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პრინციპები.

პაპი გრიგოლ VII ძალზე ჭკვიანი პიროვნება იყო. მან მოახერხა ძალის გარეშე, უიარაღოდ ეთამაშა მსოფლიოს დამპყრობლის როლი, აეძულებინა გვირგვინოსნები თავი დაემცირებინათ მის წინაშე. მან არა მარტო აღადგინა პაპობის ავტორიტეტი,

არამედ საფუძველი დაუდო პაპების პოლიტიკურ ხელისუფლებას მომდევნო ორ საუკუნეში, გრიგორიანული რეფორმა ეკლესიის ისტორიკოსების სპეციალური კვლევის საგანი გახდა 1947 წლიდან.

ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, პაპების ისტორია იწყება ქრისტიანულ შუასაუკუნეებში, ხოლო პაპობაზე ლაპარაკი, თანამედროვე გაგებით, შეიძლება გრიგოლ VII-თი. ეს კონცეფცია გამომდინარეობს იქიდან, რომ პაპების უმაღლესი ხელისუფლება, როგორც ხანგრძლივი ისტორიული განვითარების შედეგი, გახდა გრიგოლის მიზანი, თუმცა იმპერატორებზე ამაღლება პაპებმა შესძლეს მხოლოდ გრიგოლ VII-ეს მემკვიდრეების დროს.

პაპების ძლევამოსილება ინოკენტი III დროს

XII-XIII საუკუნეები იყო პაპების სასულიერო და საერო ხელისუფლების ძლიერების ეპოქა. განსაკუთრებულ ძლიერებას პაპობამ მიაღწია მე-17 პაპის, ინოკენტი III პონტიფიკატის პერიოდში (1198 წლის 16 იანვარი 1216 წლის 16 ივლისი). ეკლესიის ისტორიაში ინოკენტი III-ე ითვლება შუა საუკუნეების უძლიერეს პაპად. XI საუკუნეში დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზის განვითარებამ ფეოდალური მონარქიის გაძლიერება გამოიწვია. ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოების არარსებობის პირობებში ეკლესია ყველასათვის ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. ინოკენტი III-მ შეძლო თავისი მდგომარეობის გამყარება „გერმანელი ერის რომის საღმრთო იმპერიის" იმპერატორის ძალაუფლების დასუსტების დაწყების შედეგად. იტალიაში, ფაქტიურად იმპერატორის ძალაუფლება არ არსებობდა, მაგრამ არც მეორე ფეოდალური ძალა აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ძალაუფლებას ხელში აიღებდა. ინოკენტი III-ს პონტიფიკატის პერიოდში თითქმის შესაძლებელი გახდა გრიგოლ VII-ს ოცნების-მსოფლიოში პაპების ბატონობის შესახებ-განხორციელება. პაპობის პრიმატი ყველა მიმართულებით აშკარად რეალიზებულ იქნა. ინოკენტი III-ის პონტიფიკატი ამ პოსტულატის დადასტურებას წარმოადგენდა. მან თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, შეძლო პრაქტიკულად პაპობის პოლიტიკური ძალაუფლების ყველა სფეროში განხორციელება. როგორც სახელმწიფო მოღვაწემ, მან უკან ჩამოიტოვა გრიგოლ VII, მაგრამ იგი ვერ სარგებლობდა უწმინდესის სახელითა და დიდებით. თავისი პოლიტიკით, ინოკენტი III-ე მაქსიმალურად ახლოს მივიდა გრიგოლ VII-ს იდეის-უნივერსალური თეოკრატიის-განხორციელებასთან.

ინოკენტი III-ე (ლოტარიო კონტი) დაიბადა 1161 წლის 16 ივლისს ლაციოში-იტალია. ის იყო სენის გრაფის, ტრაზიმონდო კონტის შვილი. მან დაწყებითი განათლება მიიღო რომში. სწავლა გააგრძელა პარიზის უნივერსიტეტში ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე, ბოლონიაში კი დაეუფლა იურისპუდენციას. ის იყო თავისი დროის ერთერთი უგანათლებულესი თეოლოგი და სამართალმცოდნე. ინოკენტი III-ე იყო პაპ კლიმენტი III-ს (1187-1191) დისშვილი. ალექსანდრე III-ის (1159-1181) გარდაცვალებ-

ის შემდეგ, ინოკენტი დაბრუნდა რომში. 1198 წელს კლიმენტი III-მ მას უფლება მისცა ყოფილიყო კარდინალთა საბჭოს წევრი. ცელესტინ III-ის (1191-1198) დროს, რომელიც ორსინთა ცნობილი გვარის წარმომადგენელი და სენის გრაფების დაუნდობელი მტერი იყო, ინოკენტი იძულებული გახდა რომი დაეტოვებინა. ის მიმალვაში იმყოფებოდა ანანში, სადაც ენეოდა ლიტერატურულ შემოქმედებით საქმიანობას. თუმცა ცელესტინ III-მ სიკვდილის წინ კარდინალები დაარწმუნა იმაში, რომ მათ ახალ პაპად უნდა აერჩიათ 37 წლის ლოტარიო კონტი. მართლაც, ცელესტინის გარდაცვალების დღეს ლოტარიო ერთხმად იქნა არჩეული რომის პაპად, ინოკენტი III-ის სახელით. ის იყო უნიჭიერესი დიპლომატი, პოლიტიკური ინტრიგების უბადლო ოსტატი, რომელმაც იშვიათი ხელოვნებითა და შეუპოვრობით გონივრულად გამოიყენა პოლიტიკური მდგომარეობა პაპობის ძალაუფლების გაძლიერებისათვის. იგი გამოირჩეოდა თავშეკავებული ცივი ხასიათით, ანგარიშიანობითა და სიფრთხილით. თუ მანამდე, პაპები თავს აცხადებდნენ პეტრე მოციქულის მოადგილეებად, ინოკენტი III-მ ოფიციალურად დაამტკიცა პაპის ტიტული, ქრისტეს ვიკარიუსი (მოადგილე). ის კარგად აცნობიერებდა, რომ მისი მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი იყო თვით რომში და თავის სამფლობელოში გამხდარიყო აბსოლუტური მბრძანებელი, შემდეგ კი იგი შეძლებდა მსოფლიო თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნასა და მართვას. მისი აზრით, პაპების სახელმწიფოს შექმნა იქნებოდა წინაპირობა უნივერსალური პოლიტიკური ძალაუფლებისა, რასთანაც პაპობის ისტორიაში ყველაზე ახლოს იდგა ინოკენტი III-ე. პირველ რიგში მან რეფორმები გაატარა პაპის კარზე. ადმინისტრაციული აპარატი დააკომპლექტა ორგანიზებული, მოაზროვნე ადამიანებით. ასეთი გადანყვეტილებით მან მაგალითი მისცა თავის თანამედროვე სახელმწიფო ჩინოვნიკებს. ინოკენტი III-ე ფაქტიურად ითვლება პაპების სახელმწიფოს რიგით მეორე შემქმნელად. მისი მოღვაწეობის დროს, წმინდა პეტრეს პატრიმონია შედგა, როგორც ნამდვილი სახელმწიფო, აბსოლუტური მონარქია, სადაც მხოლოდ ერთ მონარქს, პაპის ძალაუფლებას ექვემდებარებოდნენ. მან თავდაპირველად პოზიციები გაიმყარა რომში. რომის პრეფექტი, რომელიც იყო იმპერატორის წარმომადგენელი, აიძულა უარი ეთქვა თავისი

მოვალეობის შესრულებაზე. პრეფექტმა მოვალეობის შესრულების უფლება მიიღო მაშინ, როდესაც პაპის კორონაციის დღეს, მან ერთგულების ფიცი დადო პაპის წინაშე. ასევე, მან აიძულა რომის პირველი სენატორი, თანამდებობა დაეტოვებინა. მის ნაცვლად დანიშნა ერთგული სენატორი, რომელმაც პრეფექტის მსგავსად აღიარა პაპის ვასალიტეტი. ასეთივე მოთხოვნებით მიმართა პაპის სახელმწიფოს ზედა ეშელონებში მოკალათებულ არისტოკრატებს, რომელიც მან მართლა წარმატებით განახორციელა.

1197 წელს გარდაიცვალა იმპერატორი ჰაინრიხ VI (1190-1197). მისი გარდაცვალებით იტალიაში დასრულდა გერმანელ იმპერატორთა მბრძანებლობის ეპოქა. ინოკენტი III-ისთვის ეს ნიშნავდა საეკლესიო სახელმწიფოს მიერ დაკარგული პროვინციების დაბრუნებას და პაპის სამფლობელოს გაფართოებას. მან გამოიყენა მოსახლეობის ანტიგერმანული განწყობა და თავისი ძალაუფლება აღადგინა რომანიაზე (დაიბრუნა რავენა), დაიპყრო ანკონა. ასევე, პაპის სახელმწიფოს შემადგენლობაში გაერთიანდა სპოლეტო და ამით, პაპის სახელმწიფო უფრო კომფაქტური გახდა. პაპმა შეძლო დაუფლებოდა მატილდას მემკვიდრეობას, რომლისთვისაც ის დიდი ხანი იბრძოდა.

ჰაინრიხ VI-ს გარდაცვალების შემდეგ, მას სულ მალე დახმარებისათვის მიმართა ჰაინრიხის ქვრივმა, კონსტანცამ, რომელმაც ვერ შეძლო თავისი მცირეწლოვანი შვილისათვის-ფრიდრიხისათვის შეენარჩუნებინა სიცილიის ტახტი. დახმარების სანაცვლოდ ინოკენტი III-მ კონსტანცასაგან მოითხოვა, რომ ეცნო პაპის სიუზერენიტეტი სიცილიაზე და უარი ეთქვა იმ პრივილეგიებზე, რომელიც პაპმა ადრიანე IV-მ (1154-1159) მისცა მას ნორმანებთან მიმართებაში. 1198 წლის ნოემბერში ინოკენტი III-მ გამოსცა ბულა, რომლის მიხედვითაც ფრიდრიხი აღიარებული იყო სიცილიის მეფედ. სანამ ბულას შინაარსი ცნობილი გახდებოდა კოსტანცასათვის და ჩააღწევდა სიცილიაში, კოსტანცა გარდაიცვალა, რომელმაც გარდაცვალებამდე დატოვა ანდერძი, რომლის მიხედვითაც ინოკენტი III-ე სიცილიის რეგენტი და ფრიდრიხის მეურვე უნდა ყოფილიყო. მართლაც, ის ენერგიულად შეუდგა მოვალეობის შესრულებას. უნდა ითქვას, რომ მისი მტრებიც აღნიშნავენ იმას, რომ მთელი 9 წლის

მანძილზე ინოკენტი III-ე უანგაროდ ეხმარებოდა ახალგაზრდა მეფეს სიცილიის სამეფოს მართვაში.

ინოკენტი III-ე თავის თავს არა მარტო პეტრეს მოციქულად თვლიდა, არამედ მთელი ქრისტიანული სამყაროს მეთაურად. ის ერეოდა ყველა საქმეში, იღებდა თავის თავზე ყოვლისშემძლე არბიტრის როლს უფლის მიერ შექმნილი, აღსადგენი თუ შესანარჩუნებელი წყობის მიმართ. ის ამტკიცებდა: „თითოეული ცალკეული სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე, მაგრამ თითოეულ მათგანზე მბრძანებლობს წმინდა პეტრე და მისი მოადგილე-პაპი, რომელიც როგორც სიუზერენი, მათ უბოძებს იმპერატორობას." ამ მისწრაფების რეალიზება მან შეძლო გერმანიაში, სადაც მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი. ორმა დაპირისპირებულმა პარტიამ: გველფებმა და გიბელინებმა, აირჩიეს ორი სხვადასხვა მეფე. ინოკენტი III-მ ფილიპე შვაბიელთან, მეფობის ერთერთ კანდიდატთან გააგზავნა სუტრის ეპისკოპოსი წინადადებით, ტოსკანაში ტერიტორიული დათმობების სანაცვლოდ ციხიდან გაანთავისუფლებდა სიბილია სიცილიელს. ფილიპე შვაბიელი ამ წინადადებას არ დაეთანხმა და ამიტომაც პაპმა მხარი არ დაუჭირა მეფედ მის არჩევას. პაპს ასევე, მხარდაჭერისათვის მიმართა მეორე კანდიდატმაც-ოტონ IV-მ. სანამ პაპი არჩევანს გააკეთებდა, მონწინააღმდეგებმა საკითხის გადაწყვეტა იარაღის ძალით გადაწყვიტეს.

1201 წლის 3 ივლისს პაპის ლეგატმა, გვიდომ კელნის კრებაზე საზეიმოდ გამოაცხადა, რომ პაპმა მეფედ აღიარა ოტონ IV-ე და ეკლესიიდან განკვეთით დაემუქრა ყველა მათგანს, ვინც არ დაემორჩილებოდა პაპის სურვილს. 1202 წლის მაისში, პაპმა გამოსცა ბულა, სადაც ჩამოყალიბებული იყო პაპისა და იმპერატორის ურთიერთობის შესახებ, ძირითადი თეზისები. ბულაში ნათქვამია: „გერმანელ მთავრებს აქვთ უფლება, თავისთვის აირჩიონ მეფე, რომელიც შემდეგში გახდება იმპერატორი;—ეს უფლება მათ მიეცათ...მას შემდეგ, რაც იმპერატორის ღირსებები ბიზანტიელი მონარქებისაგან გადავიდა კარლოს დიდზე;

—პაპს ეკუთვნის უფლება გადაწყვიტოს, ღირსეულია თუ არა კანდიდატი, მიიღოს იმპერატორის ტიტული. პაპი ატარებს იმპერატორის კურთხევისა და კორონაციის ცერემონიალს, მას არა აქვს უფლება აკურთხოს უღირსი კანდიდატი;

—თუ პაპი აღმოაჩენს, რომ არჩეული მეფე არ შეეფერება იმპერატორის ტიტულს, მთავრები ვალდებული არიან აირჩიონ ახალი მეფე. წინააღმდეგ შემთხვევაში პაპი იმპერატორის ნიშნებს გადასცემს იმ მეფეს, რომელიც იქნება ეკლესიის მფარველი და დამცველი.

– მეფის არჩევნებზე მდგომარეობის გართულების შემთხვევაში, პაპი ვალდებულია, მთავრებს მოუწოდოს შეთანხმებისაკენ. თუ შეუთანხმება არ მიიღწევა, პაპი თვითონ აირჩევს მეფეს, არა უმრავლესობის შეხედულებების მიხედვით, არამედ კანდიდატის მიმართ საკუთარი წარმოდგენების მიხედვით".[1]

ბულის გამოსვლის შემდეგ, ოტონის მომხრეთა რაოდენობამ სწრაფად იწყო ზრდა, მაგრამ მისმა გაუფრთხილებელმა და უხეშმა დამოკიდებულებამ მომხრეთა მიმართ, ისინი დააშინა და ინოკენტი III-მ მეფედ ფილიპე შვაბიელი აღიარა. პაპმა ოტონთან გააგზავნა ორი ლეგატი: ოსტინიდან უგოლინო და ლეო სანტა-კროჩედან მოთხოვნით, ნებაყოფლობით გადამდგარიყო ტახტიდან და მეფის გვირგვინი გადაეცა ფილიპესათვის. თუმცა, 1208 წლის 21 ივნისს ოტონ ვიტელსბახმა ფილიპე სიცოცხლეს გამოასალმა და ამან ძირეულად შეცვალა სიტუაცია. ფრანკფურტში, 11 ნოემბერს გაიმართა გერმანელ მთავართა ყრილობა, სადაც ოტონი აღიარეს მეფედ და პაპმა ის მიიწვია რომში კორონაციისათვის, რომელიც გაიმართა 1209 წლის 4 ოქტომბერს. ოტონმა პაპს დაუტოვა სპოლეტოს, ანკონასა და ტოსკანის ტერიტორიები, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, იყო გრაფინია მატილდას მემკვიდრეობა, დაჰპირდა პაპს, რომ დაეხმარებოდა სიცილიის საკითხის გადაწყვეტაში, ცნო სასულიერო თანამდებობებზე დანიშვნისას, პაპის განუსაზღვრელი უფლებები. ოტონმა, ასევე უარი თქვა თავისუფალი ეპარქიებიდან შემოსავლებზე და ანდერძის გარეშე დარჩენილი სასულიერო პირების მემკვიდრეობაზე პაპის სასარგებლოდ. მაგრამ, ოტონმა როგორც კი მიიღო მეფის გვირგვინი, მაშინათვე მიიტაცა არა მარტო ანკონა, სპოლეტო და ტოსკანა, არამედ პაპის სხვა სამფლობელოებიც და დაურიგა თავის ახლო ნათესავებს. ოტონი, ასევე შეიჭრა სიცილიაში, რომ განედევნა იქიდან ახალგაზრდა ფრიდრიხ II-ე. მოტყუებული ინოკენტი III-ე ამის შესახებ წერდა: „...ისინი ამბობენ, მე დავიმ-

1 http://www.hrono.ru/biograf/bio_i/innokenti3.html

სახურე ის, რასაც ახლა ვითმენ, რომ მე ჩემი ხელით ამოვთხარე მახვილი, რომელიც მე ასე დაუნდობლად მაყენებს ჭრილობას. მათ უპასუხოს ჩემს ნაცვლად ზეციერმა, რომელმაც იცის ჩემი სულის სისპეტაკის შესახებ და რომელსაც არასდროს არ უთქვამს საკუთარი თავისთვის: „მე ვნანობ, რომ შევქმენი ადამიანი". 1210 წლის 18 ნოემბერს, პაპმა განკვეთა ოტონი ეკლესიისაგან და კავშირი შეკრა საფრანგეთის მეფე ფილიპე ოგიუსტთან (1180-1223). ინოკენტი III-ე ისეთი მონდომებით იბრძოდა ოტონის წინააღმდეგ, როგორც რამდენიმე წლის წინ მის დასახმარებლად. მის დაუღლელობაზე, დიპლომატიურ ალღოზე მიუთითებენ მისი წერილები, საიდანაც ირკვევა, რომ ის არაფერს არ ერიდებოდა მიზნის მისაღწევად. საზოგადოების ერთ ნაწილს აშინებდა ზეციური და მიწიერი ძალებით. მეორეს ტყუილი იმედებით ასაზრდოებდა და მესამესთან საიდუმლო გარიგებებში შედიოდა. ასეთი ხერხებით ცდილობდა სასულიერო ხელისუფლების გავლენის მოპოვებას საერო ხელისუფლებაზე და არა მარტო გერმანიის იმპერიაში. პაპის ზეგავლენით ძალიან ბევრმა მხარდამჭერმა ოტონს ზურგი შეაქცია და 1211 წელს ნიურბერგის ყრილობაზე, მეფედ არჩეულ იქნა ფრიდრიხ სიცილიელი. ახალგაზრდა ფრიდრიხმა პაპს იგივე დაპირებები მისცა, რაც ოტონმა. ასევე, ის პაპს დაპირდა, რომ სიცილია არასდროს არ შეუერთდებოდა გერმანიის იმპერიას. ფრიდრიხი იძულებული გახდა პაპისათვის დაეთმო მთელი რიგი პრივილეგიები და დაერღვია ვორმსის კონკორდატი. ფრიდრიხის დათმობების შემდეგ, პაპს შეეძლო განეცხადებინა, რომ გერმანიაში სასულიერო პირების თანამდებობებზე დანიშვნა მიმდინარეობდა „სრულიად თავისუფლად", საერო ხელისუფლების ჩაურევლად. გერმანიაში ეპისკოპოსები წარმოადგენდნენ უდიდეს ძალას. ისინი იყვნენ არა ნაკლებ ყოვლისშემძლენი, ვიდრე ყველაზე შეძლებული და გავლენიანი საერო ფეოდალები. მათ მინებზე მაინცში, კელნში, ტრირში, ზალცბურგში, ვიურცბურგში ცხოვრობდნენ ათეულობით და ასეულობით ვასალები, ასეულათასობით დამოკიდებული და თავისუფალი გლეხები, საიდანაც ისინი ღებულობდნენ უზარმაზარ მატერიალურ შემოსავალსა და სამხედრო ძალას. ფრიდრიხ II-ის დათმობები პაპის სასარგებლოდ, უდიდეს საარქიეპისკოპოსო და სამონასტრო მიწებს ანთავისუფლებდა იმ-

პერატორის გავლენისაგან, როგორც ფინანსური, ისე სამხედრო თვალსაზრისით.

ოტონ IV-მ მდგომარეობის განსამუხტავად სასწრაფოდ დააბრუნა ჯარები გერმანიაში, მაგრამ გერმანელი მთავრებისაგან ვერ მიიღო მხარდაჭერა. მაშინ მან შექმნა კოალიცია ინგლისის მეფე ჯონ უმიწაწყლოსთან (1199-1216) და თავს დაესხა საფრანგეთს, მაგრამ 1214 წლის 27 ივნისს, ისინი დამარცხდნენ ბუვინთან ბრძოლაში. რამდენიმე წლის შემდეგ ოტონი გარდაიცვალა და გერმანია დარჩა ფრიდრიხ II-ს და ეს ყველაფერი ინოკენტი III-ის მოხერხებულობითა და აქტიურობით გადაწყდა.

ინოკენტი III ხშირად ერეოდა სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებშიც. 1198 წელს, იანვარში პაპის ლეგატმა პიეტრო კაპუანელმა, ეკლესიისაგან განკვეთის შიშით, აიძულა ინგლისის მეფე ჯონ უმიწაწყლო და საფრანგეთის მეფე ფილიპე ოგიუსტი, 1199 წელს ხელი მოეწერათ ხუთწლიან საზავო ხელშეკრულებაზე. ინოკენტი III-მ საფრანგეთში მხოლოდ იმიტომ გამოაცხადა 9 თვიანი ინტერდიქტი, რომ ფილიპე ოგიუსტმა მიატოვა კანონიერი მეუღლე ინგებორგი, საყვარლის-აგნესას გამო.

1205 წელს წარმოიშვა კონფლიქტი პაპსა და ინგლისის მეფე, ჯონ უმიწაწყლოს შორის. კონფლიქტი იმით დაიწყო, რომ 1205 წელს გარდაიცვალა კენტერბერის არქიეპისკოპოსი. საჭირო გახდა ახალი არქიეპისკოპოსის არჩევა. ჯონმა და კენტერბერელი ბერების ერთმა ნაწილმა თავიანთი კანდიდატურები წამოაყენეს. მაგრამ, პაპმა არც ერთის კანდიდატურა არ დაამტკიცა, უპირატესობა მისცა ინგლისელ კარდინალს-სტივენ ლენგტონს, პარიზის უნივერსიტეტის რექტორს. ლენგტონი პაპმა 1207 წლის 17 ივნისს კენტერბერის არქიეპისკოპოსად აკურთხა. მაგრამ, მეფეც არ დარჩა ვალში, ლენგტონი არ ცნო კენტერბერის არქიეპისკოპოსად, რადგან როგორც თვითონ ამბობდა, მისი არჩევა მოხდა ინგლისის საეკლესიო წესების დარღვევით. ამასთან, მან იწყო პაპის მომხრე სასულიერო პირების დევნა. პასუხად, ინოკენტი III-მ ინგლისზე ჯერ ინტერდიქტი გაავრცელა, ხოლო 1209 წელს ურჩი მეფე ეკლესიიდან განკვეთა. მაგრამ, როცა ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო -ჯონს ხელი ვერ ააღებინა ანტიპაპურ საქმიანობაზე, პაპმა მიმართა უკიდურეს ზომას და 1212 წელს გამოსცა ბულა, ჯონისათვის ტახტის ჩამორთმევისა

და ფილიპ ოგიუსტზე გადაცემის შესახებ. იმავე ბულით, პაპი ინგლისელ ბარონებს მეფისადმი მიცემული ერთგულების ფიცისაგან ანთავისუფლებდა. ბარონების მოსალოდნელი აჯანყების შიშით, ჯონი კაპიტულაციაზე წავიდა, არა მარტო ლენგტონს მისცა არქიეპისკოპოსის მოვალეობის აღსრულების უფლება, არამედ სასულიერო პირებსაც დაუბრუნა ადრე ჩამორთმეული ქონება. იგი უფრო შორს წავიდა, 1213 წელს პაპის ლეგატის წინაშე წარდგა და მუხლმოყრილმა პატიება ითხოვა, თავი პაპის ვასალად გამოაცხადა და აღუთქვა, რომ პაპს იგი ყოველწლიურად 1000 გირვანქა სტერლინგს გადაუხდიდა. ეს იყო დიდი დამცირება და მარცხი, რომელმაც კიდევ უფრო გააღიზიანა და საბრძოლველად განაწყო ბარონთა ოპოზიცია. მათ მეფე აიძულეს, ხელი მოეწერა „თავისუფლებათა დიდ ქარტიაზე", რომელიც არ ცნო პაპმა.

ბარონები, რომლებიც ჯონისაგან „თავისუფლებათა დიდი ქარტიის" აღსრულებას მოითხოვდნენ, მან მეამბოხეებად გამოაცხადა. პაპმა, ინოკენტი III-მ ამ შემთხვევაში ჯონს დაუჭირა მხარი და სპეციალური ბულით ბარონები ეკლესიიდან განკვეთა: „ყოვლისშემძლე ღმერთის, წმინდა პეტრესა და პავლეს სახელით და იმ ძალაუფლებით, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის, განვიკითხავთ და ვწყევლით მთლიანად ამ ქარტიას და ანათემაზე გადაცემით ვუკრძალავთ მეფეს მის შესრულებას, ბარონებს კი ვავალდებულებთ შეასრულონ". ბარონები თავიანთი უბედურების მიზეზად პაპს მიიჩნევდნენ. „პირველი მღვდელი,—წერს მატვეი პარიზელი,-რომელიც უნდა ყოფილიყო სიწმინდის წყარო, სარკე ღირსების, სამართლიანობის დარაჯი და სიმართლის დამცველი, როგორ მფარველობს ასეთ ადამიანს!? როგორ უჭერს იგი მას მხარს!? რომ... რომაულმა სიღატაკემ გადაყლაპოს ინგლისური სიმდიდრე?"[1].

პაპმა ღირსება ახადა სტივენ ლენგტონსაც (დროებით აუკრძალა ღვთისმსახურება), რომელსაც ადრე მხარს უჭერდა. მეფემ ბარონების წინააღმდეგ ომი დაიწყო, თუმცა ამ ომში მას ფილიპე II-ს ვაჟი, ლუი ეხმარებოდა. მიუხედავად ამისა, ჯონი დამარცხდა და 1216 წელს დარდისაგან გარდაიცვალა.

ინოკენტი III-ე მეტნაკლები წარმატებით ცდილობდა ვასა-

1 Все монархии мира. იხ. http://monarchy.nm.ru/

ლურ-ლენური დამოკიდებულების მიღწევას ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით არაგონში, პორტუგალიაში, დანიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში. პაპი არაერთხელ ჩაერია სამეფო ტახტისათვის გამართულ ბრძოლებში, რომელიც მიმდინარეობდა უნგრეთში არპადთა დინასტიის წარმომადგენლებს შორის. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მომავალი მეფე ანდრაშ II იყო ჰერცოგი, პაპმა ეკლესიიდან განკვეთის მუქარით ის აიძულა ხელმძღვა ელობა გაეწია ჯვაროსნული ლაშქრობისათვის წმინდა მიწის დასაბრუნებლად. როცა, მეფე იმრმა დაიპყრო სერბეთი, პაპი მაშინ მხარს უჭერდა უნგრეთის ექსპანსიას ბალკანეთში, ელოდა რა ერეტიკოსების— ბოგომილების და პატარენების ლიკვიდაციას.

ქრისტიანულ ევროპაზე პაპის გავლენის გაძლიერება გამოწვეული იყო ქრისტიანული ძალების კონცენტრაციით პაპის იდეის ირგვლივ-გაენთავისუფ ლებინათ წმინდა მინა ურჯულოებისაგან. წმინდა მიწის განთავისუფლება პაპს შესაძლებლად მიაჩნდა, თუკი ამ ლაშქრობებს სათავეში ჩაუდგებოდა ეკლესია. ინოკენტი III-ე, როგორც სხვა მისი წინამორბედი პაპები, ეჭვის თვალით უყურებდნენ წმინდა მიწის განთავისუფლების საკითხს. მიუხედავად ამისა, IV ჯვაროსნული ლაშქრობის ინსპირირება მოახდინა შუა საუკუნეების უძლიერესმა და ყოვლისშემძლე პაპმა ინოკენტი III-მ.

საეკლესიო მეათედისა და ფულადი გადასახადების აკრეფამ, ჯვაროსნული ლაშქრობების დასაფინანსებლად, ფაქტიურად გაამდიდრა პაპის ხაზინა. ლაშქრობების მოწყობის შესახებ ქადაგება ემსახურებოდა პაპის ავტორიტეტის ამაღლებას. პაპებისათვის, ჯვაროსნული ლაშქრობების ნამდვილი მიზანი იყო ურჯულოების განადგურება და პაპის კურიაზე ახალი ქვეყნებისა და ხალხების დამოკიდებულების ზრდა. IV ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ სხვადასხვა შინაარსის დიპლომატიური ინტრიგა დაიხლართა, რომელშიც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ევროპის მთავარმა სავაჭრო ქალაქ-სახელმწიფომ-ვენეციამ. ვენეციას, რომელიც ჯვაროსნებს ფლოტით ეხმარებოდა, ჯვაროსნების დახმარებით უნდოდა გაენადგურებინა თავისი ძირითადი სავაჭრო მეტოქე-კონსტანტინოპოლი. ამასთან, ფილიპე შვაბიელი ფიქრობდა, რომ ჯვაროსნების ერთერთი

ბელადის, მონფერატის მარკიზის-ბონიფაციუსის დახმარებით შეძლებდა გერმანიის პოზიციების გამყარებას ბიზანტიის იმპერიაში. მას თხოვნით მიმართა ბიზანტიის იმპერატორმა ისაკ II ანგელოსმა, რომელიც მისმა ძმამ 1195 წელს ბიზანტიის სამეფო კარზე მომხდარი გადატრიალების დროს ტახტიდან ჩამოაგდო, თვალები დასთხარა და თვითონ გახდა იმპერატორი, ამასთან, მან ისააკი და მისი შვილი ალექსი დაატუსაღა. 1201 წელს, მეფისწული ალექსი გაიქცა და გერმანიაში გადავიდა თავის სიძესთან-ფილიპე შვაბიელთან. ფილიპე სასწრაფოდ დაუკავშირდა ჯვაროსნული ლაშქრობის მეთაურს, ბონიფაციუს მონფერატელს და სთხოვა დახმარების აღმოჩენა მეფისწულ ალექსისათვის. ალექსისა და ფილიპე შვაბიელის წარმომადგენლებმა დახმარების აღმოჩენისათვის ჯვაროსნებს შემდეგი პირობები შესთავაზეს: 1. თუ მოხდება ისააკ II-სათვის ტახტის დაბრუნება, ის ბიზანტიის ეკლესიას რომს დაუქვემდებარებდა (რაც უპირველეს ყოვლისა, ინოკენტი III-ის ინტერესებში შედიოდა). 2. ჯვაროსნების სასარგებლოდ ბიზანტიის იმპერატორი გაიღებდა 200 ათას ვერცხლის მარკას და 3. ჯვაროსნულ ლაშქრობას დაეხმარებოდა იერუსალიმის წმინდა მიწის განთავისუფლებაში. ამის შემდეგ, ჯვაროსანთა ხელმძღვანელები შეხვდნენ ვენეციის დოჟს-ენრიკო დანდოლოს და გადაწყვიტეს დახმარების გაწევა ისააკ II-სათვის. ამ მომენტიდან, სიტუაციას მთლიანად შეიძლება ითქვას, ენრიკო დანდოლო აკონტროლებდა, თუმცა სამართლიანად შენიშნავს ჯვაროსნული ლაშქრობების ცნობილი გერმანელი მკვლევარი, ბერნგარდ კუგლერი, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის ბოჰემუნდი ენრიკო დანდოლო უფრო იყო, ვიდრე ბონიფაციუს მონფერატელი.

ინოკენტი III თავის მხრივ, ჯვაროსნულ ლაშქრობას მიიჩნევდა ისეთ შემთხვევად, როდესაც იგი შეძლებდა ანტიბიზანტიური გეგმების განხორციელებას. ის თვლიდა, რომ შეექმნა საშიშროება კონსტანტინოპო ლისათვის და ბერძნული ეკლესია დაემორჩილებინა რომისათვის. ვენეციის ინტრიგებმა და ამ ინტრიგებში ინოკენტის ფარულმა მონაწილეობამ IV ჯვაროსნული ლაშქრობა სულ სხვა მიმართულებით განავითარა: ეგვიპტის ნაცვლად, რომელიც იყო ლაშქრობის ოფიციალური მიზანი, რაინდებმა სხვა მიმართულებით წარმართეს და აიღეს დალმაციის ქალაქი

ზარა, შემდეგ კი გაემართნენ ბიზანტიის დედაქალაქისაკენ. ინოკენტი III-მ ლაშქრობის კურსის შეცვლა მოიწონა. ის ჯვაროსნებს ფორმალურად აშინებდა დასჯით, თუკი ისინი მახვილს აღმართავდნენ ქრისტიანულ ქალაქზე-კონსტანტინოპოლზე. მიუხედავად ამისა, ჯვაროსნებმა 1204 წელს აიღეს და სასტიკად გაძარცვეს ქალაქი კონსტანტინოპოლი. ბიზანტიის იმპერიის ნაცვლად შეიქმნა ახალი სახელმწიფო-ლათინთა იმპერია. კონსტანტინოპოლის აღება პაპმა გამოაცხადა „უფლის საოცრებად". ბიზანტიის იმპერიის განადგურებით ყველაზე მეტად მოიგეს ვენეციელმა ვაჭრებმა, რომლებმაც გამოუსწორებელი დარტყმა მიაყენეს თავიანთ მოწინააღმდეგეს. იმედი, რომ ინოკენტი შეძლებდა ბერძნული ეკლესია რომის კათოლიკური ეკლესიისათვის დაექვემდებარებინა, არ გამართლდა. არც ქადაგებით, არც ომით, პაპობამ ვერ შეძლო თავს მოეხვია ბერძნული მოსახლეობისათვის საძულველ ლათინთა იმპერიასთან უნია.

ინოკენტი III-ის პონტიპიკატის პერიოდში ყველაზე არასასიამოვნო ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს 1212 წელს ფანატიკოსების მიერ ჩატარებული ჯვაროსნული ლაშქრობა ბავშვების მონაწილეობით. ეს იყო უკიდურესი და ძალიან მკაცრი მეთოდი, იმისათვის, რომ თავი დაეზღვიათ ჭარბი მოსახლეობისაგან. ბავშვები, რომლებიც ლაშქრობაში მონაწილეობდნენ, ათასობით გზაში დაიღუპა. ბავშვების ნაწილი, თითქოსდა ჩასვეს გემებში იმისათვის, რომ წმინდა მიწაზე ჩაეყვანათ, მაგრამ ორგანიზატორებმა ისინი გაყიდეს. პაპმა მოახერხა ბავშვების ნაწილი, რომელიც გერმანიიდან იტალიისაკენ მიემართებოდა, სახლში დაებრუნებინა.

ინოკენტი III-მ უზრუნველყო პაპობა განუსაზღვრელი ძალაუფლებით საეკლესიო ადმინისტრაციაში. ამის დემონსტრაცია იყო ლატერანის IV საეკლესიო კრება, რომლის მუშაობაც მიმდინარეობდა 1215 წლის 11-30 ნოემბერს და რომელიც იყო ინოკენტი III-ის მმართველობის მწვერვალი და შემაჯამებელიც. ლატერანის სასახლეში მობრძანდა 500 ეპისკოპოსი, 800 აბატი სხვადასხვა ქვეყნებიდან. მონაწილეებს შორის იყვნენ იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქებიც. კრებას ხელმძღვანელობდა თვითონ პაპი. კრებამ შეიმუშავა 70 კანონი საეკლესიო ცხოვრების რეფორმის, რწმენის, საეკლესიო სა-

მართლის, საეკლესიო დისციპლინის, წმინდა მესისა და ცოდვების მიტევების შესახებ. ასევე, მიიღეს გადაწყვეტილება ახალი სამონასტრო ორდენების შექმნის აკრძალვის შესახებ. კრებამ დიდი ყურადღება დაუთმო ერეტიკოსების საკითხს და მე--3 კანონში, რომელიც მხარს უჭერდა ჯვაროსნული ლაშქრობების მოწყობას ერეტიკოსების წინააღმდეგ, შევიდა განკარგულება ინკვიზიციის შექმნის შესახებ. ბოლოს, ლატერანის კრებამ ქრისტიანებს მოუწოდა გაერთიანებისაკენ, ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზებისაკენ წმინდა მიწის ურჯულოებისაგან განსანთავისუფლებლად.

შუა საუკუნეებში, პაპობისათვის ერთერთ ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა ბრძოლა ერეტიკოსების წინააღმდეგ, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ეკლესიის ერთიანობას. ჯერ კიდევ 1179 წელს, ლატერანის მესამე კრებამ, გაასამართლა ვალდენცებისა და კათარების ერესი, მაგრამ უკიდურესი ზომები მიღებულ იქნა მხოლოდ ინოკენტი III-ის მიერ. შუა საუკუნეების ერესის ფესვები გრიგორიანული რეფორმებიდან მოდის, როდესაც, თვით სასულიერო პირები დაუპირისპირდნენ რეფორმას და მათი საქმიანობა მიმართული იყო საეკლესიო იერარქიის წინააღმდეგ. XI საუკუნეში ჩამოყალიბებული საეკლესიო რადიკალური მიმართულება აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა პაპობის რეფორმატორულ საქმიანობაში. XII საუკუნეში, ერესებმა მიიღო მასობრივი ხასიათი და დაიწყეს გადამწყვეტი ბრძოლა ქალაქის ბურჟუაზიასთან ერთად ფეოდალური ეკლესიისა და საერო ფეოდალების წინააღმდეგ. ერესის შინაარსი ისტორიის მსვლელობამ შეცვალა, გაჩნდა ახალი ელემენტები: ქალაქების განვითარებამ გამოიწვია საერო მეცნიერებების განვითარება, რომელიც გახდა განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის ერესების საზრდო. ერეტიკოსთა სექტების ხელმძღვანელები, ჩვეულებრივად იყვნენ საშუალო ფენის წარმომადგენლები, რომელთა მსოფლმხედველობაზე გავლენა იქონია სპირიტუალიზმმა, მისტიციზმმა. მათ, ფანატიკურად სჯეროდათ, რომ თუ ისინი განიწმინდებოდნენ, აუცილებლად შეიცნობდნენ უფალს და მისგან მიიღებდნენ პატიებას, ცოდვების შენდობას. ამიტომაც, ისინი საჭიროდ არ თვლიდნენ ორგანიზებულ შუამდგომლობას უფალსა და ადამიანს შორის. სულიერებაში, ეკლესიასა და მის

მიერ მონოპოლიზებულ საიდუმლოებებში ისინი მიიჩნევდნენ, რომ მორწმუნე ადამიანი, თვითონ უნდა გარკვეულიყო თავის შეხედულებებში და ისეუნდა ემოქმედა.. ამასთან, ერეტიკოსები დაუპირისპირდნენ ოფიციალურ საეკლესიო სწავლებას. ერეტიკოსთა ახალი ტალღა ფეოდალური საზოგადოების წიაღში ყალიბდებოდა და ქალაქების ბურჟუაზიული განვითარებისა და სოფლად სოციალური დაძაბულობის გამოხატულება იყო. მათ მიერ ეკლესია იდენტიფიცირებული იყო ფეოდალიზმთან და ამიტომაც, სოციალური მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო ფეოდალიზმის წინააღმდეგ, ასევე, ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლად აღიქმებოდა. ანტიფეოდალური ერესი თავისი შინაარსით გამოვლინდა ბალკანეთში პატარენებისა და ბოგომილების, ლომბარდიაში გუმილატების, სამხრეთ საფრანგეთში კატარებისა და ვალდენცების მოძრაობაში. ისინი საჭიროდ არ თვლიდნენ ეკლესიას, იმისათვის, რომ ადამიანს უფლისაგან შენდობა მიეღო. ისინი ეჭვქვეშ აყენებდნენ საერთოდ ფეოდალური ეკლესიისა და ფეოდალური წყობილების საჭიროებას. მათ პროგრამებში მნიშვნელოვან საკითხად განიხილებოდა საზოგადოებრივი წყობილების შეცვლის საკითხი. ყველაზე მნიშვნელოვანი და მასობრივი იყო კატარების მოძრაობა, რომელიც 1140 წლიდან ვითარდებოდა სამხრეთ საფრანგეთში. მოძრაობის წყარო იყო ბოგომილების[1] ერესი, მანიჰეიზმის ნიშნით, რომელიც წარმოიშვა აღმოსავლეთში. ასეთი ტიპის ერესი პირველად ბალკანეთში გავრცელდა, აქედან კი მოედო სამხრეთ საფრანგეთს, შემდეგ მდინარე რეინის მიმდებარე ტერიტორიებს, ჩრდილოეთ იტალიას და თითქმის ფლანდრიასაც. ერესის წარმომადგენლებს ხშირად ალბიგოელებსაც უწოდებდნენ ქალაქ ალბის სახელწოდების მიხედვით, რომელიც იყო ამ მოძრაობის ცენტრი.

ის ფაქტი, რომ ღრმად შეიჭრა კატართა ერესი პროვანსში, გამოწვეული იყო საზოგადოების ბურჟუაზიული განვითარებით. XII საუკუნეში პროვანსი ევროპის ყველაზე განვითარებული მხარე იყო. მოძრაობის წევრებმა სახელად დაირქვეს კატარები ანუ სუფთები. კატარები სიკეთისა და ბოროტების დუალისტური თეორიის მიმდევრები იყვნენ და კათოლიკურ ეკლესიასა და ამქვეყნიურ ცხოვრებას ეშმაკის შექმნილად მოიაზრებდნენ.

1 Е. Гергей. История папства ob.. http://www.sedmitza.ru/text/441614.html

ასევე, უარყოფდნენ ისინი ქრისტიანობის ბევრ დოგმას და სურდათ სულიერი განწმენდა. ისინი ითხოვდნენ საეკლესიო იერარქიისა და საეკლესიო მეათედის მოსპობას, ეკლესიის მინების ლიკვიდაციას. მოძრაობა, რომლის წყაროც ადრექრისტიანული ეკლესიის იდეა იყო სიღარიბის შესახებ, ძალიან სწრაფად ვრცელდებოდა. ლატერანის III კრებამ თავისი 27-ე კანონით ანათემას გადასცა ამ ერესის მიმდევრები. საერთო გახდა აზრი, იმის შესახებ, რომ ერეტიკოსებს უნდა გასწორებოდნენ ცეცხლითა და მახვილით. ინოკენტი III-მ მათ წინააღმდეგ გამოაცხადა ჯვაროსნული ლაშქრობა. ლაშქრობას, რომელიც 1209-1229 წლებში მიმდინარეობდა, სათავეში ედგა გრაფი სიმონ დე მომფორი, რომელიც გამოირჩეოდა არაადამიანური სისასტიკითა და სიმკაცრით. მიუხედავად იმისა, რომ ამ გამანადგურებელმა ომმა დიდი ზიანი მოუტანა პროვანსს, იქ კატარები გაქრნენ მხოლოდ მომდევნო საუკუნეში.

კატარებისაგან დამოუკიდებლად სამხრეთ საფრანგეთში, ასევე ჩამოყალიბდა ვალდენცების ერესი. ეს იყო საეროთა მოძრაობა, რომელთაც სათავეში ედგა მდიდარი ლიონელი ვაჭარი პიერ ვალდო, რომელმაც თავისი სიმდიდრე დაურიგა ღარიბებს და დაიწყო ქადაგება. ეყრდნობოდა რა სახარებას, ის ქადაგებდა საეკლესიო სიღარიბეზე, მოუწოდებდა ყველას, მიებაძათ უფლისათვის და უფრო აქტიურად დაეწყოთ ბრძოლა მდიდარი სასულიერო პირების წინააღმდეგ. 1124 წელს, პაპმა ლუციუს III-მ (1181-1185) ვალდენცების მოძრაობა ერესად გამოაცხადა. ამის შემდეგ ვალდენცები თავიანთი მსოფლმხედველობით თანდათან დაუახლოვდნენ კატარებს და დაიწყეს ასკეტური ცხოვრება. მათ სურდათ სახარებაში აღნერილი უბრალოებისა და სისადავის დაბრუნება და ადრექრისტიანული თემებისდროინდელი თანასწორობა. მათი ნაწილი სიღარიბეს ქადაგებდა და ფუფუნებასა და სიმდიდრეზე უარის თქმისაკენ მოუწოდებდა ხალხს.

კატარების წინააღმდეგ განხორციელებული ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ, ვალდენცების მოძრაობა სწრაფად მოედო მთელს ევროპას.

XIII საუკუნის ბოლოს, ლომბარდიაში აღმოცენდა გუმილატების მოძრაობა, რომელიც ნანილობრივ სამონასტრო, ნანილობრივ ერეტიკულ-ასკეტური ხასიათის მატარებელი იყო. პაპ

ლუციუს III-ის მიერ ეს მოძრაობაც ერესად გამოცხადდა. საერო ხელისუფლებამ პაპობას სიხარულით შესთავაზა სამხედრო დახმარება ერეტიკოსების გასანადგურებლად. ინოკენტი III-ის დროს ფართო გავრცელება ჰპოვა საერო ხელისუფლების დახმარებით ერეტიკოსთა გამოვლენამ და გასამართლებამ საეკლესიო სასამართლოს მიერ. პრინციპში, ეკლესიაში ინკვიზიცია ყოველთვის არსებობდა. თავდაპირველად ის მიმართული იყო საეკლესიო დოგმატიკის დამრღვევთა წინააღმდეგ და მთავრდებოდა მათი ეკლესიიდან განკვეთით. ეს პრაქტიკა მტკიცედ დამკვიდრდა XIII საუკუნის დასაწყისიდან, იმის გამო, რომ შუა საუკუნეებში ეკლესია და რელიგია გახდნენ საზოგადოებრივი ფაქტორები. თავდასხმები მათზე განიხილებოდა, ისე, როგორც სახელმწიფოზე და საზოგადოებრივ წყობილებაზე.

შუა საუკუნეების ინკვიზიციის სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლების შემქმნელად ითვლება პაპი, ალექსანდრე III. 1162-1163 წლებში, ქალაქებში: მონპელიესა და ტურში გაიმართა საეკლესიო კრებები და შეიქმნა დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ერეტიკოსთა დასჯის წესები. ამ დოკუმენტის მიღებიდან, საეკლესიო პირებს ეძლეოდათ უფლება, გაელაშქრათ ერეტიკოსების წინააღმდეგ, მაშინაც კი, თუ ისინი ვერ წარადგენდნენ მათ წინააღმდეგ ბრალდებებს, სამსახურებრივი დარღვევების გამო. თეოლოგებმა და იურისტებმა ერესი ჩათვალეს უმაღლესი ხელისუფლების სირცხვილად და სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვეს მისი დასჯა. 1184 წელს, ვერონაში გამართულ კრებაზე, ლუციუს III-მ გამოსცა დეკრეტი ერეტიკოსების წინააღმდეგ. სასულიერო პირები დაავალდებულეს, ეწარმოებინათ გამოძიება ერესში ეჭვმიტანილების მიმართ. იმპერატორმა ფრიდრიხ I-მა (1152-1190), რომელიც კრებას ესწრებოდა, ერეტიკოსებისათვის განკუთვნილი საეკლესიო წყევლა საიმპერატორო კანონში შეიტანა და დააწესა სახელმწიფოს მხრიდან ერესზე მეთვალყურეობა. სასულიერო და საერო ხელისუფლება, რომელიც ერთმანეთს უპირისპირდებოდა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, გაერთიანდა საერთო მტრის-ერესის წინააღმდეგ. ერეტიკოსთა საქმის გამოძიებას ანარმოებდნენ სასულიერო პირები, სასამართლო პროცესის ორგანიზებას ახდენდა ეკლესია, მაგრამ ყველაზე შავ საქმეს

დაკითხვებს აწარმოებდა და განაჩენი გამოჰქონდა საერო ხელისუფლებას. 1197 წელს არაგონის მეფე პედრო II-ის კანონთა კოდექსის შესაბამისად, დადგინდა, რომ ერეტიკოსები კოცონზე უნდა დაეწვათ, ხოლო ინოკენტი III-მ 1199 წელს დაამტკიცა ლუციუს III-ის ზემოთხსენებული დეკრეტი და დაუმატა, რომ რომის სამართლის მიხედვით, ერეტიკოსები, ვინაიდან არიან უმაღლესი ხელისუფლების სირცხვილი, უნდა დაისაჯონ მოწამეობრივი სიკვდილით, კოცონზე დაწვით. სხვა განმარტებით, ერეტიკოსებს ცეცხლზე იმიტომ წვავდნენ, რომ ისინი გათანაბრებული და დამსგავსებული იყვნენ შავ ჭირს: „ერესი—ეს არის სულის ჭირი, სასიკვდილო მტერი ჭეშმარიტი რწმენის და ისე სწრაფად ვრცელდება, როგორც ნამდვილი შავი ჭირი. ერთადერთი საშუალება, რომელიც შეაჩერებდა ჭირის გავრცელების არეალს, იყო გვამებისა და მათი ნივთების დაწვა“[1]. ამიტომაც, ერესისაგან განსათავისუფლებლად კოცონზე დაწვა მიჩნეულ იქნა ერთადერთ საშუალებად. ლატერანის IV კრებაზე ინოკენტი III-მ მოახდიმა ამ დადგენილების დაკანონება მე-3 კანონით, ხოლო ფრიდრიხ II-მ 1224 წელს ეს კანონი იმპერიის კანონად აქცია. ინკვიზიციის განხორციელება პაპმა დაავალა მათხოვრულ ორდენთა წარმომადგენლებს.

ინკვიზიციის განსაკუთრებული პირობები შეიმუშავა დომინიკანურმა ორდენმა. ინკვიზიციის პროცესი დააჩქარა ინოკენტი IV-ის (1243-1254) მიერ 1252 წელს მიღებულმა კონსტიტუციამ. ამ დოკუმენტით გადაიხედა დაკითხვების დროს წამების კამერების გამოყენების საკითხი. პირველი ინკვიზიციური სასამართლო შედგა პაპ ნიკოლოზ IV-ის (1288-1292) დროს. ერეტიკოსებს ეკრძალებოდათ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, მათ არ ჰქონდათ აპელაციის უფლება, მათი ქონება კონფისკაციას ექვემდებარებოდა. ვინც მათ დააბეზღებდა, ეკლესიისა და სახელმწიფოს მხრიდან ჯილდოს იმსახურებდა. ყველაზე მძიმე სასჯელად ითვლებოდა ერეტიკოსთა გვამების დამარხვის აკრძალვა. სასულიერო დანესებულებები ერეტიკოსების წინააღმდეგ ერთობლივად მოქმედებდნენ. ინკვიზიციის ტერორის ეპოქაში, რომელიც მასობრივ მეთვალყურეობასა და დაბეზღებაში გადაიზარდა, ქალაქების ცენტრებსა და მოედნებზე დან-

1 E. Tegreli. История папства. ob http://www.sedmitza.ru/text/441614.html

თებული კოცონებით აშინებდნენ ხალხს და აიძულებდნენ უარი ეთქვათ არსებული წყობილების წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლებზე.

ერეტიკოსთა მასობრივი გამოსვლები, ასევე მიანიშნებდა საეკლესიო მსოფლმხედველობის კრიზისზე. ეკლესიის შელახული ავტორიტეტის ამაღლების მიზნით, მათხოვრულმა ორდენებმა გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა. როგორც აღვნიშნეთ, შუა საუკუნეების ეკლესია იყო მდიდარი და გავლენიანი დაწესებულება, სადაც ეპისკოპოსისა და აბატის წოდებას ანიჭებდნენ ფეოდალთა კლასის წარმომადგენლებს. სასულიერო ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი იყო სიღარიბის იდეალიზაცია, რომელსაც ქადაგებდა ბერნარ კლერვოელის მიმდევარი, ფრანცისკ ასიზელი. იგი იყო განათლებული და გამძაფრებული სოციალური გრძნობებით, საერო პიროვნება, რომელმაც თავისი მოწოდება სიღარიბის ქადაგებაში დაინახა. ის თავის 11 თანამებრძოლთან ერთად წარდგა ყოვლისშემძლე პაპის, ინოკენტი III-ის წინაშე თხოვნით, მიეცა მათთვის საეკლესიო ქადაგების უფლება. ინოკენტი III-ე სიტყვიერად შეპირდა დახმარებას იმის თაობაზე, რომ მხარს დაუჭერდა ფრანცისკ ასიზელის წესდებას. სინამდვილეში ფრანცისკანური წესდება დაამტკიცა პაპმა ჰონორიუს III-მ (1216-1227) 1223 წელს.

მათხოვრული ორდენები შეიქმნა ერეტიკოსთა მოძრაობების გავლენით და უმაღლესი სასულიერო პირები თავიდანვე ეჭვით უყურებდნენ მათ, ამიტომაც იყო, რომ ლატერანის IV კრებამ აკრძალა ახალი მათხოვრული ორდენების დაარსება. დომინიკელებმა 1227 ნლიდან მიიღეს საყოველთაო ქადაგებისა და აღსარების უფლება. 1232 წელს, პაპმა გრიგოლ IX-მ (1227-1241) მათ გადასცა ინკვიზიცია. ისინი გახდნენ დასაყრდენი მწვალებლების, საიმპერატორო ხელისუფლების, ადგილობრივი საეკლესიო იერარქიის, ქალაქების, უნიატების წინააღმდეგ ბრძოლაში. დომინიკანურმა ორდენმა შეიმუშავა ინკვიზიციისათვის არა მარტო თეოლოგიური არგუმენტები, არამედ საკანონმდებლო ბაზაც. პაპების ინკვიზიცია ფაქტიურად აღმოჩნდა დომინიკანური ორდენის ხელში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ენეოდნენ ასევე საგანმანათლებლო და აღმზრდელობით საქმიანობას. ევროპაში ისინი იყვნენ პირველი განმანათლებლე-

ბი. მათ მიერ ხალხში გაწეული კულტურული თუ სოციალური საქმიანობის გამო ისინი გახდნენ ევროპული უნივერსიტეტებისა და უნივერსიტეტების კათედრების ხელმძღვანელები. ორი უდიდესი მათხოვრული ორდენის წყალობით მონაზვნურმა ცხოვრებამ რენესანსის პერიოდი გაიარა. მონაზვნური ორდენებისა და ქალაქების განვითარების შედეგად შესაძლებელი გახდა შუა საუკუნეების ცნობილი სასწავლებლების — პარიზის, ბოლონიის, ოქსფორდის, პრაღის, პადუის უნივერსიტეტების-დაარსება. ყველაზე ცნობილი იყო პარიზის უნივერსიტეტი, რომლის წესდება და ავტონომია აღიარა ინოკენტი III-მ.

ინოკენტი III-ე იყო ჯვაროსნული ლაშქრობის ინიციატორი ლივების ქვეყანაში. ამ მიზნით მან ხელი შეუწყო მახვილოსანთა ორდენის გააქტიურებას აღმოსავლეთ ბალტისპირეთში. ასევე, ინოკენტი III-ე იყო ჯვაროსნული ლაშქრობის ინიციატორი ესპანეთში მავრი-მუსულმანების წინააღმდეგ, რომელიც ცნობილია ებრაელთა დარბევითა და მავრებზე გამარჯვებით 1212 წელს ლას ნავას დე ტოლოსასთან. ერეტიკოსების დევნა, ინკვიზიციის სასტიკი სასამართლოები, პაპის ხელში იყო ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენის მოპოვების უმნიშვნელოვანესი საშუალება.

ინოკენტი III-ის პოლიტიკის წარმატება საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელმაც ის ფაქტიურად გახადა ევროპის არბიტრი, გამყარებული იყო პაპობის ფინანსური სიძლიერით. პაპის კურია გახდა უძლიერესი ფინანსური ინსტიტუტი მთელს ევროპაში. ფულადი გადასახადების ამოღებამ კათოლიკური სამყაროს ყველა კუთხეში, პაპობა დააკავშირა მრავალი ქვეყნის საბანკო კანტორასთან. მეორე არგუმენტი, რომელიც პაპობას აძლიერებდა, იყო პაპის კურიის უფლება, ეკლესიასა და საეკლესიო ცხოვრებასთან დაკავშირებული ყველა საქმე განეხილა, როგორც უმაღლეს სასამართლო ინსტანციას. საეკლესიო საქმეების მრავალფეროვნება, პაპს აძლევდა უფლებას, ჩარეულიყო მრავალი ქვეყნის საშინაო საქმეებში, რამაც ასევე, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მთელ რიგ ქვეყნებში დიპლომატიური ინსტიტუტის—საელჩოების დაარსების საკითხში. თავიანთი ინტერესების დასაცავად, პაპის კურიაში, სხვადასხვა სამეფოები და სახელმწიფოები აგზავნიდნენ თავიანთ წარმო-

მადგენლებს რომში-„პროკურორებს". „პროკურორებს" საქმეების მრავალფეროვნებისა და სირთულის გამო, დიდი ხნით უხდებოდათ დარჩენა რომში, ზოგჯერ მათი თანამდებობა მუდმივი წარმომადგენლის ხასიათს იძენდა პაპის კარზე.

ინოკენტი III-ე გახდა მრავალი ქვეყნის სიუზერენი. სიცილიის სამეფო, დანია, შვეცია გახდნენ პაპის ვასალები. პორტუგალიამ უფრო ადრე ცნო პაპის ვასალიტეტი (1144ნ) და ფეოდალური ფიცი აღადგინა ინოკენტი III-ის დროს. 1204 წელს პაპის ვასალი გახდა პედრო არაგონელი, 1207 წელს კი პოლონეთის მეფე. სერბიისა და ბულგარეთის მეფეები სარგებლობდნენ პაპის მფარველობით, სანაცვლოდ ისინი პაპს კათოლიკურ ეკლესიასთან უნიას ჰპირდებოდნენ. ვასალური დამოკიდებულება ცნო შორეულმა სომხეთმაც. მეფეების დიდი ნაწილი, რომელიც მუხლს იდრეკდა პაპის წინაშე, იყვნენ სუსტნი და საჭიროებდნენ მის მფარველობას. მაგრამ იყვნენ ძლიერი მეფეებიც, რომლებიც მასზე გახდნენ დამოკიდებული. ვის დამორჩილებასაც ის ვერ ახერხებდა, მათ დიპლომატიური ხერხებით აიძულებდა მოკავშირეები მაინც გამხდარიყვნენ. ასეთი იყო მაგალითად, საფრანგეთის მეფე, ფილიპე II ოგიუსტი, მეტად ჭკვიანი და კერკეტი პოლიტიკოსი, რომელიც ინოკენტი III-მ გამოიყენა, როგორც მოკავშირე.

ამრიგად, ინოკენტი III-მ თავისი მოღვაწეობით დაამტკიცა, რომ ის იყო უნიჭიერესი დიპლომატი, პოლიტიკური ინტრიგების უბადლო ოსტატი, რომელმაც იშვიათი ხელოვნებითა და შეუპოვრობით გონივრულად გამოიყენა პოლიტიკური მდგომარეობა პაპობის ძალაუფლების გაძლიერებისათვის. მან ისევე, როგორც გრიგოლ VII-მ, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ პაპების მოწოდება--მსოფლიო თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნის შესახებ- განეხორციელებინა და მან ამ მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, უკან ჩამოიტოვა გრიგოლ VII-ც. ინოკენტი III-ე იყო უძლიერესი ფეოდალი და ევროპის უზენაესი მოსამართლეც. მისი პონტიპიკატის ეპოქაში პაპობამ ძლევამოსილებას მიაღწია. პაპობის ისტორიაში ინოკენტი III-ე გრიგოლ VII-სთან ერთად მიჩნეულია პაპების სახელმწიფოს ფუძემდებლად.

პაპების ძალაუფლების დასუსტების დასაწყისი და გზა ავინიონისაკენ — ბონიფაციუს VIII

ჯერ კიდევ XII საუკუნეში პაპობამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ნმ. პეტრეს პატრიმონია-პაპის ოლქი. 1143 წელს ვაჭარხელოსანთა ფენამ, რომელიც პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენდა, რაინდობაზე დაყრდნობით, არნოლდო ბრეშიელის მეთაურობით რომი რესპუბლიკად გამოაცხადა, მაგრამ 1155 წელს პაპებმა ძალაუფლება აღადგინეს რომში და რესპუბლიკა ლიკვიდირებულად ცნეს.

XIII საუკუნეში პაპებმა კიდევ უფრო გააძლიერეს თავისი სამფლობელოები, თუმცა ქვეყნის ცენტრალიზაციას არ ჩქარობდნენ. ფეოდალებს შორის გამართულ ნამდვილ ომებს რომის ქუჩებში ბოლო მოუღო რომის პაპმა ბონიფაციუს VIII-მ (1294-1303), რომელმაც შესძლო ფეოდალთა დროებით დამორჩილება და რომში ტირანია დაამყარა.

პაპი ბონიფაციუს VIII (საერო სახელი ბენედიქტე გაეტანი) მდიდარი ესპანელი არისტოკრატიული გვარიდან იყო გამოსული. გაიძვერა და პატივმოყვარე კარდინალს, გადმოცემის თანახმად, უწინასწარმეტყველეს: „ტახტზე ახვალ როგორც მელა, იმეფებ როგორც ლომი და მოკვდები როგორც ძაღლი." ეს წინასწარმეტყველება ისტორიამ საოცარი სიზუსტით დაადასტურა. გულუბრყვილო პაპის ცელესტინ V-ს გაბრიყვების შემდეგ (შუალამის ლოცვისას კაეტანიმ პაპს ზემოდან ჩამოსძახა: —" პაპის ტახტზე უარი სთქვით! „— პაპს ეს ზეციდან მონაწვდენი ხმა ეგონა, გაბრიყვდა და უარი თქვა მეორე დღესვე ტახტზე) 1294 წლის 12 დეკემბერს პაპი გახდა ბენედეტო კაეტანი ბონიფაციუს VIII-ს სახელით („მწყალობელს" ნიშნავს ლათინურად).[1]

ბონიფაციუს VIII იყო გრიგორიანული პაპობის უკანასკნელი წარმომადგენელი და უკანასკნელი პაპი, რომელიც იბრძოდა საფრანგეთის ჰეგემონიის წინააღმდეგ.

ისევეროგორც სხვა პაპები, დაწყებული გრიგოლ VII ჰილდებრანდიდან, ისიც თავგამოდებით იბრძოდა პაპების თეოკრატიისათვის. ცდილობდა სახელმწიფო საზღვრების გაფართოებას,

---

1 შუა საუკუნეების ისტორია. გ. კუტალიას რედაქციით. თბ., 2004, გვ. 350

აქტიურად ერეოდა საერო ხელისუფლების საქმეებში. მისი ვასალები იყვნენ: უნგრეთის, პოლონეთისა და არაგონიის მეფეები. მიისწრაფვოდა გერმანიის დამორჩილებისაკენ და, ამავე დროს, პრეტენზიებს აცხადებდა სიცილიის მფლობელობაზე.

ბონიფაციუს VIII -ს უზომოდ უყვარდა ფული და თავისი ნათესავები. პაპობა არ იყო სამემკვიდრეო მონარქია, საეროსაგან განსხვავებით. არადა პაპს სჭირდებოდა ერთგული თანამოაზრენი როგორც საეკლესიო, ისე პაპების სახელმწიფოს მართვაში. რადგანაც ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელობა სულ უფრო ნაკლებად ხვდებოდა კარდინალების ხელში, ყველა პაპი ცდილობდა კარდინალთა კოლეგია თავისი ნდობით აღჭურვილი პირებით განემტკიცებინა. ამას ისინი, ძირითადად, სისხლით ნათესავებისაგან ავსებდნენ. ეს იყო დინასტიის შექმნის ერთი ფორმა, რომლის მიზანი იყო არა მემკვიდრეობითობის განმტკიცება, არამედ ოჯახის გამდიდრება. ამიტომ იყო, რომ წინა პაპის მიერ დანიშნული კარდინალები, მისი გარდაცვალების შემდეგ, ქმნიდნენ კარდინალთა კოლეგიისაგან პარტიას, რათა მათგან აერჩიათ ახალი პაპი.

1295 წლის 23 იანვარს რომში შედგა ბონიფაციუს VIII-ს ეს პაპად კურთხევის ცერემონია. პაპად არჩევისთანავე მან გააუქმა ცელესტინ V-ის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, მათ შორის პრივილეგიები და თანამდებობებზე დანიშვნები. მან ძირითად თანამდებობებზე დანიშნა კაეტანის ოჯახის წევრები, 1295 წელს კარდინალი გახადა თავისი ნათესავი ფრანჩესკო კაეტანი.

გახდა რა პაპი, მან ყურადღება გაამახვილა სიცილიის პრობლემაზე. აქ სამეფო ტახტისათვის ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ კარლოს II ნეოპოლიტანელი, ანჟუელთა დინასტიის შთამომავალი და ჰაიმე II არაგონელი, რომელიც დაქორწინებული იყო კონსტანცა ჰენშტაუფენზე. მოლაპარაკების შემდეგ ჰაიმემ ტახტი დაუთმო კარლოსს. პაპმა, როგორც სიცილიის სენიორმა, რატიფიცირება გაუკეთა ამ შეთანხმებას, მაგრამ სიცილიელებმა უარი განაცხადეს მეფედ ფრანგი კარლოსის მიღებაზე და ტახტი შესთავაზეს ჰაიმეს უმცროს ძმას — ფედერიგოს, რომელიც 1296 წელს გაამეფეს პალერმოში. წარუმატებელი მოლაპარაკების შემდეგ, პაპმა ფედერიგო ეკლესიიდან განკვეთა,

მაგრამ ამ ფაქტმა ფედერიგოს აზრი ვერ შეაცვლევინა. ჰაიმე, როგორც ეკლესიის კაპიტან-გენერალი, იძულებული გახდა ებრძოლა თავისი ძმის წინააღმდეგ. თუმცა 1302 წელს კარლ ვალუეს შუამავლობით ზავი დაიდო. პაპი იძულებული გახდა ფედერიგო ეცნო სიცილიის მეფედ იმ პირობით, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტი გადავიდოდა კარლოსზე.[1]

უფრო მძიმე მდგომარეობა იყო ფლორენციაში, სადაც სამოქალაქო ომი მძვინვარებდა ორ პარტიას-„თეთრებსა" და „ნითლებს" შორის. პაპმა დახმარება სთხოვა კარლოს ვალუეს, რომელიც დანიშნა ეკლესიის კაპიტან-გენერლად და ტოსკანის გუბერნატორად. კარლოსმა ხუთი თვის შემდეგ ორივე პარტიის ლიდერები განდევნა ქვეყნიდან.

ვითარება ჩრდილოეთ და სამხრეთ იტალიაშიც არ იყო ნორმალური. პაპის შეშფოთებას იწვევდა ჩრდილოეთ იტალიაში არსებული სიტუაცია, სადაც ვენეციასა და გენუას შორის ომი მიმდინარეობდა. პაპს კი მშვიდობა სჭირდებოდა, რათა ეს ორი უძლიერესი საზღვაო სახელმწიფო ჯვაროსნულ ლაშქრობებში გამოეყენებინა. აქ ომი მხოლოდ 1299 წელს დასრულდა ორივე მხარის სრული გაპარტახებით.

პაპი ებრძოდა კარდინალებს — ჯაკომო და პიეტრო კოლონებს, რომლებიც სხვა მემკვიდრეების ხარჯზე უზარმაზარ ქონებას დაეპატრონენ. 1297 წლის 4 მაისს ბონიფაციუს VIII-მ მათ მოსთხოვა უკანონო ქონების დაბრუნება. უარის შემდეგ პაპმა მათ სპეციალური ბულით ჩამოართვა კარდინალის წოდება. სამაგიეროდ კარდინალებმა, მანიფესტით, პაპი უკანონოდ გამოაცხადეს. ბონიფაციუს VIII-მისინი ეკლესიიდან განკვეთა და ომისათვის მზადება დაიწყო. ჯარს სათავეში ჩაუყენა ჯაკოპოს ძმა- ლანდოფო კოლონა. 1298 წლის სექტემბერში შეთქმულთა უკანასკნელი თავშესაფარი —პალესტრინა—აღებულ იქნა. შეთქმულმა კისერზე თოკგამობმულმა კარდინალებმა, პაპს პატიება სთხოვეს. ბონიფაციუსმა ისინი შეინყალა, მაგრამ წოდება არ დაუბრუნა. პალესტრინა მიწასთან გაასწორეს (მოგვიანებით იქ ქალაქი ჩიტა—პაპალე გაშენდა). პაპის წინააღმდეგ ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. კოლონებმა კიდევ ერთხელ სცადეს პაპთან შებრძოლება, მაგრამ წარუმატებლად. ამჯერად პაპმა

1 Все монархи мира. www. allmonarchs net

ისინი ეკლესიიდან განკვეთა და მოახდინა მათი ქონების კონ-ფისკაცია.

ბონიფაციუს VIII წარმატებით ერეოდა უნგრეთის საში-ნაო საქმეებში. როცა, 1301 წელს გარდაიცვალა არპადების უკანასკნელი წარმომადგენელი მეფე და უნგრეთის მეფედ არ-ჩეულ იქნა არა კარლ რობერტი (მეფე კარლ მარტელის შვილი), არამედ— ჩეხი ვენცელი (1301—1305), პაპმა უნგრეთს ინტერ-დიქტი დაადო. 1303 წლის 31 მაისს კარდინალთა საბჭოს ღია სხ-დომაზე პაპმა კარლ რობერტ ანჟუელი კანონიერ მმართველად გამოაცხადა, ხოლო 1307 წელს მეფის გვირგვინის განსამტკიცე-ბლად უნგრეთში გააგზავნა ლეგატი კარდინალი გენტილისი.

ბონიფაციუს VIII--ს ძალაუფლება გავრცელდა აპენინის ნახევარკუნძულის ფარგლებს გარეთ. როცა 1291 წელს გარდა-იცვალა გერმანიის მეფე რუდოლფი, დაიწყო კრიზისი ტახტისათ-ვის. რუდოლფის შვილმა-- ალბრეხტ ავსტრიელმა (1293- 1308) თავი მეფედ გამოაცხადა, მაგრამ გერმანელმა მთავრებმა მას დაუპირისპირეს ადოლფ ნასაუს კანდიდატურა. პაპი თავდა-პირველად ნეიტრალიტეტს იცავდა, მაგრამ როცა ალბრეხტისა-გან მიიღო გარანტიები რომის ეკლესიის დასაცავად, ის კანონი-ერ მეფედ სცნო.[1]

პაპი ცდილობდა პაპობის ავტორიტეტი აღედგინა იტალ-იაში, მაგრამ მას ძალიან ეშინოდა წინა პაპის— პიეტრო დელ მორონეს პიროვნებისა. ამიტომ გასცა ბრძანება მოეძებნათ განდეგილი პაპი და დაეპატიმრებინათ. პიეტრო დელ მორონე პატიმრობაში გარდაიცვალა, რაც შემდეგში მითქმა-მოთქმის საფუძველი გახდა.

პაპის ხაზინის შესავსებად ბონიფაციუს VIII-მ 1300 წლის 22 თებერვალს გამოსცა ბულა „Antiguorum habet fide". რომლი-თაც 1300 წელი „საიუბილეოდ" გამოაცხადა: ყველა, ვინც ამ წელს რომში 15 დღით მოხვდებოდა და ინდულგენციებს იყიდდა, ყოველგვარი ცოდვებისაგან თავისუფლდებოდა და უთანაბრდე-ბოდა ჯვაროსნებსა და პილიგრიმებს, რომლებიც განსაკუთრებ-ული წყალობით სარგებლობდნენ კათოლიკურ ეკლესიაში. პაპის ამ განცხადებამ რომში 2 მილიონამდე ადამიანი ჩამოიყვანა,

1 Все монархии мира. www. allmonarchs.net

რომლებსაც პაპის კურია უკანასკნელ გროშებსაც ართმევდა.[1]

ამიერიდან ყოველი მეასე წელი საიუბილეოდ გამოცხადდა. შემდეგ ეს დრო შემცირდა 50 წლით, მოგვიანებით — 25 წლით. საბოლოოდ პაპები იუბილეს აწყობდნენ მაშინ, როცა მათ ფული შემოაკლდებოდათ.

ბონიფაციუს VIII-მ რომში მოიწვია ცნობილი ფერმწერი ჯოტო, გახსნა რომის საპიენის უნივერსიტეტი. 1298 წელს პაპმა, გრიგოლ IX -ის კანონთა კრებული — „Liber sextus"-ს „კანონთა კოდექსით შეავსო.

პაპი მხარს უჭერდა შოტლანდიის დამოუკიდებლობას და შესაბამისი გზავნილიც გაუგზავნა ინგლისის მეფე ედუარდ 1-ს, თუმცა მან არ დაუშვა შოტლანდიაზე პაპის სიუზერენული უფლება.

უფრო სერიოზული კონფლიქტი ჰქონდა პაპს საფრანგეთის მეფესთან, რომლის მიზეზი იყო საფრანგეთის მონარქიისა და პაპის აბსოლუტიზმის შეუთავსებლობა.

ფილიპე IV ლამაზმა (1285-1314) შექმნა აბსოლუტური მონარქია. მან დაიმორჩილა არა მხოლოდ საერო ფეოდალები, არამედ საფრანგეთის ეკლესიაც. ის თვითონ წყვეტდა სასულიერო პირთა გადასახადების საკითხს, ნიშნავდა ეპისკოპოსებს და ა.შ.

1296 წელს პაპმა ბონიფაციუს VIII-მ გამოსცა ბულა („Clericis Laicus"), რომლითაც მეფეებს ეკრძალებოდათ გადასახადების აღება ეკლესიიდან პაპისაგან შეუთანხმებლად. ეს, პირველ რიგში, საფრანგეთს შეეხებოდა, რომელიც ეკლესიისაგან რეგულარულ გადასახადს მოითხოვდა, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის შემოსავალი თავისუფალი უნდა ყოფილიყო ყოველგვარი დაბეგვრისაგან.

ამის საპასუხოდ საფრანგეთის მეფემ ფილიპე IV ლამაზმა აკრძალა იტალიაში ოქროსა და ვერცხლის გატანა, რის შედეგადაც პაპი კარგავდა თავის შემოსავალს საფრანგეთიდან, რამაც ის აიძულა წასულიყო დათმობაზე — სასულიერო წოდებას არ ეკრძალებოდა სახელმწიფოსათვის თავიანთი სურვილით გაეკეთებინათ შესაწირი. მიუხედავად ამისა, პაპს და ფილიპე IV -ს შორის 1301 წლიდან ურთიერთობა ძალზე დაიძაბა. 1301

1 მუა საუკუნეების ისტორია. გ. კუტალიას რედაქციით. თბ., 2004, გვ. 430

წელს პაპმა წერილი გაუგზავნა ფილიპე IV--ს: „გეშინოდეს ღმერთის და შეასრულე მისი მცნებები. გვსურს იცოდე, რომ სასულიერო და დროებით საქმეებში შენ გვემორჩილები ჩვენ. სხვაგვარად მოაზროვნეებს ჩვენ ვთვლით მწვალებლად".[1]

ფილიპემ დაწვა პაპის წერილი და უდიერი სიტყვებით მოიხსენია ის თავის საპასუხო წერილში. 1302 წელს მეფემ მოინვია ყველა ნოდებათა დეპუტატების კრება - გენერალური შტატები, სადაც მათ გამოაცხადეს, რომ მეფე გვირგვინს ღებულობს უშუალოდ ღმერთისგან და არა პაპისგან. ამას დაეთანხმა საფრანგეთის სამღვდელოებაც.

პაპმა თავისი პრეტენზიები საერო ძალაუფლებაზე ჩამოაყალიბა ბულაში „Unam sanctam" -- („ერთადერთი წმინდა"). რომელიც მიღებულ იქნა 1302 წლის 18 ნოემბერს ლატერანის საეკლესიო კრებაზე და რომელშიც თეოლოგიურ და იურიდიულ არგუმენტებზე დაყრდნობით დაასაბუთა პაპობის განუსაზღვრელი ხელისუფლების თეორია. პაპებისა და ეკლესიის ერთიანობა წამოაყენა, როგორც დოგმა.

`ჩვენი სარწმუნოება გვმოძღვრავს ჩვენ, გვწამდეს ერთიანი წმინდა, კათოლიკური და ამავე დროს სამოციქულო ეკლესიისა და მუდამ მხარს ვუჭერდეთ ამ რწმენას; და ჩვენ მტკიცედ გვწამს და გვჯერა, რომ ამის გარეშე არ არსებობს არც სულის ხსნა და არც მონანიება" -- აღნიშნულია ბულაში. შემდგომ მოდის ეკლესიის, როგორც ქრისტეს მისტიკური სხეულის განსაზღვრება და ფორმულირება პრინციპით „ერთი სამწყსო --ერთი მწყემსი". „მაგრამ სახარება ჩვენ იმასაც გვასწავლის, რომ ეკლესიის შიგნით, მის მფლობელობაში არის ორი მახვილი: სასულიერო ხელისუფლების მახვილი და საერო ხელისუფლების მახვილი. რამეთუ, როდესაც მოციქულები ამბობენ: „ აი ორი მახვილი" (ლუკა 22:38) —ე.ი. ეკლესიაში --მოციქულების ამ სიტყვაზე ღმერთს არ უთქვამს, რომ ეს ბევრია, არამედ უთხრა მათ: საკმარისია. ამიტომ ის, ვინც უარყოფს, რომ წმინდა პეტრეს ხელში იყო საერო მახვილიც, მას არასნორად ესმის მაცხოვრის შემდეგი სიტყვები: 'ჩააგე მახვილი ქარქაშში" (იოანე. 18:11.). ეკლესიის მფლობელობაში ორი მახვილია -- სასულიერო მახვილი და მატერიალური სიმდიდრის მახვილი, მაგრამ მეორე ეკლესიის ინტერესებში რჩება, ხოლო

1 შუა საუკუნეების ისტორია. გ. კუტალიას რედაქციით. თბ., 2004, გვ. 430

პირველს კი პირადად ფლობს. პირველი მახვილი ხელში უჭირავს მღვდელს, ხოლო მეორე კი მეფესა და ჯარისკაცს. გარდუვალია, რომ ერთი მახვილი მეორეზე მაღლა უნდა გეჭიროს, რათა საერო ხელისუფლება სასულიეროს დაემორჩილოს. რამეთუ მოციქული ბრძანებს:" არ არსებობს ხელისუფლება, რომელიც არ მომდინარეობს ღვთისაგან, ყველა არსებული ხელისუფლებანი ღვთის მიერ არიან დადგენილნი" (რომაელთა. 13:1) . . . რამეთუ ჭეშმარიტება ამტკიცებს, რომ სასულიერო ხელისუფლებას აქვს უფლება ზედამხედველობა გაუწიოს საერო სახელისუფლებო წესრიგს, და თუ ის არ აღმოჩნდება კარგი, მაშინ სასულიერო ხელისუფლება ვალდებულია გაასამართლოს საერო ხელისუფლება. აი აქ დასტურდება იერემიას წინასწარმეტყველება ეკლესიისა და საეკლესიო ხელისუფლების შესახებ: „და აი დაგადგინე მე შენ მტკიცე ქალაქად და რკინის ძელად. . . (იერემია. 1:18).

თუ საერო ხელისუფლება დაადგება არასწორ გზას, მას განსჯის სასულიერო ხელისუფლება; თუ სასულიერო ხელისუფლება დაადგება არასწორ გზას, მას განსჯის მასზე მაღლა მდგომი ხელისუფლება: მაგრამ თუ უმაღლესი სასულიერო ხელისუფლება შეცოდავს, მას განსჯის მხოლოდ ღმერთი და არა ადამიანი, რადგან მოციქულს მოჰყავს შემდეგი დადასტურება: „ღმერთი განსჯის ყველას, მისი განსჯა არავის შეუძლია".

პაპი ბონიფაციუს VIII-ე ბულაში წერდა: „სამოციქულო ტახტსა და რომის მღვდელმთავარს გააჩნიათ უზენაესობა მთელ მსოფლიოზე და რომ ეს მღვდელმთავარი არის მოციქულ პეტრეს მემკვიდრე, მოციქულთა მთავარი, ქრისტეს მოადგილე დედამიწაზე, მთელი ეკლესიის მეთაური და მამა, ყველა ქრისტიანის მასწავლებელი". მასში ხაზგასმული იყო, რომ „ღმერთმა ჩვენ სამოციქულო მსახურება დაგვაკისრა, რითაც მეფეებსა და იმპერატორებზე მაღლა დაგვაყენა".

ბულა მთავრდება სიტყვებით: „ჩვენ საზეიმოდ ვაცხადებთ, ვამტკიცებთ, რომ რომის პაპისადმი დამორჩილება თითოეული ადამიანის ხსნისთვის აუცილებელი პირობაა". [1]

ბულა „Unam sanctam" -(„ერთადერთი წმინდა")— იყო პაპობის აბსოლუტიზმის განმტკიცების და უშუალოდ საფრანგეთის მეფის ფილიპეს წინააღმდეგ მიმართული დოკუმენტი. პაპის

---

1 Е. Гергей. История папства. ob. http //www.krotov.info·libr_min/g/gorgey/00.html

შეხედულებით პაპებსაც და მეფეებსაც აქვთ მახვილი, მაგრამ მეფე ამ მახვილს პაპისგან იღებს და მისი ფლობა შეუძლია ეკლესიის ლოცვა—კურთხევით. პაპების ხელისუფლება მზის მაგვარია, როცა სამეფო ხელისუფლება მთვარეს ჰგავს, რომელიც სინათლეს მზისგან იღებს. ბულამ გამოაცხადა, რომ ადამიანი ხსნას იმ შემთხვევაში იპოვის, თუ პაპის ხელისუფლებას ცნობს. „პაპობის ხელისუფლების გარეშე არაა ხსნა"— ეს პრინციპი მნიშვნელოვანი გახდა პაპის პრიმატის ჩამოსაყალიბებლად.

ბულამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ევროპის ცენტრალიზებული სახელმწიფოების მხრივ, განსაკუთრებით საფრანგეთის მეფის, ასეთივე ჯიუტი და პატივმოყვარე პიროვნების მხრიდან, როგორიც ფილიპე IV ლამაზი იყო. მან პაპის ბულა საჯაროდ დაანვევინა, რამაც პაპის უკიდურესი გააფთრება გამოიწვია. 1303 წლის აპრილში პაპმა ფილიპე IV ეკლესიიდან განკვეთა. უფრო მეტიც, მისი ვასალები მეფისადმი მიცემული ერთგულებისაგან გაათავისუფლა, მაგრამ პაპის ლეგატი ფილიპე IV - მ მანამდე დააპატიმრა, ვიდრე ის პარიზში მივიდოდა.

1303 წლის 12 მარტის სხდომაზე გიიომ დე ნოგარემ მიმართა მეფეს მონოდებით „დაეცვა წმინდა ეკლესია უზურპატორი, მექრთამე, ქურდი და ერეტიკოსი ბონიფაციუსისაგან." 1303 წლის 13 ივნისს ფილიპე IV---ემ, ყრილობაზე მოწვეულ ეპისკოპოსებს, 29 პუნქტიანი ბრალდება წარუდგინა ბონიფაციუს VIII-ეს წინააღმდეგ, რომელთა შორის იყო: ერესი, სიმონია, უთანასწორობა, წმინდა მიწის დაკარგვა, პაპ ცელესტინ V-ის მკვლელობა და ა.შ.

1303 წლის აგვისტოში ანანიში ბონიფაციუსმა საზეიმოდ დაიფიცა, რომ არც ერთი დანაშაული არ ჩაუდენია, რასაც მას სწამებდნენ. პაპმა მეფის მომხრე ყველა არქიეპისკოპოსი და ეპისკოპოსი გაანთავისუფლა თანამდებობიდან, პარიზის უნივერსიტეტს ჩამოართვა უფლება სამეცნიერო ხარისხი მიენიჭებინა ღვთისმსახურებაში, კანონიკურ და სამოქალაქო სამართალში, მეფეს კი საშინელი სასჯელით დაემუქრა, თუ არ მოინანიებდა.

ფილიპე IV—ე პაპის შეხედულებების საწინააღმდეგოდ ამტკიცებდა, რომ სამეფო ხელისუფლება გამოდიოდა უშუალოდ ღმერთისაგან და არ ცნობდა სხვა ხელისუფლებას, გარდა

ღმერთისა. ფილიპე შეტევაზე გადავიდა და მოითხოვა პაპის მოწვევა მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. ამის გამო პაპმა გადაწყვიტა ფილიპე ანათემას გადაეცა, მაგრამ, სანამ ოფიციალურად ამას გაახმოვანებდა 1303 წლის 8 სექტემბერს, მეფის კანცლერმა გიილიო ნოგარემ რომაელი არისტოკრატების დახმარებით, რომელსაც ჯაკომო კოლონა ედგა სათავეში, 7 სექტემბერს მოაწყო პაპზე თავდასხმა, რომელიც ამ დროს თავის მშობლიურ ანანიში იმყოფებოდა.

ჯაკომო კოლონამ ბონიფაციუს VIII—ს სილა გააწნა და ტახტიდან ჩამოაგდო. რომაელებმა ორსინის მეთაურობით გაანთავისუფლეს პაპი ფრანგების ტყვეობისაგან. პაპმა დასწყევლა მეფე და მისი თანამოაზრეები. ერთი ვერსიის თანახმად, პაპი მონამლეს მისმა მტრებმა, მეორე ვერსიით კი, მან ვერ გაუძლო შეურაცხყოფას და 1303 წლის 11 ოქტომბერს 68 წლის ასაკში გარდაიცვალა. (ისტორიულ რომანებში კი ის ჭკუიდან შეიშალა).

პაპისა და მეფის ხელისუფლების დაპირისპირებაში გამარჯვებული გამოვიდა სამეფო ხელისუფლება ფილიპე IV-ის სახით. პაპობის აბსოლუტიზმის მოძღვრების შემოქმედებითმა გამგრძელებელმა პაპმა ბონიფაციუს VIII -მ პოლიტიკური მარცხი განიცადა, რაც პაპების ძალაუფლების დასუსტების დასაწყისი გახდა. ამ პოლიტიკურმა მარცხმა ბოლო მოუღო გრიგორიანული პაპობის დიდმპყრობელურ მისწრაფებებს. მომდევნო პერიოდში პაპები პრიმატის განხორციელებას უკვე სხვა საშუალებებით ცდილობდნენ..

მართალია ბონიფაციუს VIII პოლიტიკურად დამარცხდა საფრანგეთის მეფესთან, მაგრამ მისი იდეები არ გამქრალა, რაც მოსვენებას არ აძლევდა ფილიპე IV—ს. ამით იყო განპირობებული, რომ მან ბონიფაციუს VIII-ეს გარდაცვალების შემდეგ, 1306 წელს დაიწყო ყოფილი პაპის პიეტრო დელ მორონას კანონიზაციის პროცესი, ხოლო 1313 წელს ის წმინდანად იქნა შერაცხული. ამ ნაბიჯებით მეფემ მაინც ვერ შესძლო დიდი მონინაალმდეგის ხსოვნის წაშლა.

გიბელინ დანტემ, რომელიც პოლიტიკური მოსაზრებებით ვერ იტანდა ბონიფაციუს VIII--ს, თავის „ღვთაებრივ კომედიაში", მისი მსოფლმხედველობა ჯოჯოხეთის მეცხრე წრეში გამოავლინა.

ბონიფაციუს VIII-ს გარდაცვალების შემდეგ პაპად აირჩიეს ბენედიქტ XI, რომელიც მალევე გარდაიცვალა. ორი წლის განმავლობაში პაპის არჩევა ვერ მოხერხდა კარდინალთა შორის უთანხმოების გამო. 1305 წელს კი პაპი გახდა ბორდოს არქიეპისკოპოსი ბერტრანი--კლიმენტი V-ის სახელით (1305-1314), რომლისგანაც ფილიპე ლამაზმა მიიღო გარანტია, რომ ის გააუქმებდა ბონიფაციუსის ყველა განკარგულებას, რომელიც მიმართული იყო მეფის წინააღმდეგ. კლიმენტი V 1309 წლიდან დამკვიდრდა სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ ავინიონში. ეს ქალაქი 70 წლის მანძილზე წარმოადგენდა პაპების რეზიდენციას. ეს პერიოდი ისტორიაში ცნობილია „პაპების ავინიონის ტყვეობის" სახელით.

პაპებმა ავინიონში, სადაც 1377 წლამდე იმყოფებოდნენ, დაკარგეს ის ავტორიტეტი, რომელიც მათ ჰქონდათ XIII საუკუნეში და მთლიანად საფრანგეთის მეფის გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ.

ლორენცო ვალა „გამოგონილი და ყალბი კონსტანტინეს ნაბოძვარის შესახებ“

ლორენცო ვალა დაიბადა და გარდაიცვალა რომში. მისი დიდება ჩრდილოეთ პავიაში დაიწყო. მალე მისი სახელი სამშობლოს ფარგლებს გასცდა და მთელს ევროპას მოედო. „თავის ეპოქაში მან ყველას გადააჭარბა მჭერმეტყველებით“[1] – ასე იუწყება საფლავის ქვაზე წარწერა, რომელიც მისმა დედამ – კატარინამ შვილის ხსოვნის საპატივცემლოდ ამოატვიფრინა.

აღორძინების ეპოქამ მრავალი ბრწყინვალე მწერალი და ორატორი წარმოაჩინა, მაგრამ ლორენცო ვალას სახელმა მათ შორის განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. მისი მახვილსიტყვაობა შეზავებული იყო მეცნიერი ლათინისტის ცოდნასა და ამოუწურავ ენერგიასთან, რომელიც მან შუასაუკუნეობრივი უძრაობის გამოვლენისა და შეცვლისათვის გამოიყენა. მისი დარტყმა პირველ რიგში ოფიციალურმა ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ განიცადა, რომელმაც თავისი დრო უკვე მოჭამა, მაგრამ მიუხედავად ამისა პაპების ხელისუფლების კანონიერება და სიმტკიცე ჯერ კიდევ მყარად გამოიყურებოდა. ლორენცო ვალამ თავისი ნაშრომებით გააქარწყლა მითი იტალიასა და მთელ დასავლეთზე პაპების ბატონობის იურიდიულ უფლებებზე.

ლორენცო ვალას ცხოვრება და მოღვაწეობა დაემთხვა იტალიაში მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცვლილებებს: XV საუკუნეში ჩრდილოეთ და შუა იტალიის ყველაზე ძლიერმა ქალაქ-სახელმწიფოებმა თავიანთი სამფლობელოები გაზარდეს მეზობელი ტერიტორიების დაპყრობის გზით. დაპყრობილ ქალაქებში ისინი თავიანთი ადმინისტრაციული ხელისუფლების წარმომადგენლებს ნიშნავდნენ, რაც თავისთავად ნინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა ცენტრალიზებული სახელმწიფო ძალაუფლების მანქანის შექმნის გზაზე (როგორც მონარქიული, ისე რესპუბლიკური მმართველობის სახით), რითაც მდიდარი მოქალაქეები ახერხებდნენ სახალხო აჯანყებების ჩახშობას, რომლებმაც შეძრა იტალია, ვალამდე რამდენიმე ათწლეულით ადრე.

ვალას ეთიკური სწავლება ეყრდნობოდა ეპიკურეს ანტირელიგიურ ფილოსოფიას. ეკლესიამ ეპიკურელები ყოველგვარი

---

1 В. Рутенберг. Лоренцо Валла и его время. М., 1964. გვ. 3.

ცდუნებების მქადაგებლებად ჩათვალა. ეპიკურე ილაშქრებდა სულიერი და ფიზიკური ტანჯვის წინააღმდეგ და ქადაგებდა მეგობრობას, ცოდნას – სულიერ სიამოვნებებს. ლორენცო ვალამ უფრო განავრცო ეპიკურეს სწავლება და თავის ეპოქას შეუსაბამა იგი.[1]

ვალას ეთიკურ სწავლებაში ადგილი არა აქვს ოფიციალური ქრისტიანული ეკლესიის ზნეობრივ პრინციპებს. იგი ილაშქრებს ღმერთთან ურთიერთობის, როგორც ადამიანის ძირითადი მიზნის წინააღმდეგ. ვალამ ადამიანის მორალიდან ფაქტიურად განდევნა ღმერთი, შეუნარჩუნა რა მას მხოლოდ კეთილდღეობის შემქმნელის ფუნქცია. მან ადამიანი ღმერთზე მაღლა დააყენა.[2]

განსაკუთრებით დიდი დარტყმა ეკლესიას ვალამ მიაყენა თავისი ცნობილი ტრაქტატით, რომელშიც ამხილა ე. წ. „კონსტანტინეს ნაბოძვარის" სიყალბე.

„კონსტანტინეს ნაბოძვარი"-ს კრიტიკა ნეაპოლიტანიის კარის ინტერესების გათვალისწინებით დაიწერა, მაგრამ გადაიზარდა პაპების ზოგად კრიტიკაში.[3]

ლორენცო ვალას შემოქმედების ყველაზე აქტიურ და ნაყოფიერ პერიოდს ნეაპოლის სამეფო კარზე მისი ცხოვრება და მოღვაწეობა განეკუთვნება.

ალფონს არაგონელმა, მაკიაველის სიტყვით „ახალმა ხელმწიფემ", შეძლო იტალიაში უცხო ქვეყნის დინასტიის დამკვიდრება რაინდული სიმამაცით. მან 1442 წელს, 20 წლის ბრძოლის შემდეგ, ანჟუელთა დინასტიის ძლიერი მოკავშირის – მილანოს ჰერცოგის, ფილიპო მარია ვისკონტის მოსყიდვით შეძლო ნეაპოლის სამეფოს დამორჩილება. მან 1443 წელს დიდი პარლამენტი აიძულა მისი უკანონო შვილი ფერანტე, მემკვიდრედ ეცნოთ.[4] ალფონსო I-ის სამეფო კარი ნეაპოლში გადაიქცა რენესანსის კულტურის მსხვილ ცენტრად. ის მფარველობდა ჰუმანისტებს, მხატვრებს, პოეტებს. მისი მმართველობის დროს, ნეაპოლის სამეფომ მიაღწია როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ სიმტკიცეს. ისევ დაიწყო გაძლიერება ფეოდალურმა ურთიერთობებ-

1 В. Рутенберг. Лоренцо Валла и его время. გვ. 9.
2 В. Рутенберг. Лоренцо Валла и его время. გვ. 11.
3 В. Рутенберг. Лоренцо Валла и его время. გვ. 4-5.
4 В. Рутенберг. Лоренцо Валла и его время. გვ. 52.

მა, რამაც, თავის მხრივ, გლეხთა ექსპლუატაცია გააძლიერა.

ალფონსო ყოველდღე სამ წირვას ესწრებოდა და ყოველ დიდ ხუთშაბათს იმდენ მათხოვარს ბანდა ფეხს, რამდენი წლისაც თვითონ იყო. ქრისტიანული რწმენა ხელს არ უშლიდა არაგონელს, თავის კარზე მიეღო ისეთი საეჭვო მორწმუნეები, როგორებიც ლორენცო ვალა და ბეკადელი პანორმიტუ იყვნენ, აგრეთვე ებრძოლა პაპებთან და განეცხადებინა, რომ „პაპები ჯოხით უნდა აიძულო და არა ხვეწნა-მუდარით".[1]

ნეპოლში მოღვაწეობის პერიოდს მიეკუთვნება ვალას ყველაზე შრომატევადი ნაშრომები. 1433-1439 წლებში დაიწერა „დიალექტიკის საკითხები" ანუ ფილოსოფიის განახლება", 1440 წელს – „გამოგონილი და ყალბი კონსტანტინეს ნაბოძვარის შესახებ" და „დისპუტი ტიტუს ლივიუსის წინააღმდეგ", 1442 წელს – „სიცილიის სამეფოს განსხვავების შესახებ ნეაპოლიტანიის სამეფოსაგან" და „ბერძნული აღთქმის შესახებ". 1438-42 წლებში შეიქმნა ტრაქტატი „ნების თავისუფლების შესახებ", ხოლო 1445-46 – „ისტორია ფერდინანდისა, არაგონის მეფისა", 1446 წელს – „აპოლოგია ჭორიკანების წინააღმდეგ", რომელიც პაპ ევგენი IV-ს (1431-1447)[2] მიუძღვნა. ამავე წლებს მიეკუთვნება ბერძნულიდან თარგმნილი ეპიგრამები, ეპიტაფიები, გალექსილი წერილები.

1440 წელს ალფონსო არაგონელის დაკვეთით ვალამ შექმნა ტრაქტატი „კონსტანტინეს ნაბოძვარის" წინააღმდეგ. ნეაპოლისათვის ბრძოლა დიდი ხანი მიმდინარეობდა. პაპი ტრადიციულად არაგონელის მონინააღმდეგე რენე ანჟუელს ეხმარებოდა. საჭირო იყო დასაბუთება იმისა, რომ უწმინდესის ტახტი უფლებამოსილი არ იყო ნეაპოლის საქმეებში ჩარეულიყო. აუცილებლობას წარმოადგენდა პაპის ავტორიტეტის შელახვა. ალფონსო არაგონელს ამ ამოცანის განხორციელებაში ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობაც ხელს უწყობდა, რადგან მისი თანა-

---

1 В. Рутенберг. Лоренцо Валла и его время. გვ. 9.

2 ევგენი IV, გაბრიელე კონდულმესი, ვენეციელი, ებრძოდა ბაზელის კრებას, რომელმაც შეაჩვენა, კრებამ ჯერ სამსჯავროზე მიინვია, მერე გადააყენა. მოლაპარაკებას ანარმოებდა იმპერატორ ფრიდრიხ III-თან, მაგრამ მოლაპარაკების დამთავრებამდე გარდაიცვალა. ევგენი IV დასაბამი მისცა აღორძინების ეპოქის ათი „მეცენატი" პაპის ბატონობას (ხელოვანთა და პოეტთა მფარველობა პაპებისათვის მხოლოდ თვითგანდიდების ან თავშექცევის საშუალება იყო).

მედროვე პაპების ქმედებები უკმაყოფილებას იწვევდა საზოგადოების გარკვეულ ნაწილში: პაპი ევგენი IV დაპირისპირებული იყო ბაზელის კრებასთან, ალფონს არაგონელთან, მილანთან, საკუთარ ქვეშევრდომებთან. 1434 წლის აჯანყებამ აიძულა პაპი რომიდან გადაცმული, ნავის ფსკერზე გაწოლილი გაქცეულიყო. კრებამ ევგენი IV პაპის ტახტიდან გადააყენა, აირჩია ანტიპაპი ჰერცოგი ამედეი სავოიელი, ფელიქს V[1] სახელით. ევგენი IV-მ ბაზელის კრებას დაუპირისპირა ფლორენციის კრება, რომელმაც დააბრუნა რომში ბიზანტიელი სქიზმატიკოსები. რომში გაიგზავნა კარდინალი ვიტელესკი, რომელმაც ცეცხლითა და მახვილით აღადგინა იქ პაპის ხელისუფლება. ამის შემდეგ კარდინალი დაუპირისპირდა ნეაპოლს და გადავიდა შეტევაზე. ლორენცოს თვალნინ ორი ლაშქრობა მოეწყო, რომლის შედეგადაც ალფონსო კინაღამ ტყვედ ჩავარდა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა გაქცეულიყო.[2]

ტრაქტატის დათარიღება 1440 წლით, თვით მასში მოცემული სხვადასხვა ფაქტებით შეიძლება: ვალა იხსენიებს პაპ ევგენი IV-ის გაქცევას, რაც 6 წლით ადრე მოხდა 1434 წლის 5 ივნისს; ასახელებს ანტიპაპ ფელიქსს, არჩეულს ბაზელის კრებაზე 1439 წლის 5 ნოემბერს, ბოლოს ჩერდება კარდინალ ვიტელესკის მკვლელობაზე, რომელიც 1440 წლის 1 აპრილს მომხდარა.[3]

ვალამ ტრაქტატი შექმნა პაპის ინტერესების წინააღმდეგ და ნეაპოლის გვირგვინოსანთა სასარგებლოდ. თუმცა ტრაქტატის სიმწვავე პირადი ინტერესებიდან და სოციალური გენეალოგიიდანაც გამომდინარეობდა. იგი მიეკუთვნოდა ძველი რესპუბლიკელების: კოლა დე რიენცოსა და მარსილიუს პატუანელის მომხრეებს. მას ტრადიციულად სძულდა სასულიეროთა ბატონობა. ვალამ შეძლო დაემტკიცებინა, რომ „donacia" (ნაბოძვარი) არ შეიძლებოდა შექმნილიყო IV საუკუნეში, არამედ ეკუთვნოდა უფრო გვიანდელ გამონაგონს. ზუსტი დათარიღება მხოლოდ XIX-XX საუკუნეებში გახდა შესაძლებელი. მეცნიერებმა

---

1 ფელიქს V, პრინცი ამადეი VIII, სავოის პერცოგი, ანტიპაპი, 1439-1449. აირჩია ბაზელის კრებამ გადაყენებული ევგენი IV-ის ნაცვლად.

2 А. И. Хомяковская. Лоренцо Валла. Великий итальянский гуманист. М-Л., 1964. გვ. 57.

3 А. И. Хомяковска. Лоренцо Валла. Великий итальянский гуманист. გვ. 58.

დაადგინეს, რომ „donacia“ VIII საუკუნის შუახანებში იქნა შედგენილი და ცნობილი გახდა მხოლოდ ფსევდო-ისიდორეს დეკრეტალიებზე (847-855) დართვის შემდეგ.[1]

ვალას მიერ გასროლილი ისარი მიზანში მოხვდა. მისი გარდაცვალების შემდეგ, 1457 წ. პაპის მდივანმა გამოაქვეყნა თხზულება „ანტივალა“, რასაც ვალას წინააღმდეგ გამოსვლის კიდევ ბევრი მცდელობა მოჰყვა, მაგრამ უკვე 1475 წელს, როცა პაპ სიქსტი IV-ის[2] ბრძანებით ჰუმანისტმა ბართლომეო პალატინმა შეადგინა „რომის ეკლესიის პრივილეგიათა კრებული“, სადაც „კონსტანტინეს ნაბოძვარი“ გამოტოვებულ იქნა, ვინაიდან ჭეშმარიტებასთან დავა ძნელი იყო.[3]

ვალას პამფლეტი 1517 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა გერმანელმა ჰუმანისტმა ულრიხ ფონ ჰუტენმა. იგი ვალას არგუმენტაციებზე დაყრდნობით მკვეთრად გამოდიოდა პაპების საერო ხელისუფლების წინააღმდეგ. თავისი ტრაქტატი ჰუტენმა ირონიულად პაპ ლეონ X-ს[4] უძღვნა.

---

1 А. И. Хоментовская. Лоренцо Валла. Великий итальянский гуманист. იქვე.

2 სიქსტ IV, ფრანჩესკო დელა როვერე, იტალიელი, 1471-1484, თავი ისახელა გრანდიოზული „თურქული შანტაჟით“: ჯვაროსნული ლაშქრობის საბაბით ფულის შეგროვებით და ნეპოტიზმით. ასე რომ, თანამედროვეები ამბობდნენ: „ნამდვილი თურქები ახლა პაპის ძმისწულებიაო“. ხარბი და ძუნწი პაპი სიმდიდრით თვით მედიჩებს ექიშპებოდა, მოაკვლევინა კიდეც ჯულიანო მედიჩი. ხალხი აღდგა, პაპის თავაშვებული „ძმისწულები“ ციხეში ჩაამწყვდიეს. ქვეყანამ გაიგო, რომ სახელგანთქმული სიქსტის კაპელის მშენებელი - სულმდაბალი მკვლელი და არამზადა იყო.

„მეცენატმა“ სიქსტ IV სამარადისო ნყველა დაიტეხა ესპანეთში ინკვიზიციის შემოღებით. საუკუნების მანძილზე კოცონზე აპყავდათ ათასობით ადამიანი. 1481 წ. ესპანეთს ერთდროულად დაატყდა შავი ჭირი და ინკვიზიცია, რამაც თითქმის ჩვენს დრომდე სულისშემხუთველ სასაკლაოდ აქცია მშვენიერი ესპანეთი. 350 ნელინადში ცოცხლად დანვეს სულ 36-212 კაცი.

სიქსტის სიკვდილი – ნამდვილი ტრიუმფისა და შურისგების დღე იყო. ხალხმა დახოცა მისი მომხრეები, მეტადრე გენუელები. გაჩნდა ასეთი ეპიტაფიები: „გიხაროდეს, ნერონ! უპატიოსნობა, შიმშილი, ნგრევა, მექრთამეობა, ქურდობა, ძარცვარბევა – ყველაფერი, რაც რამ საძაგელი არსებობს ქვეყნად, გადაიტანა რომში შენი მმართველობის დროს. სიკვდილო! რა მადლობელია შენი რომი, თუმცა ძალიან გვიან მობეედი. და ბოლოს, სიქსტის ყოველ დანაშაულს სამარეში ჩაიდენ. შენ კი, სიქსტ, თავს რომ ესხმოდი თვითონ ღმერთს, ახლა ნადი, ჯოჯოხეთი არიე. დაბოლოს, სიქსტ, შენ ხარ გვამი. დაე, ყველა გახარნნილმა, არამზადამ, ბოროტმოქმედმა, ქურდმა და მატყუარამ შავები ჩაიცვას!“

3 А. И. Хоментовская. Лоренцо Валла. Великий итальянский гуманист. გვ. 75.

4 ლეონ X, ჯოვანი მედიჩი, 1513-1521, ფლორენციელი, ლორენცო მედიჩის (ბრნყინვალის) მეორე შვილი, მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი. ნმ. პეტრეს

ჰუტენი თვლის, რომ ვალას თხზულება ყველამ უნდა წაიკითხოს, ვინაიდან მას საეკლესიო ბრალდებაზე გამოაქვს ჭეშმარიტება. „ამ წიგნიდან ჩანს, თუ როგორი ვაჟკაცი იყო ვალა, რა ძლიერი სული ცხოვრობდა მის სხეულში. მან იცოდა, თუ რა საშიშროება ელოდა და სიმართლის სიყვარულით მაინც უკან არ დაიხია".[1]

ასევე ეკლესიის მსახურთა თვითნებობის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ გამოჩენილი ჰუმანისტები ერაზმ როტერდამელი და იოჰან როიხლინი, რომელთაც „გერმანიის ორ თვალს" უწოდებდნენ.

პაპების საერო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდა გერმანელი რეფორმატორი მარტინ ლუთერი (1489-1546). 1517 წლის 31 ოქტომბერს თავისი „95 თეზისით" გაილაშქრა ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ. პაპმა იგი ეკლესიიდან განკვეთა. 1520 წ. ლუთერმა სახალხოდ დაწვა პაპის ბულა ეკლესიიდან განკვეთის შესახებ და 1521 წ. ვორმსის რაიხსტაგზე, იმპერატორისა და რომის კურიის წარმომადგენელთა წინაშე მტკიცედ განაცხადა „მე არ შემიძლია დავუმორჩილო ჩემი რწმენა პაპს და საეკლესიო კრებას... ქრისტიანს არ შეშვენის გამოვიდეს სინდისის წინააღმდეგ. მე ამაზე ვდგავარ. სხვაგვარად არ ძალმიძს. დაე, ღმერთი შემეწიოს. ამინ".[2]

ტაძრის ასაშენებლად ბრძანა ინდულგენციებით ვაჭრობა, რითაც დააჩქარა რეფორმაც. უდარდელი, ჭამა-სმას გადაყოლილი ლეო X უფრო თავის ფლორენციაზე ფიქრობდა, ვიდრე პაპთა დიდებაზე და თვით იესოზე. წყალი შეუყენა იმას, რისთვისაც რკინის ნებისყოფით იბრძოდა იულიუს II, და თვით ლუთერის გამოსვლამ ვერ გაუფუჭა ხასიათი, თუმცა დიდი გერმანელი რეფორმატორი ილაშქრებდა სწორედ ინდულგენციების წინააღმდეგ (1517) და 1521 საჯაროდ დაწვა მისი ბულა. უყვარდა ლაპარაკი „ერიატეს ზღაპრის" – მომგებიანობაზე და გერმანიისაგან უწინდებურად ითხოვდა ზღაპრულ თანხებს წმ. პეტრეს ტაძრის მშენებლობისათვის. ვერ გაიგო ლუთერის გამოსვლის ისტორიული მნიშვნელობა და თუმცა მის განკვეთას მიაღწია, ეს დიპლომატიური გამარჯვება დროებითი იყო. ამ დროს რომს ფარდა ახადა დიდმა გერმანელმა სატირიკოსმა ულრიხ ფონ ჰუტენმა „რომის ტრიადაში" „სამი რამით ვაჭრობს რომი – ქრისტეთი, სამღვდელო ადგილითა და ქალებით... სამი რამ ფასობს რომში: ქალის სილამაზე, კარგი ცხენი და პაპის სიგელი... სამი რამ არის უხვად რომში: მეძავები, მღვდლები და მდივნები". პაპმა დაკარგა გერმანია - „მენველი ძროხა".

უკვდავმა პასკვინომ ეპიგრამა უძღვნა პაპს, რომელსაც ერთ სურათში ეშმაკი შანთით ნვავს მძიმე სენით სნეულ ორგანოს, რითიც ცოდვებს სჩადიოდა (ლეოს ვენერიული სენი სჭირდა): „მოგზაურო, შენ მეკითხები, რატომ ვერ მიიღო ლეო X-მ ზიარება? გაყიდა! რატომ? უელიან ასე ცუდად სამწყსოს? იმიტომ, რომ ლეო X, იმის ნაცვლად, რომ პირუტყვს მოუაროს, ადამიანებს მწყემსავს".

1 Ульрих фон Гуттен. Диалоги, публицистика, письма. М., 1963, გვ. 277.

2 გ. კუტალია. მარტინ ლუთერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, თბ., 1993., გვ. 3-4.

ეყრდნობოდა რა ლორენცო ვალას მოსაზრებებს, ლუთერი გამოთქვამდა აზრს, რომ „კონსტანტინეს ნაბოძვარი" პაპის კანცელარიიდან გამოსული ყალბი დოკუმენტი იყო. „გაუგონარი სიცრუე და ეშმაკისეული ტყუილი", რომელიც საერო ხელისუფლების ფლობის, თუ მისი დაქვემდებარების პაპისეულ სურვილს აკანონებს.[1]

მარტინ ლუთერის განსაკუთრებულ რისხვას იწვევს რომის ეკლესიის მესვეურების როლი ომების გაჩაღების საქმეში. პაპების სამარცხვინო როლზე ომების გაჩაღების საკითხში მიუთითებდნენ ერაზმ როტერდამელი, ჰუტენი, შვეიცარიელი რეფორმატორი ცვინგლი, რომელიც თავის „67 თეზისში" წერდა: „სულიერ მამებს სისხლიან დავათა გამოსწორება კი არ სურთ, არამედ პირიქით, ისინი თვითონ ქმნიან მათ. პაპები არიან მიზეზი ხანგრძლივი ომებისა, ისინი ვერ იტანენ იმპერატორებს, მეფეებს და ამგვარ დავამდე დაჰყავთ საქმე ქრისტესა და მშვიდობის სახელით".[2]

ლორენცო ვალას ტრაქტატის „მსჯელობა კონსტანტინეს ნაბოძვარის შესახებ" სრული სახელია „c fals ovedila et ementita Constantini donatione declamatio" (მსჯელობა კონსტანტინეს საჩუქარზე, რომელიც არის საგანი მცდარი რწმენისა და განმარტებისა). შესავალში ავტორი საუბრობს იმ საშიშროების შესახებ, რომელიც დაემუქრება მას პაპების წინააღმდეგ გამოსვლისთანავე. „მე ვხედავ გამოსვლას უზენაესი მღვდელმთავრის წინააღმდეგ, რომელიც შეიარაღებულია არა მხოლოდ საერო ხმლით, როგორც მეფე – მთავარი, არამედ საეკლესიო ხმლითაც. ამ ხმლისაგან ვერცერთი ხელმწიფე ვერ დაგიფარავს, ყველგან დაგეწევა შენ განკვეთა, ანათემა და წყევლა-კრულვა".[3]

მიუხედავად ამისა, ჭეშმარიტების სიყვარულით ავტორი მზადაა წინ აღუდგეს ამ საშიშროებას. „მამაცი სულით, მტკიცე რწმენით, კეთილი იმედით მე დავიცავ ჭეშმარიტ საქმეს, სამართლიანობას".

შემდეგ ვალა აყენებს თეზისს პაპები ან უცოდინარო-

---

1 გ. კუტალია. მარტინ ლუთერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, გვ. 46.

2 გ. კუტალია. მარტინ ლუთერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, გვ. 74.

3 Итальянские гуманисти XV века, გვ. 139.

ბით ან ხელისუფლების წყურვილით „კონსტანტინეს ნაბოძვარს“ ნამდვილად თვლიან და მასზე დაყრდნობით ეპოტინებიან ბატონობას რომზე, ნეაპოლზე, სიცილიაზე, მთელ იტალიაზე, გალიაზე, ესპანეთზე, გერმანიაზე, მთელ დასავლეთზე. ყველა მეფის თავიანთ ვასალად გადაქცევაზე ფიქრობენ. ვალა, პირიქით იმ აზრისაა, რომ პაპებს უნდა ჩამოერთვათ ყველაფერი, რასაც ისინი ფლობენ.

ცდილობს რა „სიგელის“ სიყალბის დამტკიცებას, ვალა პირველ რიგში არგუმენტების ლოგიკურ განლაგებას იძლევა, შემდეგ კი ყოველ პუნქტს სათითაოდ ავითარებს.

პირველ და უკანასკნელ პუნქტებს ვალა ავითარებს ანტიკური რიტორიკის და ტიტუს ლივიუსის მიბაძვით, როგორც მოქმედი პირების გამოგონილი სიტყვების, ასევე ფიქტიურად შემოყვანილი პერსონაჟების სახით, რომლებიც ეჯიბრებიან ერთმანეთს მჭერმეტყველებაში და წარმოადგენენ სახალხო კრებას.

ამ თვალსაზრით ვალას პამფლეტი – ორატორული ხელოვნების ნიმუშია. ავტორი თავის მოსაზრებებსა და დასკვნებს გამოგონილ პირებს ათქმევინებს.[1] პირველ პუნქტში კონსტანტინეს სურვილის წინააღმდეგ სიტყვით გამოდიან მისი ვაჟები და თვით პაპი სილვესტერიც,[2] ბოლო პუნქტში – რომაელი ტრიბუნი, რომელიც პაპების საერო ხელისუფლებას წყევლის.

ავტორი თითქოს თვითონ ლაპარაკობს მეფე-მთავრების კრებაზე, ყოველ შემთხვევაში მას ასე აქვს წარმოდგენილი. იგი მიმართავს მათ „თქვენ მოგმართავთ მეფეებო და მთავრებო, ...მინდა გავიგო თქვენი აზროვნების შესახებ, მინდა ჩავწვდე თქვენს სულს“.[3] ვალა მათ ეკითხება, ნუთუ რომელიმე კონსტანტინეს ადგილას თავს ვალდებულად ჩათვლიდა ეჩუქებინა სხვისთვის ქალაქი რომი, მთელი მსოფლიოს დედაქალაქი. ნუთუ რომელიმე მათგანი დათმობდა რომთან ერთად იტალიას, სამ

---

1 А. И. Хоментовская Лоренцо Валла. Великий итальянский гуманист. გვ. 61.

2 სილვესტერ I – წმ., რომაელი 314-335. მის დროს იქნა მოწვეული ნიკეის პირველი საეკლესიო კრება, სადაც კონსტანტინე დიდის კარნახით ბრძოლა გამოუცხადეს არიანელთა მოძღვრებას. სილვესტერი იყო მისი მორჩილი იარაღი; გადმოცემით, მოარჩინა და მოაქცია იმპერატორი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ხელმწიფეთა მბრძანებლობას პაპებზე – ცეზარე პაპიზმს.

3 Итальянские гуманисти XV века. გვ. 143.

გალიას, ორ ესპანეთს, მთელ დასავლეთს?" მას ვერ დაუჯერებია, რომელიმე ხელმწიფემ საღი გონებით გადადგას ეს ნაბიჯი. ნუთუ თქვენთვის არის იმაზე უკეთესი სურვილი, ვიდრე ახალი მიწების შემოერთება?"[1] ხელმწიფეთა სურვილი ერთნაირია: დაიპყრონ რაც შეიძლება მეტი ტერიტორია და გააძლიერონ თავიანთი ძალაუფლება, მაშინ გასაგებია, რამდენად ძლიერი უნდა იყოს სურვილი ძალაუფლების შენარჩუნებისა?! იმპერიის ტერიტორიის გაზრდა თუ ვერ ხერხდება, ეს დიდი სირცხვილი არ არის, ვიდრე კუთვნილი ტერიტორიების დაკარგვა: შენი სამფლობელოებისათვის სხვა სამეფოს შეერთებას თუ ვერ შეძლებ, ეს იმდენად სამარცხვინო არაა, ვიდრე სხვას მისცე ნება, შეიერთოს შენი სამფლობელოები.[2]

ვალას აზრით, არ შეიძლებოდა ვინმეს დაეთმო თავისი სამფლობელოები კეთრისგან განკურნებისათვის და თელის რომ, არც კონსტანტინე გააკეთებდა ამას. „შენ, კონსტანტინე გახდი ქრისტიანი. ახლა ქრისტიან იმპერატორს ნაკლები ძალაუფლება რომ გქონოდა, ვიდრე წარმართობისას, უფრო მეტი სირცხვილი იქნებოდა, რამდენადაც უზენაესი ხელისუფლება ეს არის ღვთიური საჩუქარი.[3]

მორალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის მოსაზრებების გარდა ლორენცო ვალამ „donacios" სიყალბის დასამტკიცებლად მოიშველია სამგვარი არგუმენტაცია: რელიგიური, ისტორიული და ფილოლოგიური.

ვალას თვალსაზრისით, პაპის მხრიდან იმპერატორის განკურნებისათვის საჩუქრის მიღება უპატიოსნობაა. ქრისტემ თავის მოწაფეები ღარიბებს შორის აარჩია და თვითონაც ღარიბ ოჯახში გაიზარდა. იუდა ვერცხლმა აცდუნა და თავისი მასწავლებელი გაყიდა. კონსტანტინეს არ უნდა ექცია ქრისტეს მოადგილე ცეზარად და ამით იუდად, მითუმეტეს, რომ ქრისტემ თქვა: „ჩემი სამეფო არაამქვეყნიურია". ვალამ სილვესტერის სიტყვა ასეთი სახით წარმოგვიდგინა.

„ხელმწიფეო და შვილო, მე ვაფასებ შენს სიკეთეს და დიდად არ მაოცებს, როცა შენ ცდები შესანირავების არჩევანში.

---

1 Итальянские гуманисты XV века. იქვე.
2 Итальянские гуманисты XV века. გვ. 146.
3 Итальянские гуманисты XV века. გვ. 147.

როგორც ყველა ცხოველის ან ფრინველის მსხვერპლად შენირვა არ შეიძლება, ასევე ყოველნაირი ძღვენი არ მიიღება. მე ვარ სასულიერო პირი და მე უნდა ვადევნო თვალყური იმას, თუ რა მოიტანება საკურთხეველთან. პაპს არ შეუძლია მიიღოს ესოდენ დიდი ძღვენი, ვინაიდან იგი დაღუპავს მის პატივს, სიწმინდეს, სისპეტაკეს... თვითონ განსაჯე, ელისემ განკურნა კეთრისაგან ნეემან-სირიელი და უარყო საჩუქრების მიღება. მე განგკურნე შენ და მე, არ მივიღებ საჩუქარს. მას არ უნდოდა სამაგიერო სიკეთე, რამეთუ ამბობს უფალი ჩვენი: „ნეტარია, ვინც გასცემს, არათუ ღებულობს".1 ღმერთი მასწავლის მე: „სნეულნი განკურნეთ, მკვდრები აღადგინეთ, კეთროვანნი განწმინდეთ, ეშმაკები განდევნეთ, უსასყიდლოდ მიგიღიათ, უსასყიდლოდვე გაეცით. ნუთუ მე ჩავიდენ ისეთ სისულელეს, რომ არ გავიზიარებ ქრისტეს სიტყვებს, ნუთუ მე მივცემ სხვას ცუდ მაგალითს, მე ქრისტიანი ვარ, ქრისტეს მოადგილე. შეუძლიათ კი სასულიერო პირებს დაიცვან სიწმინდე, თუ ისინი გახდებიან სიმდიდრის მფლობელნი, დაიკავებენ სახელმწიფო თანამდებობებს? განა ჩვენ იმისათვის უარვყოფთ მინიერ სიამოვნებას, რომ უფრო მეტად მივიღოთ იგი, იმისათვის უარვყავით ჩვენი პირადი საკუთრება, რათა დავეპატრონოთ სხვისას?[2] ეკითხება პაპი სილვესტერი იმპერატორ კონსტანტინეს.

დასასრულს, პაპს ათქმევინა ვალამ – „მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმრთისა". ეს ნიშნავს, რომ შენ არ უნდა დატოვო შენი და მე არ უნდა ავიღო კეისრობა. მე არ ავიღებ მას, ათასჯერაც რომ შემომთავაზო".[3]

ვალას დასკვნით, ასეთი წინააღმდეგობების პირობებში კონსტანტინე ვერ გადაწყვეტდა სილვესტერისათვის რომის იმპერიის დიდი ნაწილის გაჩუქებას.

„donacia"-ში ნათქვამია, რომ „მართებულად ჩავთვალეთ გადავიტანოთ ჩვენი იმპერია... რამდენადაც, სადაც არის ზეციური იმპერატორი, იქ ვერ მოხდება მიწიერი იმპერატორის ხელისუფლების შეთავსება" ამაზე ვალა ამბობს: „მაშინ სულელები

---

1 Итальянские гуманисти XV века, გვ. 154.

2 Итальянские гуманисти XV века, გვ. 158.

3 Итальянские гуманисти XV века, გვ. 190.

ყოფილან დავითი, სოლომონი, ეზეკია და სხვები, რომ ისინი ცხოვრობდნენ იერუსალიმში ღვთისმსახურებთან ერთად და არ დაუთმიათ მათთვის მთელი ქალაქი, სამ დღეში კონსტანტინემ მოიფიქრა იმაზე მეტი, რაც ზემოთ დასახელებულმა ადამიანებმა მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ მოიფიქრეს!.. და შენ ეძახი პაპს ზეციურ იმპერატორს მაშინ, როცა მან მიიღო მიწიერი იმპერია".[1]

სიგელის დასასრულს, კონსტანტინე ანათემას გადასცემს ყველას, ვინც გაბედავს თუნდაც ერთი ასოს შეცვლას დოკუმენტში. ბარბაროსული პერიოდის სამღვდელოებისათვის დამახასიათებელმა წყევლა-კრულვამ და განკვეთით დამუქრებამ ვალას კიდევ ერთხელ მისცა საშუალება ეჭვით შეხედოს სიგელის ავტორს, როგორც კლერიკალ-ფალსიფიკატორს. „ეს საშინელი მუქარა არ შეიძლება ეკუთვნოდეს იმპერატორს, საერო ხელისუფალს. ეს არის ენა ძველი ქურუმებისა და ახლანდელი მღვდლებისა. ეს მუქარა და წყევლა მართლა კონსტანტინეს რომ ეკუთვნოდეს, ჩემის მხრივ, მეც ანათემას გადავცემდი მას, როგორც ტირანს და რესპუბლიკის დამაქცევარს".[2]

ვალას ანალიზის წყალობით „სიგელი"-საგან თითქმის აღარაფერი დარჩა, მაგრამ ავტორი სიგელის კრიტიკით არ კმაყოფილდება. იგი მოქმედებას უწუნებს გულუბრყვილო ხალხს, რომლებსაც ავტორიტეტების დიდი რწმენა აქვთ და სვამს კითხვებს, რომლებსაც თვითონვე პასუხობს: „თუ სიგელი ყალბია, მაშინ მისი სინამდვილე რატომ იქნა დადასტურებული მრავალი პაპისა და იმპერატორის მიერ? რაში მდგომარეობს მისი ძალა? „რაა გასაკვირი იმაში, რომ პაპებს სჯეროდათ ამ სიგელის, რომელიც მათ ხელს აძლევდათ, მაშინ როცა თავიანთი დიდი უმეცრებით მათ სწამდათ ბევრი რამის, რაშიც ისინი გამორჩენას ვერ ხედავდნენ?" მორწმუნეთა შეცდომაში შეყვანა, რომელმაც თავი იჩინა „დოკუმენტთან" დაკავშირებით, შემთხვევითობა არ ყოფილა; ეს იმ სისტემის ნაყოფი იყო, რომელიც მაშინ ბატონობდა. ვალა ჩამოთვლის მისთვის ცნობილ რელიგიურ ამბებს და რელიქვიებს, რომლითაც სავსე იყო რომი: პაპ ინოკენტი III-ის დროინდელი ორი წარწერა, ე. წ. იერონიმის ბიბლია, რომელიც

1 Итальянские гуманисти XV века. გვ. 190.

2 А. И Хомяковская. Лоренцо Валла. Великий итальянский гуманист, გვ. 65.

თითქოს მისი ხელით იყო შექმნილი; მოციქულების პეტრეს და პავლეს მრავალრიცხოვანი ხატები და ბოლოს „სილვესტერის ცხოვრება".[1] მაცხოვრის დაბადების დღეს, მშვიდობის ტაძრის დანგრევის შესახებ რწმენას, როგორც წარწერებშია მოცემული, ვალა უპირისპირებს იერონიმეს ისტორიულ ცნობას, რომ მშვიდობის ტაძარი იმპერატორ ვესპასიანეს დროს აიგო და დაიწვა.

ხოლო რაც შეეხება იერონიმეს ბიბლიას, რომელიც თითქოს მისი ხელით არის დაწერილი, ვალამ ეჭვი გამოთქვა მის გვიანდელ წარმოშობაზე.

რომში მრავალ უძვირფასეს ნივთთან ერთად ინახებოდა მოციქულების: პეტრესა და პავლეს ხატები, რომლებიც თითქოსდა კონსტანტინემ სიზმარში ნახა, ხოლო გადმოცემის შემდეგ პაპმა სილვესტერმა კონსტანტინეს საპატივცემლოდ დაახატვინა. ვალას აზრით, ყველა ეს რელიქვია გამონაგონია. „როდესაც ჩვენ ვპოულობთ ყალბ მონეტებს, ვყრით მათ. განა ასევე არ უნდა მოვექცეთ ყალბ დოქტრინებს".[2]

რელიგიური თვალსაზრისით კონსტანტინესაგან სილვესტერისათვის საერო ხელისუფლების გადაცემის მიუღებლობის და დაუჯერებლობის დამტკიცებას ვალამ მოაყოლა იმის მტკიცებაც, რომ „კონსტანტინეს ნაბოძვარი" საერთოდ არ არსებულა. მისი აზრით, სილვესტერის მფლობელობაში ზემოთ ჩამოთვლილი ტერიტორიების გადაცემის და მისი გერმანიაში, ესპანეთში, დასავლეთის სხვა ქვეყნებში მოგზაურობის შესახებ საერთოდ არავითარი ცნობა არ არსებობს.

ასევე არ არსებობს მონაცემები იმის შესახებ, თუ რომელი პროვინციების გამგებლები დანიშნა პაპმა? რომელი ომები აწარმოა? რომელი სამშვიდობო ხელშეკრულებები გააფორმა? „ვინც ცოტათი მაინც ნაკითხია, იცის, რამდენი მეფე იყო რომში, რამდენი კონსული, დიქტატორი, ცენზორი. ვიცით ასევე რამდენი მხედარი იყო ათენში, მაგრამ როგორ წარმოიშვა სილვესტერის იმპერია, ამაზე არაფერია ცნობილი თვით რომშიც კი".

მეთოდოლოგიურად თავისი მოსაზრების გასამყარებლად ვალას შემდეგ ნაბიჯად კონსტანტინეს თანამედროვე ისტო-

---

1 А. И. Хоментовская. Лоренцо Валла. Великий итальянский гуманист. გვ. 66.
2 А. И. Хоментовская. Лоренцо Валла. Великий итальянский гуманист. გვ. 67.

რიკოსების დამოწმება მიაჩნია: „გადავფურცლოთ ყველა ისტორიკოსი, ლათინიც და ბერძენიც – ჩვენ ვერ ვიპოვით „donacia-ს", - ამ უსირცხვილო არაკის ხსენებას".

რომაელი ისტორიკოსის ევტროპიუსის მონაცემები, რომელიც პირადად იცნობდა კონსტანტინეს და მის ვაჟებს, ასევე პატრიარქსა და საეკლესიო ისტორიკოსს – ევსებს,[1] უპირისპირდება „donacia-ს". უარყოფს რა სილვესტერის მიერ კონსტანტინეს მონათვლის ფაქტს, ვალა შეცდომით წერს, რომ იგი მონათლულ იქნა მამის სიცოცხლეში. ამ დროს იგი სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ნიკომედიასთან ახლოს, ზემოთხსენებული ევსების მიერ იქნა მონათლული. თუმცა, ევსების „საეკლესიო ისტორია" რუფინიოსის მიერ თარგმნილი, იძლევა გაუგებრობის საბაბს, რადგან მისი აზრით, ზოგიერთი ადგილიდან შესაძლებელია გამოიტანო დასკვნა, რომ კონსტანტინე ბავშვობაში იქნა მონათლული. ვალა, როგორც ჩანს, არ იცნობდა ევსების „კონსტანტინეს ცხოვრებას", სადაც იგი ლაპარაკობს: 312 წელს, ომის დროს, კონტანტინეს მიერ ნანახი ზეციური ნიშნის გამო წარმოთქმული მიმართვის შესახებ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მანამდე კონსტანტინე ქრისტიანი არ იყო. თუმცა ვალას ფაქტიური შეცდომა არ არღვევს მის პრინციპულ სიმართლეს.[2]

ამასთან ერთად თავისი თეზის დასამტკიცებლად ვალას მოჰყავს ნუმიზმატიკის მონაცემები, მიუთითებს რა, რომ არსებობს კონტანტინეს ოქროს მონეტა, სადაც ჯვრის გამოსახულების ქვეშ არის არა ბერძნული, არამედ ლათინური წარწერა. „Concordia orbis" (თანხმობა ყველგან).[3] თუმცა არ არსებობს მონეტები პაპის, როგორც რომის ხელისუფალის გამოსახულებით.

სიგელის ტექსტი, როგორც ვალა ასკვნის, ააშკარავებს მისი შემდგენელის სრულ უვიცობას გეოგრაფიაში. კონსტანტინეს თითქოს რეზიდენციის გადატანა სურდა ქ. ბიზანტიაში (უნდა იყოს კონსტანტინოპოლი); შემდგენელი ვერ ხედავს განსხვავებას პროვინციასა და და ქალაქს შორის, რომელიც მოგვიანებით დაფუძნდა; არ იცის თრაკიის ადგილმდებარეობა, რომელიც კუნძული გონია; საერთოდ ვერ ერკვევა IV საუკუნის რუკაში

1 Л. И. Хоментовская. Лоренцо Валла. Великий итальянский гуманист . გვ. 62.
2 Л. И. Хоментовска. Лоренцо Валла. Великий итальянский гуманист. იქვე.
3 Итальянские гуманисти XV века. გვ. 164.

და არ შეუძლია ზუსტად დაასახელოს პროვინციები, რომელიც პაპს გადაეცა და რომელიც იურიდიული აქტის სიზუსტისათვის აუცილებელი იყო.[1]

გაუგია კი ვინმეს – კითხულობს ვალა, რომაელებში „სატრაპების" შესახებ, რომლებიც ფიგურირებენ „donacia-ში", კონსტანტინეს უმაღლესი მაგისტრანტების როლში? სიგელის მიხედვით თითქოსდა ძველ რომში სენატორის ამაღლება ხდებოდა პატრიციამდე, მაშინ როცა სენატორი პატრიციაზე მაღლა იდგა და აუცილებლად წარმოშობით პატრიცი უნდა ყოფილიყავი, რომ სენატორობისათვის მიგეღწია.[2]

ვალა გვერდს ვერ უვლის სიცრუეში იმპერატორების მონაწილეობასაც. ლათინი იმპერატორი პაპის მიერ ინიშნებოდა, რადგან ტახტს ღებულობდა არა მემკვიდრეობით, არამედ პაპებთან „ურთიერთხელშეკრულების" საფუძველზე. ვალა ამ შემთხვევაში ეყრდნობოდა პაპ ევგენი IV-ის მიერ მოხუცებული სიგიზმუნდის კორონაციას (1433წ. 31 მაისი). სიგზმუნდი რომში პაპის სახსრებით ცხოვრობდა და ვერცერთ შემთხვევაში არ აირჩეოდა, „დონაცია" რომ არ დაემტკიცებინა.

ლორენცო ვალა აბზაც-აბზაც აანალიზებს „donaci-ის" ტექსტს და იყენებს სამეცნიერო კვლევის ახალ პრინციპებს.

ვალა ამტკიცებს, რომ „დონაცია" დაწერილია ბარბაროსული ენით და მას არავითარი კავშირი არა აქვს იმ კლასიკურ ლათინურთან, რომელიც კონსტანტინეს დროს გამოიყენებოდა „განა ასე ლაპარაკობდნენ იმ დროს მწერლები ან თუნდაც მეჯინიბეები"[3] – ამბობს ვალა. მას მოჰყავს რამდენიმე მაგალითი ტექსტიდან; ტექსტის შემქმნელმა გამოიყენა ფრაზა: მან ჩასვა „მიტომ რათა", ფიქრობდა რომ ასეთი სახით ფრაზა გამოჩნდებოდა უფრო რითმული. განა ეს არ არის ბარბაროსული გამოთქმა ჩვენგან და ჩვენი იმპერატორისაგან? – სვამს კითხვას ვალა. „თითქოს იმპერიას აქვს საშუალება და სურვილი რამე დათმოს. ის არ დაკმაყოფილდა იმით, რომ თქვა „დაე მიიღოს" და უმატებს „დათმობილი", როცა საკმარისი იყო ერთ-ერთის გამოყენება.[4]

---

1 А. И. Хоментовская. Лоренцо Валла. Великий итальянский гуманист гვ. 63.

2 Итальянские гуманисти XV века, გვ. 171

3 Итальянские гуманисти XV века. გვ. 136.

4 Итальянские гуманисти XV века. გვ. 62

„donacia-ში" ყველგან ვხვდებით უცნაურ ფრაზებს: „დიდებით განვადიდოთ" და ა. შ.

რა უნდა ითქვას მეორე უფრო დიდ სისულელეზე? განა შესაძლებელია ლაპარაკი კონსტანტინეპოლზე, როგორც საპატრიარქოზე, მაშინ როცა არ არსებობდა ამ სახელობის ქალაქი."პრივილეგია, გაცემულ იქნა კონსტანტინეს გაქრისტიანების მესამე დღეს, მაშინ იყო ბიზანტია, მაგრამ არა კონსტანტინოპოლი".[1]

„donacio-ს" იმ ადგილთან დაკავშირებით, სადაც ლაპარაკია სამეფო ხელისუფლების გადატანაზე აღმოსავლეთით და იქ ქალაქის აშენებაზე, ვალა ამბობს: „თუ მას უნდოდა იმპერიის გადატანა სხვა ადგილას ე. ი. ჯერ არ გადაუტანია, ჯერ არ დაუარსებია იმპერია, თუ უნდოდა ქალაქის აშენება ე. ი. ჯერ არ აუშენებია. ამგვარად, კონტანტინეს არ შეეძლო ელაპარაკა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოზე".[2]

ბარბარიზმები და მასთან დაკავშირებული გაუგებრობები იყრის თავს იქ, სადაც საუბარია საიმპერატორო ხელისუფლების ნიშნების გადაცემაზე პაპისათვის. მას გადაეცა დიადემა და გვირგვინი. „სუფთა ოქროსა და ძვირფასი თვლებისაგან" – ამ უმეცარმა არ იცოდა, ამბობს ვალა, რომ დიადემა ქსოვილისაა, მას კი იგი ოქროდ წარმოუდგენია, რადგანაც ახლა მეფეები ჩვეულებრივ უკეთებენ მას ოქროს რგოლს ძვირფასი თვლებით".[3]

პაპს ყელზე დაკიდეს „Jorum", რაც ნიშნავს „სადავეს", რითაც ცეზარი და პაპი ცხენად ან ვირად წარმოგვიდგება.

პაპ სილვესტერს გადაეცა „სკიპტრები" - მრავლობით რიცხვშია, თითქოს პაპს თითოეულ ხელში თითო სკიპტრა ეჭირა.[4]

ვალა ტყუილად არ უნოდებს „donacia-ს" შემდგენელს მოკვდავთა შორის ყველაზე უსინდისოს, რომელმაც განათლებული საუკუნე ბარბაროსულ ენაზე აალაპარაკა.

განიხილავს რა „donacia-ს" შემდეგ პუნქტს, ვალა ამბობს: „გავჩუმდები იმაზე, რომ ის ამბობს „civitates adificave" (სახელმწიფოს აშენება), როცა აშენებული შეიძლება იქნეს ქალაქი და არა სახელმწიფო.[5]

---

1 Итальянские гуманисты XV века, გვ. 174.

2 Итальянские гуманисти XV века, გვ. 175.

3 Итальянские гуманисти XV века, gv. 180.

4 Л. И. Хоментовская. Лоренцо Валла. Великий итальянский гуманист, gv. 64.

5 Итальянские гуманисты XV века, gv. 189.

დიდი ყურადღება დაუთმო ვალამ სიტყვებს: „გავამაგრეთ რა საკუთარი ხელით ჩვენი საიმპერატორო დადგენილებების ფურცლები, დავდევით იგი ნეტარი პეტრეს ცხედარზე". რაში გამოიხატება გამაგრება? რით გაამაგრა კეისარმა სიგელი, ხელმოწერით თუ ბეჭდით? ან კიდევ პეტრეს ცხედარზე როგორ დადებდნენ მას. როცა ცხედარი ჯერ კიდევ არ იყო ტაძარში და უშიშარ ადგილას. რატომ სილვესტერს არ ანდო იმპერატორმა სიგელი?

ვალა მიმართავს მათ: „ო პეტრე, ო სილვესტერ, ო რომის ეკლესიის მღვდელმთავრებო, რატომ არ დაიცავით ნაბოძვარის სიგელი? რატომ დათმეთ ეს ჭიების გასაფუჭებლად და აი, მტვრად იქცა სიგელი და მასთან ერთად ის უფლებები, დამყარებული ამ სიგელზე; მაგრამ როგორც ვხედავთ, სიგელს წარმოგვიდგენენ. რომელმა მღვდელმსახურმა გაბედა მისი მოპარვა უწმინდესი მოციქულის იღლიიდან? მე მგონი, ეს არავის არ გაუკეთებია. მაშინ საიდან გაჩნდა ეს ნაწერი?"[1]

ვალა დათმობაზე მიდის და წერს: დავუშვათ, მართლა მოხდა კონსტანტინეს მიერ სამფლობელოების გადაცემა და სილვესტერი ოდესმე მართლა განაგებდა მათ, ხოლო შემდეგ პაპებმა ეს უფლება დაკარგეს. მიუხედავად ამისა, პაპებს მაინც არც ღვთაებრივი და არც ადამიანური უფლება არა აქვთ ისინი უკან მოითხოვონ. „ძველ კანონებში იკრძალებოდა 6 წელზე ზევით ებრაელის მსახურობა ებრაელთან და ყოველ 50 წელიწადში ყველანაირი ქონება უბრუნდებოდა ძველ პატრონს. ნუთუ ახლა ქრისტიანები იქნებიან მუდმივი მონები ქრისტეს მოადგილეებისა?"[2]

როგორ შეიძლება აღიარო კანონიერად პაპის ხელისუფლება, როცა ხედავ, თუ რა საშინელი დანაშაულობანი ხდება მისი სახელით. ვალა ხმამაღლა აცხადებს: „ჩემს საუკუნეში ტახტზე არასოდეს დამჯდარა ერთგული და ჭკვიანი მოადგილე".

ვალა ჩამოთვლის პაპების ძველ ცოდვებს, იხსენებს ეპისკოპოს ვიტელესკის სისასტიკეს, სისხლის მდინარეებს, რომელიც მან დაღვარა პაპ ევგენი IV-ის ხელისუფლების აღსადგენად. ვალას აზრით, თუნდაც მხოლოდ ამ ფაქტიდან გამომდინარე, რო-

1 Итальянские гуманитсы XV века. gv. 193

2 Итальянские гуманисти XV века. gv 214

მაელებმა მოიპოვეს უფლება გადაიგდონ საძულველი უღელი. „კონსტანტინეს ნაბოძვარი“ იტალიის გაუბედურების მიზეზი გახდა. დადგა დრო ამ ბოროტების აღკვეთისა. ამიტომ ვლაპარაკობ მე და სახალხოდ ვაცხადებ, პაპს მოაქვს ომი მშვიდობიანი მოსახლეობისათვის. პაპებმა უარი უნდა თქვან საერო ხელისუფლებაზე და დარჩნენ მხოლოდ მღვდელმთავრებად“.[1]

ვალას არ უნდა პაპს აუმხედროს მეფე-მთავრები და ხალხი, მაგრამ, თუ პაპი უარს არ იტყვის საერო ხელისუფლებაზე, ვალა მათ ახალი გამოსვლებით ემუქრება.

აი, როგორი იყო პაპების ნამდვილი სახე. ნაცვლად იმისა, რომ გამოსულიყვნენ მეგობრობისა და მშვიდობის მოწოდებით, ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ სახელმწიფოებს შორის მტრობის ჩამოგდებით განემტკიცებინათ თავიანთი ძალაუფლება და ამით მოეთბოთ ხელი.

მათი მიზანი იყო ხელში ჩაეგდოთ რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე, დაპატრონებოდნენ ტერიტორიებს ევროპაში, მთელ მსოფლიოში. დიდი ხნის განმავლობაში მათ აფარებული ჰქონდათ „donatio Constantini“ და ამ დოკუმენტით ამართლებდნენ თავიანთ ქმედებებს, მაგრამ ამ ფარმა ვერ გაუძლო ვალას, ჰუტენის, ლუთერისა და სხვათა ისრებს და დაილეწა. მათ სააშკარაოზე გამოიტანეს პაპების მტაცებლური მიზნები.

ვალამ შეძლო სამეცნიერო კვლევის ახალი მეთოდებით წარმატებით დაემტკიცებინა „კონსტანტინეს ნაბოძვარის“ სიყალბე. მისი პამფლეტი ისტორიული კრიტიკის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს. იგი ამ პამფლეტით წარმოჩენილია როგორც შუასაუკუნეობრივი ქრისტიანული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ დაუნდობელი მებრძოლი.[2]

---

1 Итальянские гуманисти XV века, iqve.

2 Свободомыслие и атеизм в древности, в средние века и в эпоху Возрождения, под ред. А. Д. Сухова, М., 1986, გვ. 263.

RESUME
Popes in the Battle for Power

History of Middle Ages presents the important stage in development of humankind, forming feudal relationship, its evolution and breaking, appearing of peoples and nations. It is the time of creating and forming of modern European states, the heritage of which are not only hard social conflicts, wars, violence, destroying epidemics, inquisition and suppression of free thinking. It is also accompanied by important progress, becomes the base of modern parliamentarianism, democratic and just society, material and social culture development, and is formed Christian doctrine and organized bases of roman-catholic, orthodox and protestant churches, humanist ideology is set.

In Middle Ages the cultural unity of Roman-Germanic people was developing, the initial unifying and life impulses of which became Christian religion having come in Europe from the East. Christianity and Christians presented united body, the members of which were united by the same ideas and aspirations. Christianity made kind and positive influence on unification and spreading education in scattered society of West Europe. As in early middle ages church hierarchy was set higher by its education system than other feudal elements, it had quite important influence on society and its ideology became dominant in whole Europe.

"Cappadocian fathers" played important role in formation of Christian theology. Among them was Basil the Great, Gregory of Nazianzus, and Gregory of Nyssa. They made Christian doctrine as one unity system.

The junior contemporary of Cappadocian fathers was Blessed Augustine, who is referred as one of the most important figures in the development of Western Christianity. His thought about Christian dogmas and ideals profoundly influenced the philosophy of medieval Catholicism and worldview. Augustine's City of God was closely identified with the church, and was the community which worshipped God. This idea became the stimulating of direction for the development of thinking in middle ages.

The purpose of this work is to show the activity and creation of concrete, supreme ecclesiastics – popes, their hard attempting for realization

their ideas during the whole Middle Ages.

Pope!

So was called all the bishops from beginning according to the Greek word - "pope", that means "father". The first pope was Apostle Peter, who was tortured by Neuron. Only since 1075 during the reign Gregory VII due to the circumstances from five patriarch of Christianity priority was given to patriarch of Rome and the millennial domination of popes had begun.

As a rule, pope was elected among any Italian who didn't belong to royal name, wasn't referred as a cardinal of other country and was also aged (he had to be more than 55). After being elected, as a rule, pope changed name. At the beginning this rule was created by Cardinal Octavian, who became a pope in 956 by the name of Ioan XII. Since then it is more than 1000 years as Roman Popes had been keeping this rule.

The fate of popes and papacy was also changeable. There was time, when the rulers of Christianity were taken up and down the throne as dolls, but papistry again gained the influence. Sometimes popes sinned not only in private life, but in religion questions as well.

One of the great reforming popes was Gregory VII (1073-1085), he is perhaps best known for the part he played in the Investiture Controversy was, his dispute with Henry IV, Holy Roman Emperor affirming the primacy of the papal authority and the new canon law governing the election of the pope by the college of cardinals.

Later, in 1198 Pope Innocent III (1198-1216) declares himself as an independent ruler. During the reign of Pope Innocent III, the papacy was at the height of its powers. He was considered to be the most powerful person in Europe at the time. His papacy asserted the absolute spiritual authority of his office, while still respecting the temporal authority of Kings, who were kissing his shoes decorated by ruby crosses.

Soon the power of popes became weak and their independence was fading. French Kings managed to break the power of popes, they held considerable sway over the Papacy and rulers across Europe felt sidelined by the new French-centric Papal Court. The period called - Avignon Captivity was followed.

The biggest church of Christianity -- Catholic has millions of followers. The viable nucleus of this mighty parish - papacy with its multicul-

tural history is interlaced with all the most important events of the world history – in the filed of spiritual, material or military case.

Evil time – pride of popes was celebration of beast that influenced on millions of peoples, that's why people were creating history of wars and thinking, regulations of their own blood and sweat, unmasking popes and fought those apostles of darkness, were against inquisition, which was greater with its destroying power than common authority.

Many rulers tried to bend the pride of the deputy of Christ. All the attempts of Fredrick Barbarossa, Otto I, Heinrich III and Heinrich IV, also Philip IV handsome and others were in vain. Imperators died, kingdoms were destroyed, dynasties were changed, people were disappearing and appearing, but papacy was still life.

The iron rod of Napoleon and irreproachable geniuses of Garibaldi imposed great blow to Vatican and after that Constantine and Pippin lost desire to take presents. Vatican was surrounded by walls and the power of popes was limited.

Immorality, willfulness and strict court of inquisition are unknown for our nation and church. This may be explained by loyalty and tolerance of our nation, who got acquainted with the mission of Christ and made it as a symbol of nationality. Torture, strict verdict, physical violence was and is unknown for our church. Catholicos-Patriarch of all Georgia Ilia II himself gives the example of Georgian virtue and loves of mankind to all and how much such worthy bishops our long-suffering and century old church had. We must take care of our faith to have peace, respect, and love in the country as the God itself is the love.

სარჩევი

შესავალი 3

თავი I
პაპების საერო ხელისუფლების წარმოშობის
წინაპირობები 5

თავი II
გრიგოლ I (დიდი)-ძველი მსოფლიოს უკანასკნელი და
შუა საუკუნეების პირველი პაპი 19

თავი III
§1 პაპების საერო ხელისუფლების წარმოშობა და
ე. წ. „კონსტანტინეს ნაბოძვარი“ 31

§2 კარლოს დიდისა და ლეო III-ის ურთიერთობის
საკითხისათვის 46

თავი IV
გრიგოლ VII, „გრიგორიანული რეფორმების“ ავტორი..... 60

თავი V
პაპების ძლევამოსილება ინოკენტი III-ის დროს 76

თავი VI
პაპების ძალაუფლების დასუსტების დასაწყისი და
გზა ავინიონისაკენ, ბონიფაციუს VIII..... 95

თავი VI
ლორენცო ვალა გამოგონილი და ყალბი „კონსტანტინეს
ნაბოძვარის“ შესახებ 105

რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)..... 122